ელექტრონული
ბიბლიოთეკა



ISSN 0130 — 1624

# დროშა

მარტი
№ 3 1983 წ.



თბილისის წინდების საწარმოო გაერთიანების გამომშვები უბანი. კომკავშირის 50 წლის სახელობის ახალგაზრდული ბრიგადა. მარცხნიდან: ციცინო ნარსია, ქეთევან აზარაშვილი (ბრიგადის ხელმძღვანელი), დალი ხუფენია და მარინე შუკაკიძე.

თარხან არჩვაძის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლამაზი არის თბილისში ყველა...

**ლამარა თელია**

წელიწადის დროთა ქალღმერთი — გაზაფხული მობრძანდა თბილისში.

ატმის ყვავილთა ფურცლები ვარდისფრად ელავენ, ნუშისა და ტყემლის — სპეტაკი თეთრია, ყოჩივარდების — ღია მოლურჯო, ცისფერ ცაზე ბამბის ქულებივით ღრუბლები ლივლივებენ, თითქოს ვიღაცას კაბადონის კიდეზე ხელი ჩაუვლია და ნელ-ნელა ბერტყავს.

ციური ლომიძე მონუსხული დგას, ხედავს და უსმენს ფერთა სიმფონიას. „რა ლამაზი ხარ, ჩემო თბილისო, შენ გენაცვალე! თქვენც რა კარგები და რა ნაირფერები ხართ“, — თვალი შეავლო ჯეირნებივით ყელმოღერებულ გოგონებს და გული შეუქანდა ციურის: ერთს თეთრი პულოვერი აცვია, მეორეს შინდისფერი ჟაკეტი, იმ ოქროსფერთმიან ფერიას ზოლებიანი სვიტერი აურჩევია.

საკუთარი ნახელავი იცნო და თავი ვერ შეიკავა ციურიმ, გოგონებს გაუღიმა.

გოგონებმაც ღიმილით უპასუხეს, გაუბედავად მიესალმნენ, მერე მოუბოდიშეს:— უკაცრავად, ნაცნობი გვეგონეთ...

— რას მებოდიშებით, ჩემო კარგებო, ნაცნობი ვარ, აბა რა! აი, ეგ პულოვერები და ჟაკეტები, ასე რომ დაგიმშვენებიათ, ჩემი ბრიგადის წევრების ნახელავია.

— თქვენ მხატვარ-მოდელიორი ხართ?

— არა, მუშა ვარ. თბილისის ტრიკოტაჟის პირველი ფაბრიკის მკერავთა ბრიგადის ხელმძღვანელი გახლავართ. გვესტუმრეთ სამკერვალო საამქროში, ბევრ საინტერესოს გიჩვენებთ და მოგითხრობთ!

...1962 წლიდან, ფაბრიკის დაარსების პირველი დღიდან, ამ კედლებში მიდის ციური ლომიძის ცხოვრება.

თბილისის 85-ე საშუალო სკოლა დაამთავრა თუ არა, სამკერვალო საამქროში მოწაფედ მიიღეს. მალე დამოუკიდებლად მიუჯდა საკერავ მანქანას. 1967 წელს ბრიგადის ხელმძღვანელად აირჩიეს.

ბრიგადა პატარა არავის ეგონოს — 60 ქალის ცხოვრებისა და შრომის თანაზიარია ციური; ყოველი მათგანის სულის მესაიდუმლე, გაჭირვებისა და სიხარულის გამზიარებელი, მათი შვილებისა თუ შვილიშვილების დედობილი და შემწე! რამდენი ღამე გაუთენებია ავადმყოფი მეგობრის სასთუმალთან, რამდენ ქორწილში გაუხარია მეგობართა ბედნიერების შემყურეს!

ბრიგადის ყოველი წევრი მისთვის ახლობელი ადამიანია, — გვიამბობს ფაბრიკის მთავარი ინჟინერი ლალი ქვარცხავა, — ციური ლომიძისთვის შრომა სასიცოცხლო მოთხოვნილებას წარმოადგენს. მაღალი დისციპლინა და დაკისრებული საქმისადმი დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა ახასიათებს. ფაბრიკაში ყველაზე ადრე მოდის და ყველაზე გვიან მიდის. ეს ლამაზი სიტყვები როდია, — მისთვის შრომა საზოგადოებრივი აუცილებლობიდან თანდათან გადაიქცა შემოქმედებით მოთხოვნილებად. ერთგულია და ულალატო, გეგმას ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებს, მისი პროდუქციაც პირველი ან უმაღლესი კატეგორიისაა, რომელიც ხარისხის ნიშნით გადის.

ლალი ქვარცხავას ამ სიტყვებს ბეჭედს უსვამს ფაბრიკის მთელი კოლექტივი.

...ციურიმ საკერავი მანქანების მწკრივებს შორის ჩამოიარა, თვალის ერთი გადავლებით შეამოწმა ყოველი მათგანი; ამ საკერავ მანქანასთან ოლია დოლაქიძე ზის, ოვერლოკზე ლეილა კალატოზიშვილი მუშაობს, ღილებს ლუიზა ქეშელაშვილი აკერებს; მზა პროდუქციის მაგიდაზე ვენერა გერკენაშვილი და ლალი როსოფიძის ნახელავი ალაგია.

საამქრო ნელ-ნელა ივსება ქალებით. შემოდიან ქართველები, რუსები, სომხები, ოსები, ქურთები... ზოგი წყნარად შემოდის, ზოგის სიცილი და ხმამაღალი ლაპარაკი შორიდან ისმის. ციურიმ კარგად იცის ყოველი მათგანის ხასიათი.



ციური ლომიძე და მკერავი ლალი როსოფიძე.

სამუშაო დღე დაიწყო, — საკერავი მანქანების ყურს შეჩვეული ზუზუნით, ყოველდღიური წვრილმანი თუ მსხვილმანი პრობლემებით.

შესვენება დაიწყო და სწორედ ამ დროს დაურეკეს ციურის საშვთა ბიუროდან, თქვენთან სტუმრები არიანო.

გოგონები გუშინდელივით ისევ გამოწყობილნი მოვიდნენ. ფაბრიკის დირექტორის ეველინა თავაძის ნებართვით ციურიმ სტუმრები საამქროებში მიიწვია.

— აი, აქ ნართი შემოდის, რომელიც საქსოვ საამქროში გადადის. ქსოვილს გამომჭრელები ღებულობენ, მერე კი სამკერვალო საამქროში, ესე იგი, ჩვენთან აგზავნიან. ჩვენ ვკერავთ სვიტერებს, ჟაკეტებს, კაბებს, შარვლებს, პულოვერებს, სპორტულ კოსტიუმებს, ბავშვის ტანსაცმელს.

როგორი ლამაზი და ამაღლებულიც არ უნდა იყოს ადამიანი, თუ იგი არ იცვამს გარეგნობისათვის შესაფერისი ფორმისა და ფერის ტანსაცმელს, ცოტას როდი კარგავს. ტყუილად კი არ ამბობენ: ადამიანი— ეს არის სტილი! უძველესი ჩინური ფილოსოფია, როცა ადამიანის ხუთ თვისებას ასახელებს, პირველ ადგილს უთმობს


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№3 (555) მარტი. 1983

ჟურნალი გამოდის 1928 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

მთავარი რედაქტორი

ხუტა ბერულავა

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა



© „დროშა“, 1983 წ.

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე (პ/მგ. მდივანი), ნათელა გიორგობიანი, თენგიზ გოგოლაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ოთარ დემეტრაშვილი, გურამ დოჩანაშვილი, სერგო დურმიშიძე, ოთარ თურქია, რევაზ მარგიანი, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღუა, უჩა ჯაფარიძე.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



ლუიზა ქეშელაშვილი, რუსუდან ქაჯაია და ოლია დოლაქიძე.

გარეგნულ იერს. დღეს უკვე საქვეყნოდ არის აღიარებული, რომ თბილისელი ქალები არავის ჩამოუვარდებიან ჩაცმის ხელოვნებისა. თუ ელეგანტურობის მხრივ. გამოჩენილ ფრანგ მოდელიორს პოლ პუარეს უთქვამს: „მე კმაყოფილი ვარ მაშინ, როდესაც ჩემი კაბების სისადავით იხიბლებიან. სადა კაბის ყველა დეტალი მთლიანობის საერთო ჰარმონიაში ქრება. უვიცი სიმდიდრეს სილამაზედ მიიჩნევს, ფუფუნებას — ელეგანტურობად. მე ომს ვუცხადებ ამ ბრწყინვალე უაზრობას“.

ჩვენს ფაბრიკაში ასორტიმენტი სამოდელო ლაბორატორიაში იქმნება. სამხატვრო საბჭო, რომელსაც მთავარი ინჟინერი ლალი ქვარცხავა მეთაურობს, მოდელების დამტკიცებისას ითვალისწინებს თქვენისთანა ლამაზი ქალიშვილების გემოვნებას, პრაქტიკულობას, მოთხოვნილების მაღალ დონეს. და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, ლადო ასათიანის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ლამაზი არის თბილისში ყველა“, რა უფლება გვაქვს, ამ ლამაზთა შესაფერი ტანსაცმელი არ შევკეროთ?!

გოგონები მოხიბლულნი უსმენენ ციური ლომიძეს, გატაცებით ათვალიერებენ ფაბრიკის დიდ, ნათელ საამქროებს. სკოლას რომ დავამთავრებთ, უსათუოდ აქ მოვალთ სამუშაოდო, ფიქრობენ...

ჩვენ სამართლიანად ვუწოდებთ შემოქმედებით შრომას გმირობას, ვუწოდებთ მას მუსიკას, სიხარულს, შთაგონებას. მაგრამ შრომა მხოლოდ მაშინ არის ასეთი, როცა საკუთარი საქმე გიყვარს. და თუ გიყვარს, ნებისმიერ სიძნელეს გადალახავ და შენი ცხოვრების აზრსაც იპოვი.

აი ასეთი აზრი უპოვიათ ფაბრიკის სახელოვან კოლექტივში ციური ლომიძეს და მის მეგობრებს.

## „ზარია ვოსტოკას“ ჟურნალისტებს — მაღალი ჯილდო

გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ მუშაკებს — **ნიკოლოზ ჩერქეზიშვილს, გივი ფაცურიას, მიხეილ გულიევს** და **ალექსანდრე ფრიდმანს** პუბლიცისტური წიგნებისათვის „ხალხის შუაგულში“ (1981 წელი) და „გარდატეხა“ (1982 წელი) მიენიჭათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემია — „ხუთწლედის მატიანე“.

ჟურნალ „დროშის“ კოლექტივი სულითა და გულით ულოცავს ძვირფას კოლეგებს დამსახურებულ ჯილდოს და უსურვებს მათ ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

# პარტიის სამსახური, ხალხის სამსახური

**ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი,**
გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამოცი წლის წინათ ამიერკავკასიის მშრომელებმა გადაშალეს „ზარია ვოსტოკას“ პირველი ნომერი — გაზეთისა, რომელიც საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის შემდეგ გახდა მაცნე სამი მოძმე რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციებისა. რუპორი ინტერნაციონალისტ-ლენინელებისა, რომლებმაც თავიანთ მიწა-წყალზე დაამკვიდრეს საბჭოთა ხელისუფლება. „ზარია ვოსტოკას“ აკვანთან იდგა კომუნისტური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწეთა პლეადა — სერგო ორჯონიკიძე, მამია ორახელაშვილი, ალექსანდრე მიასნიკოვი, შალვა ელიავა, ფილიპე მახარაძე... სწორედ მათ მისცეს გაზეთს ის მებრძოლი, შემტევი ლენინური ტონი, რომლითაც ათწლეულების მანძილზე გამოირჩევიან „ზარია ვოსტოკას“ ჟურნალისტები.

„იყო არა მარტო მოწმე, არა მარტო მემატიანე სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობისა, არამედ მისი აქტიური, უშუალო მონაწილეც“, — ეს დევიზი იქცა სარედაქციო კოლექტივის ცხოვრების ნორმად. მიწის მთხრელთა მხარდამხარ ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე, კოლმეურნეობების უშიშარი ორგანიზატორების, დაუცხრომელი მშრომელების მხარდამხარ ომისწინა ხუთწლედების მშენებლობებზე — ასეთებად წარმოგვიდგებიან იმ ლეგენდარული წლების ზარიავოსტოკელი ჟურნალისტები.

დიდი სამამულო ომის წლებში „ზარია ვოსტოკას“ ბევრმა ჟურნალისტმა თავისი სისხლით, თავისი სიცოცხლით დაამტკიცა, რომ მოთხოვნა — კალამი ხიშტს გავუთანაბროთ — მათთვის მხოლოდ პოეტური ფორმულა კი არა, პარტიული ჟურნალისტის — პატრიოტისა და მოქალაქის უპირველესი მოვალეობაა. „ზარია ვოსტოკას“ კორესპონდენტის მანდატით გაიარეს მათ ფაშიზმთან ბრძოლის ქარცეცხლიანი გზები, მრავალი მათგანი ვეღარ დაუბრუნდა თავის ჟურნალისტურ სამუშაო ადგილს. და როცა ჩვენ ყვავილებით ვამკობთ გამარჯვების პარკში უცნობი ჯარისკაცის საფლავს. ამით გამოვხატავთ ჩვენი წინამორბედების — მეომარი ჟურნალისტებისადმი უღრმესი მადლიერების გრძნობასაც.

უდიდესი ორგანიზატორული და პროპაგანდისტული მუშაობა გასწია „ზარია ვოსტოკამ“ ომისშემდგომი აღორძინების წლებში. მისი კორესპონდენტები — ისევ და ისევ არა მარტო როგორც მოწმენი ან მემატიანენი, არამედ როგორც უშუალო მონაწილენი — აშენებდნენ რუსთავს და ქუთაისის საავტომობილო ქარხანას, ღრმად და დაინტერესებით სწვდებოდნენ რესპუბლიკის სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების ახალ ეტაპს, მგზნებარედ და რწმენით ალსავსენი აზიარებდნენ ქალაქისა და სოფლის მშრომელებს ხალხთა ურღვევი ძმური მეგობრობის ლენინურ იდეებს.

ჩვენ სიამაყით ვამტკიცებთ დღეს, რომ ზარიავოსტოკელთა ახლანდელმა თაობამ თავისი უფროსი ამხანაგებისაგან მიიღო პარტიის უანგარო სამსახურის ესტაფეტა, ხალხის ერთგული სამსახურის ესტაფეტა.

ხალხში ამბობენ, რომ დროსაც აქვს თავისი ნიშნები: წელი წელს არ ჰგავს, ათწლეული — ათწლეულს. ამ აზრის სისწორეს განსაკუთრებით მწვავედ გრძნობ, როცა თვალს ავლებ „ზარია ვოსტოკას“ ისტორიის ბოლო ათწლეულს. საქმე ის კი არ არის, რა თქმა უნდა, რომ გაზეთს რაღაც განსაკუთრებული ბედი ხვდა წილად, მთავარია თავისი მასშტაბით, თავისი შინაარსითა და სირთულით განსაკუთრებული ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა მოუხდათ სამოცდაათიან წლებში რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას, საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელს.

„სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ, რომელიც ისტორიულია რესპუბლიკისა და მისი კომუნისტური პარტიისათვის, მოუწოდა პარტიულ პუბლიცისტიკას, დამდგარიყო ჩვენს რესპუბლიკაში პარტიული, სახელმწიფო, სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენისა და ყველგან დამკვიდრებისათვის ბრძოლის წინა ხაზზე. „ზარია ვოსტოკამ“ ეს მოწოდება აღიქვა, როგორც თავისი ორგანიზატორული და პროპაგანდისტული საქმიანობის ვრცელი პროგრამა, როგორც მოთხოვნა ახალ პირობებში გაუთანაბროს კალამი ხიშტს. რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის რიგებში და მისი ხელმძღვანელობით „ზარია ვოსტოკა“ უცვლელ ვახტზე დგა' იმ ბრძოლაში, რომელიც დაიწყეს ოესპუბლიკის კომუნისტებმა, ყველა პატიოსანმა მშრომელმა სამოცდაათიან წლებში, რომელიც გრძელდება — თანამიმდევრულად და უკომპრომისოდ — დღეს და რომელიც გამარჯვებით დაგვირგვინდება.

ცნობილია, რომ დიდი ოქტომბრის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში მომხდარ რევოლუციურ გარდაქმნათა ერთ-ერთი მთავარი შედეგია საბჭოთა ცხოვრების წესის ჩამოყალიბება და დამკვიდრება. განვითარებული სოციალისტური საზოგადოება რომ ავაშენოთ, ჩვენ ფეხი შევდგით საბჭოთა ცხოვრების წესის სიმწიფის ხანაში. ამიტომ იყო, რომ სწორედ სამოცდაათიან წლებში „ზარია ვოსტოკას“ მუშაობაში მკაფიოდ დაისახა ორი ძირითადი მიმართულება; საბჭოთა ცხოვრების წესის წარუვალ ისტორიულ ღირებულებათა გაღრმავებული წარმოჩენა და მწვავე, დასაბუთებული კრიტიკა ყოველივე იმისა, რაც ეწინააღმდეგება

საბჭოთა ცხოვრების წესს. „ზარია ვოსტოკას“ ბიოგრაფიის ათწლეულმა — სამოცდაათიანმა წლებმა, გაზეთის მიერ ამ პერიოდში შეძენილმა ორგანიზატორულმა და პოლიტიკურმა გამოცდილებამ რედაქციის კოლექტივს შეუქმნა მარაგნამეტი, რომელმაც შესაძლებლობა მისცა გაზეთს სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დამთავრებისთანავე აქტიურად ჩაბმულიყო ქვეყნისა და რესპუბლიკის კომუნისტთა უმაღლესი ფორუმების გადაწყვეტილებათა უთუოდ შესრულებისათვის ბრძოლაში. ამის წარმოსაჩენად შეგახსენებთ გაზეთის მხოლოდ ერთ გეზს — რუბრიკას „ძმაო ძმითა ხარ ძლიერი. სოციალისტური შეჯიბრება ინტერნაციონალიზმის სკოლაა“. ამ გეზმა შესაძლებლობა მოგვცა მკითხველთა მასისათვის ჩაგვენერგა იმის მაღალი გაგება, რომ დღეს უფრო, ვიდრე ოდესმე, ჩვენი გეგმების ბედი, კომუნისტური მშენებლობის მაგისტრალებით ჩვენი წინსვლის ინტენსიურობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ასრულებს თავის პარტიულ მოვალეობას ყოველი კომუნისტი, როგორ ასრულებს თავის მოქალაქეობრივ, ინტერნაციონალისტურ მოვალეობას ყოველი მშრომელი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმი, იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის მოხსენება „სსრ კავშირის 60 წელი“, მოსკოველ ჩარხმშენებლებთან ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის შეხვედრა ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, თუ რაოდენ სწორია ჩვენ მიერ არჩეული ორგანიზატორული და პროპაგანდისტული მუშაობის მიმართულება. საბჭოთა ცხოვრების წესი ხომ მეტად მნიშვნელოვანი, მაგრამ ამასთან მეტად მარტივი ელემენტებისაგან შედგება: რაც უფრო უკეთ ვიმუშავებთ, მით უკეთ ვიცხოვრებთ. სასიხარულოა, რომ მონაწილენი გადაძახილისა „ძმაო ძმითა ხარ ძლიერი. სოციალისტური შეჯიბრება ინტერნაციონალიზმის სკოლაა“ იმ დღეებში, როცა აღინიშნება „ზარია ვოსტოკას“ პირველი ნომრის გამოსვლის სამოცი წლისთავი, გაზეთის ინიციატივით დებენ შრომითი მეტოქეობის ახალ ხელშეკრულებას, რომლის მიზანია ჩვენი ლენინური პარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრა.

ვფიქრობთ, აქ საჭიროა შემდეგიც ითქვას. სოციალისტური შეჯიბრება შრომითი მეტოქეობაა, რომელიც მიზნად ისახავს უმაღლესი შედეგების მიღწევას ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში. იგი საბოლოო ანგარიშით მიზნად ისახავს იმას, რომ თანამიმდევრულად განხორციელდეს პარტიის საპროგრამო ლოზუნგი „ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის“. სოციალისტურმა შეჯიბრებამ შრომითს მეტოქეობაში ჩაბმულ პარტნიორთა შორის დაამკვიდრა ურთიერთდახმარება. მზადყოფნა, გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება და ოსტატობის „საიდუმლოება“, დაამკვიდრა დიდი დაინტერესება თანამოსაქმე მეტოქის წარმატებით. ქვეყნის მასშტაბით სოციალისტური შეჯიბრების, და მაშასადამე, მთლიანად საბჭოთა ცხოვრების წესის ამ ნიშნებმა ინტერნაციონალისტური ხასიათი შეიძინა: ქვეყნის ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში მისი სხვადასხვა რეგიონის წარმოებითი ურთიერთობა სულ უფრო და უფრო განისაზღვრება საბოლოო მიზნების წარმატებული მიღწევის საქმეში ურთიერთდაინტერესებით, და ესეც დღეს საბჭოთა ცხოვრების წესის ერთ-ერთი ძირითადი ნიშნის ხასიათს იძენს.

საქმიანი, წინათ კი ფრონტული თანამეგობრობის, შეჯიბრების, ურთიერთდახმარების, ცალკეულ ქალაქებს, რაიონებს, შრომითს კოლექტივებს, კონკრეტულ ადამიანებს შორის მუდმივი კონტაქტების უამრავი ძარღვით არის დაკავშირებული საქართველო მთელ ჩვენს მრავალეროვან ქვეყანასთან. ბევრ ამ კავშირ-ურთიერთობას დიდიხნის ისტორია აქვს, ზოგიერთს კი საფუძველი ეყრება ახლანდელი თაობის თვალწინ. და ყველა ეს კავშირი ცხოველმყოფელია, სტიმულს აძლევს ეკონომიკის განვითარებას, სასიკეთო გავლენას ახდენს ადამიანების ზნეობრივ, სულიერ იერზე, აფართოებს მათს წარმოდგენას სამშობლოზე, უვითარებს პატრიოტიზმის გრძნობას, საერთო საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობას. ჩვენს ამოცანად მიგვაჩნია, ასეთი თვისებები ყოველი მშრომელის ხასიათის, ქცევის განმსაზღვრელი გახდეს. ი. ვ. ანდროპოვმა მოსკოვის ჩარხმშენებლებთან შეხვედრის დროს თქვა: „აი ჩვენ გვყავს მოწინავენი, პატივი და დიდება მათ. ესენი თაოსნები, შუქურები არიან, რომელთა მაგალითს ვბაძავთ. მაგრამ მარტოოდენ მოწინავეთა მეცადინეობით ვერ გადავწყვეტთ ამოცანას“...

ეს მეტად მნიშვნელოვანი აზრია.

ჩვენს საგაზეთო მუშაობაში ხომ ჩვენც გვყავს ჩვენი მოწინავენი, ჩვენი შუქურები: ესენი რესპუბლიკის საუკეთესო ადამიანები არიან, რომლებიც არა მარტო კითხულობენ „ზარია ვოსტოკას“, არამედ აქტიურად მონაწილეობენ მისი ყოველი ნომრის შექმნაში. ჩვენ ძალიან გვინდა, რომ ყოველმა ჩვენმა მკითხველმა სწორედ ასეთი პოზიცია დაიკავოს, გაზეთს აღიქვამდეს როგორც თავის ახლო მეგობარსა და მრჩეველს, და თავის მხრივ თვით იყოს მისი ახლო მეგობარი და საქმიანი მრჩეველი.

„ზარია ვოსტოკა“ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანოა. მათ ზრუნვას რედაქციის კოლექტივი ყოველდღიურად გრძნობს. ყურადღებას არ გვაკლებენ საბჭოთა პრესის ფლაგმანიც — ლენინური „პრავდა“, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირი. გულთბილ სიტყვებს, რომლებიც ჩვენ შესახებ ითქვა „პრავდის“ ფურცლებზე, პრემიებს, რომლებითაც სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირმა დააჯილდოვა „ზარია ვოსტოკა“ ბოლო წლებში, აღვიქვამთ სამერმისო ავანსად, იმ რწმენის გამოხატულებად, რომ ნაკლოვანებებს — ისინი კი, სამწუხაროდ, ბევრია ჩვენს მუშაობაში.—აღმოვფხვრით.

„ზარია ვოსტოკა“ აუცილებლად გაამართლებს ამ რწმენას, იმიტომ რომ ემსახურება პარტიას, ემსახურება ხალხს.

# რუსთაველის პრემიის 1982 წლის ლაურეატები

ეროვნული ბიბლიოთეკა







ხესილია თაყაიშვილი

ელისო ვირსალაძე

ლიანა ისაკაძე







რევაზ ჯაფარიძე

ოთარ ჭილაძე

გურამ ქუთათელაძე

ჟურნალ „დროშის“ კოლექტივი თავის მრავალრიცხოვან მკითხველებთან ერთად სულითა და გულით ულოცავს მშობლიური კულტურის სახელოვან წარმომადგენლებს — რუსთაველის პრემიის ახალ ლაურეატებს. კიდევ ერთხელ მოწიწებით აღნიშნავს აწ გარდაცვლილი მხატვრის გურამ ქუთათელაძის შემოქმედებით წარმატებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქმე საშვილიშვილო

**ჰამლეტ კერესელიძე,**

საქართველოს კპ დუშეთის რაიკომის პირველი მდივანი

ივანე მიჩურინმა კაკალს მომავლის პური უწოდა. ეს ლიტონი სიტყვები როდი იყო, დიდმა ბიოლოგმა უწყოდა, კაკლოვანთა ჯიშის ღირსება.

დიდი იყო ამ გემრიელი ნაყოფისა და ძვირფასი მერქნის მომცემი ხისადმი ჩვენი წინაპრების სიყვარული. ამაზე ნათლად მეტყველებს, თუნდაც, მთაში შემორჩენილი კაკლის ასწლოვანი ხეივნები, რომელთაც დრომ და ავმა ხელმა ვერაფერი დააკლო.

დღეს ისევ ჩავდექით წინაპართა კვალში: მასიურად დავიწყეთ კაკლის კორომების გაშენება. ამ საშვილიშვილო საქმისაკენ შემოგვაბრუნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ ჩვენს რესპუბლიკაში მეკაკლეობის შემდგომი განვითარებისა და კაკლოვანთა ფართობების გადიდების ღონისძიებათა შესახებ.

კაკლის კულტურის მომრავლებისათვის მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განვახორციელეთ. მეტი ყურადღება დავუთმეთ კაკლოვანთა ნერგების გაშენებას, დაცვას, მოვლას, საყოფაცხოვრებო მიზნით მისი ნაყოფის გამოყენებას. დუშეთის საკონსერვო ქარხანამ რესპუბლიკაში ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო კაკლის მურაბის დამზადება, რომელმაც საუკეთესო თვისებებით ხარისხის ნიშანი დაიმსახურა. ახლა ამ პროდუქციას ვაწვდით არამარტო სამშობლოს, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნებსაც.

დუშეთის რაიონში მეკაკლეობის განვითარების შესანიშნავი გეოგრაფიული და ბუნებრივი პირობებია. სიმბოლური იყო ისიც, რომ ამ დიდი ეროვნული საქმის პირველი ნერგები აქ, ჟინვალის ახლადაღორძინებულ ძველთაძველ მიწაზე, აშრიალდნენ.

1982 წლის 16 აპრილს დუშელმა ახალგაზრდებმა მოუწოდეს რესპუბლიკის მშრომელებს: დავამშვენოთ საქართველო კაკლის თვალუწვდენელი კორომებით!

— შესანიშნავი თაოსნობა გამოიჩინეთ თქვენ, დუშეთის რაიონის ახალგაზრდებმა, როცა გადაწყვიტეთ, გააშენოთ 40 ათასი ძირი კაკლის ხე, — ასე მიმართა მაშინ დუშელ ახალგაზრდებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ედუარდ შევარდნაძემ, — დაე, 80-იანი წლების ახალგაზრდობამ თავის ბიოგრაფიაში ოქროს ასოებით ჩაწეროს, რომ აღადგინა და გაამრავლა ეს ეროვნული ხე, ეს წმინდა ხე... დაე, ეს იყოს თქვენი მწვანე ავტოგრაფი, რომელსაც სიამოვნებით დახედავს მომავალი თაობა!

ამ სიტყვებმა მეტი ძალა და შემართება შემატა ყველას. მთელი რაიონი დაირაზმა, რომ გაეხარებინა 40 ათასი ძირი კაკლის ხე — ე. ი. რაიონის თითოეულ მოსახლეზე თითო ძირი.

დიდი დრო არ გასულა ამ წამოწყებიდან და ახალგაზრდობის „მწვანე ავტოგრაფმა" მართლაც დაამშვენა ჩვენი რაიონი. ეს ეროვნული, ფესვმაგარი ხე უკვე ლაღად შრიალებს გზისპირებსა და ტყისპირებზე, ჭალებსა და ეზოებში. აღსანიშნავია ისიც, რომ თითოეულ დარგულ კაკლის ხეს პირუტყვისაგან დასაცავად ინდივიდუალური ღობე უკეთდება.

სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის აღსანიშნავად მოწყობილ შაბათობებზე, ამ საშვილიშვილო საქმეს სიამოვნებით ასრულებდა რაიონის ყველა გლეხკაცი და მუშა, მეტყევე და ექიმი, გვირაბგამყვანი და მებულდოზერე, პედაგოგი და გზათამშენებელი, მეცხვარე და მოსწავლე...

დუშეთის რაიონში ორგანიზებულად ჩატარდა კაკლის გაშენების ორთვიური, რომლის დროსაც კაკლის ხეივნებს კიდევ ასობით ძირი ნარგავი შევმატეთ. არც მოსახლეობას ვტოვებთ უყურადღებოდ: მათაც სისტემატურად ვაძლევთ ნერგებს საკარმიდამო ნაკვეთებსა და ეზოებში დასარგავად.

კომკავშირელთა და ახალგაზრდობის თაოსნობას ხალისით დაუჭირეს მხარი რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პიონერებმა და მოსწავლეებმა; მათ საკუთარი სანერგეები მოაწყვეს და სკოლების მისადგომები, ეზოები კაკლის ნერგებით დაამშვენეს.

სკოლებში მოქმედებენ „მწვანე პატრულთა" ჯგუფები, რომელთა მიზანია კაკლის ნერგის გამოყვანა, მათი მოშენება, მოვლა-პატრონობა. აი, თუნდაც ერთი მაგალითი: შარშან, დუშეთის მეორე საშუალო სკოლის ნაკვეთზე მოსწავლეებმა 2.500 ძირი კაკლის ნერგი გამოიყვანეს. ამ ნერგებს სათანადო მოვლა-პატრონობის შემდეგ რაიონის ტერიტორიაზე დარგავენ. დუშეთის მეორე საშუალო სკოლა ერთადერთი როდია. ამ საქმეს დიდი სიყვარულითა და მონდომებით მოჰკიდეს ხელი სხვა სკოლებმაც.

ჩვენი რაიონის სოფლებში, რომელთაც ახსოვთ დუშეთის მაზრის გლეხთა აჯანყების მღელვარე დღეები, ახსოვთ დიდ სამამულო ომში მიმავალ ვაჟკაცთა ფიცი, ცოტა როდია შემორჩენილი ტოტებჩამომსხვრეული, დაკორძებული კაკლის ხეები და ნიშკაკლები. დღეს იმ ბებერი კაკლების გვერდით ახალმა სიცოცხლემ დაიდო ბინა, კაკლის ნორჩი ხეები აშრიალდა.

1982 წელს რაიონის ტერიტორიაზე დაირგო 11 ათასი ძირი კაკლის ხე, რომელთა დიდმა ნაწილმა გაიხარა.

დაიწყო მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე წელი. ცოტა კიდევ და ჩვენი რაიონის მშრომლები კვლავ კაკლის ახალი ხეივნების გაშენებას შეუდგებიან. მიმდინარე წელს, სულ ცოტა, 10.000 ძირი მიემატება მოშრიალე კორომებს.

ახლა, როცა მთელი ჩვენი რესპუბლიკა ემზადება რუსი და ქართველი ხალხის ძმობის პირველი მანიფესტის — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის შესახვედრად, დუშელმა ახალგაზრდებმა საზეიმოდ განაცხადეს, რომ საქართველოს სამხედრო გზის — მეგობრობისა და ძმობის გზის გაყოლებით, კაკლის ხეივნებს გააშენებენ.

ჩვენს წინაშე დასახული ყველა ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის საგულდაგულოდ ვემზადებით. დუშეთის სატყეო მეურნეობა სპეციალურად მოწყობილ სანერგეში 3000 ძირ კაკლის ნერგს გამოიყვანს. ნერგებს მოგვაწვდიან სასკოლო სანერგეებიც. ამით კიდევ უფრო დავამშვენებთ ჩვენს რაიონს, უფრო ლამაზსა და მდიდარს გავხდით მის ბუნებას.

გვინდა ვისარგებლოთ შემთხვევით და დიდი მადლობა მივუძღვნათ საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს, სატყეო მეურნეობის სამინისტროს და სანერგე მეურნეობების ტრესტის ხელმძღვანელობას დახმარებისათვის, რასაც ისინი გვიწევენ კაკლის ნერგით მომარაგების საქმეში.

დუშეთის რაიონის ახალგაზრდები, მშრომელები თავიანთ სიტყვას არ გასტეხენ და XI ხუთწლედის დასასრულამდის გაახარებენ 40 ათას ძირ კაკლის ნერგს. ჩვენ კვლავ მოვუწოდებთ საქართველოს მშრომელებს, აქტიურად ჩაებან ამ საშვილიშვილო საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გალაკტიონ ტაბიძე

### ახსნა

ღამეს ელვარე დღე შეუცვლია
თქვენი თვალების ღრმა სიბნელეთი,
ამნაირ გრძნობას ხომ შეუძლია,
დაიმორჩილოს მთელი ხმელეთი.

მომკალით! ყოფნა მაინც შუქია
თქვენზე ამართულ სადღეგრძელოთა,
შეხვედრა ენას ვერ შეუქია,
შეხვედრა განა ასე გველოდა?

თქვენ გაიხსენეთ, ო, გაიხსენეთ,
ო, გაიხსენეთ, ამ სიტყვებს იქით
რამდენი რამე ვერ აგიხსნიათ
ვერც ჩუმი ცრემლით, ვერც ლალის ჭიქით.

რისთვის მიყვარხართ? მე არ მაქვს ნება!
მაგნაირ გულით და სინაზეთი...
არის ამქვეყნად დაგვიანება—
მაგრამ ამდენ ხნით? მაგრამ ასეთი?

არის ამქვეყნად ვერხვი და სვია,
არის ამქვეყნად სიკვდილი ქალით...
ამ რევოლვერშიც არის რვა ტყვია,
ერთს გაიმეტებთ: მე გთხოვთ, მომკალით!

## იოსებ გრიშაშვილი

### ჩემი ალმართი

(რომანსი)

ეხლა შენ ჩემთან აღარ დადიხარ!
ამბობ: „შორს ცხოვრობ, ალმართი მღლავს!“
შენ რიოში ხარ, როგორც სადიხა!
და ჩვენს სიყვარულს არ უხდი ღალას!

როცა გიყვარდი, ვგავდი ია-ვარდს,
მე არ ვიცოდი, რა იყო დარდი!
ლექსად ვფანტავდი ფერთა ნიაღვარს,
როცა გიყვარდი... როცა გიყვარდი...

როცა გიყვარდი, ჩემი ხარფუხი
შენს შესახვედრად ფეხზე დგებოდა
და სუზსარქისის მკაცრი ქარბუქი
უნაზეს სიოდ გეჩვენებოდა.

როცა გიყვარდი, ბევრჯერ შევაქეთ
ჩვენი ტუჩების შირაზის ვარდი;
ჩემი ალმართი მიგაჩნდა ვაკედ,
როცა გიყვარდი... როცა გიყვარდი...

## კონსტანტინე გამსახურდია

### ზღვისფერი გაქვს თვალები...

ზღვისფერი გაქვს თვალები
და თავად ჰგავხარ ზღვას,
თუ არ შეგებრალები
და მისთხოვდები სხვას,
მივატოვებ გაზაფხულზე
თესვასა და ხვნას,
გადავლახავ ადიდებულ
ჭოროხსა და მტკვარს,

ცეცხლს გავატან შენს
სამყოფელს,
შენს სიყვარულს ქარს,
და მოგიკლავ, მოღალატევ,
მაგ ნაფერებ ქმარს...
ზღვისფერი გაქვს თვალები
და თავად ჰგავხარ ზღვას.

## ალიო მირცხულავა

### სამიჯნურო

ხემ იხარა, იხარა! ჯერ ყლორტები იყარა,
მერე ყვავილთ პეპლები თავზე გადაიყარა.

ვაშლის თეთრმა ასულმა, კვლავ იხარა, იხარა,
აილეწა, ათქვირდა, ყელი გადაიხარა.

მომაგონდა მიჯნური! სხვაგან არის, იქ არა,
ჩვენი ბაღის ბილიკი იქცა ნაბილიკარად.

ვეძიე და მოვნახე, ახლოს არ გამიკარა,
როგორც ელვის მახვილი, გესლი გულს გამიყარა.

ცეცხლი არ გამინელა, დარდი არ გამიქარა,
მიჯნურს ვეძებ მეჯნუნი, დავდივარ კარიკარა.

## გიორგი ლეონიძე

### მყვირალობა

ჩამაჭრდა კახეთს ჰაერი,
ტყეები გადიყირმიზა,
ენკენისთვეში მთებიდან
ისმის ყვირილი ირმისა.

— რასა ჰყვირიან ირმები
ყორან-მთას, ყარაიასა?
სახუნდარიდან მარეკი
გულში გაარტყამს ტყვიასა...

ხარი ირემი ფურს ეძებს,
მთაში ნასუქი ღიჭითა;
ქაფსა ჰყრის გადაკაწრული
ეკლებითა და ხიჭვითა.

თავი ანება ცალისთვის
იალაღების მწვანესა,
მოამტვრევს რქების ლაწანით
ჩალას, ტყეს, ლერწმოვანებსა.

დაშტერებული ჯოგები
მორბიან თავდაყირანი...
ხარი ფურს ეძებს ღრიალით,
მე — სიყვარულსა მყვირალი!

გახელებული ხარი ვარ,
[illegible]შს ვიღებ ნიავქარზედა,
[illegible]აჩვენეთ ჩემი ოცნება,
რქა მივაფშხვნა რქაზედა!

სულ მივამტვრიო, [illegible]ივლეწო,
გულში რაც გადაირაზა...
შევყვირებ,
როგორც ირმები
ჰყვირიან ყარაიასა!

## იოსებ ნონეშვილი

### შენ არა გაქვს მეფის გვარი...

შენ არა გაქვს მეფის გვარი,
ფრთაფარფატა თოლია,
მაშ, თვალები თამარქალის
როგორ გამოგყოლია?

არ მომეკრა შენთვის თვალი,
სიზმრად მაინც გნახავდი.
ხარ ყინწვისის ანგელოზი,
თეთრ ღრუბლებში ნახატი.

შენ სიყვარულს დავიფიცებ,
დაიჯერო იქნება,
ცისფერ კაბას ნუ ჩაიცმევ,
თეთრი უფრო გიხდება.

შენს სიყვარულს დავიფიცებ,
დაიჯერო იქნება,
წარბს ნუ შეჰკრავ, გენაცვალე,
ღიმილი გიხდება.

შენ არა გაქვს მეფის გვარი,
ფრთაფარფატა თოლია,
მაშ, თვალები თამარქალის
როგორ გამოგყოლია?!

* * *

რას გიყურებ?..
სურთ ამ თვალებს უმეცართ,
შეგამჩნიონ ნაკლიცა და
მშვენებაც,
თორემ, თუკი
შემიყვარდი უეცრად,
ყველაფერი კარგად
მომეჩვენება.



# დასაწყისი გზისა

## ია მუხრანელი

მღერის თამარ გვერდწითელი. მისი ხმა ხან აფეთქდება — მიიწევს მაღლა-მაღლა, ზეცისკენ, ხან ანკარა წყაროსავით არაკრაკდება, ხან კი ორკესტრთან ხმაშეწყობილს, უდიდესი ძალისხმევით შევყავართ მუსიკის უკიდეგანო სამყაროში.

საიდან მოსდევს ეს დიდი მადლი, ან როგორ შეძლო ამ ოცდაერთი წლის ქალიშვილმა მწვერვალზე ასვლა, რომლის დაპყრობასაც სხვები წლების მანძილზე უნდებიან, სად იღებს სათავეს ასეთი ნატიფი პოეტური სმენა და სულის სიღრმე, სიხარულისა და ტკივილების შეცნობის უნარი. რა არის ეს — თანდაყოლილი ნიჭი, შრომისმოყვარეობა, თუ ბედის გაღიმება?!

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა გაძნელდება, თუ არ გავადევნებთ თვალს თამარ გვერდწითელის შემოქმედებით გზას.

სამი წლისა იყო, სიმღერა რომ დაიწყო. ძალიან უყვარდა რომანსების მოსმენა დედის — ქალბატონ ინგას შესრულებით. დედამ აღმოაჩინა მასში მუსიკალური ნიჭი და ექვსი წლისა თბილისის ცენტრალურ საბავშვო მუსიკალურ სკოლაში შეიყვანა. თერთმეტი წლის თამრიკო „მზიურის" სოლისტი გახდა. ამავე დროს ეუფლებოდა საფორტეპიანო მუსიკის ხელოვნებას პროფესორ ნელი გაჩეჩილაძის ხელმძღვანელობით.

კომპოზიტორ ა. ლარის სიმღერის „გრენადის" შესრულების დროს, შესაძლოა, მას ეხმარებოდა ესპანურის ცოდნა, ან თავად სიმღერაში ჩაქსოვილი დრამატიზმის, ტკივილებისა და ხალხის მთელი ტრაგედიის სწორად აღქმა. თამრიკო ბულბულივით თავისუფლად მღეროდა „გრენადას", ამასთანავე მღეროდა ცხოვრებით დამძიმებული, ბედისწერასთან ორთაბრძოლაში გამარჯვებული ადამიანივით და აღფრთოვანებულ მსმენელთა მხურვალე ტაში ჩვენს ქვეყანაში თუ მის ფარგლებს გარეთ მადლობის ნიშანი იყო ამ პატარა გოგონასადმი.

ანსამბლში ყოფნისას შეიგრძნო თამრიკომ, თუ როგორ „ბატონობს" ხელოვნება ადამიანზე. განსაკუთრებით ჩარჩა მეხსიერებაში ჰოლანდიაში მომხდარი ერთი ამბავი: 1974 წელს „მზიური" ეპენში მართავდა კონცერტს მოსწავლეებისათვის. მაყურებლით სავსე დარბაზში ონავართა აურზაური იდგა. სცენაზე ათასგვარ ნივთებს ისროდნენ. თამრიკომ სიმღერა რომ დაიწყო, ყველა გაინაბა. სიმღერის დასასრულს კი ტაშმა იგრიალა. სიმღერამ ადამიანების გულებისკენ გზა გაიკაფა. კონცერტის შემდეგ ბავშვები „მზიურის" ავტობუსს აედევნენ და მოსდევდნენ თვალებში სხივჩამდგარნი. მაშინ შეიგრძნო პირველად თამრიკომ ბერძნული სიტყვის „კათარზისის" — მშვენიერებით განწმენდის არსი.

— ათი წელი სიმღერით ვცხოვრობდით, — გვიამბობს თამარი, — ჩვენთვის, „მზიურელებისთვის", რომლებმაც მარტო სიმღერა კი არა, ყველა ინსტრუმენტზე დაკვრაც ვიცოდით, ეს ათი წელი იყო არა მარტო ხელოვნების დიდი სკოლა, არამედ მეგობრობის, ინტერნაციონალიზმის და ცხოვრების უტყუარი მასწავლებელიც. ჩვენ ერთად მოვიარეთ მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანა: კვიპროსი, საბერძნეთი, იტალია, ჰოლანდია, მალტა... და ვცდილობდით, მუსიკით გაგვეცნო და დაგვეახლოვებინა ისინი ჩვენს მშობლიურ საქართველოსთან.

მაღალმა ჯილდომ — ლენინური კომკავშირის პრემიამ ერთგვარად განსაზღვრა გარკვეული ეტაპი როგორც „მზიურის" ბიოგრაფიაში, ასევე ყოველი ჩვენგანის ცხოვრებაში.

შემდგომში თამარმა გააგრძელა სერიოზული მუშაობა მუსიკაში და 1979 წელს თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტი გახდა (ფორტეპიანოს განხრით). თითქოს გაირკვა მომავალი, მაგრამ სიმღერა უხმობდა და მოსვენებას არ აძლევდა. 1980 წელს, კონკურსამდე ოთხი დღით ადრე, შესთავაზეს დნეპროპეტროვსკში გამგზავრება საბჭოთა სიმღერის ახალგაზრდა შემსრულებელთა საკავშირო დათვალიერებაზე. აქ მან შეასრულა ვაჟა აზარაშვილის „მუსიკა" და რევაზ ლაღიძის „თბილისო", ღირსეულად დაიმსახურა მეორე ადგილი. იმავე წელს სოჭში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე — „წითელი მიხაკი", თამარ გვერდწითელმა ჩამოიტოვა მეტოქეები და კონკურსის პირველი პრემია დაისაკუთრა. იმხანად კრიტიკოსები წერდნენ, რომ თამარი ფესტივალის მშვენება და აღმოჩენა იყო.

— კარგი მომღერალი, ჩემი აზრით, კარგად აჟღერებული სიტყვის შესრულებას, სცენაზე დაუძაბავად დგომას და მუსიკალურობას კი არ გულისხმობს, — ამბობს თამარი, — არამედ, უპირველეს ყოვლისა, ტემბრს და შესრულების შინაგან კულტურას, სიტყვისა და მელოდიის ჰარმონიულ შერწყმას. სიმღერით ზემოქმედება მხოლოდ მაშინ არის ეფექტური, როცა ტემბრში გადმოიღვრება მთელი შინაგანი ემოცია, პიროვნების არსი.

შემოქმედის თვითმყოფადობა, აი მთავარი, რის გამო ათასობით მაყურებელს უყვარს იგი.

ყოველი სიმღერის შესრულებას მაღალი პროფესიონალიზმი სჭირდება. მე პირადად, ძალიან მეხმარება პიანიზმის ცოდნა. მხოლოდ და მხოლოდ პროფესიონალიზმი გადაულობავს ესტრადაზე გზას ზერელე შესრულებას და კიდევ — სიმკაცრე საკუთარი თავისადმი. თექვსმეტი წლის ვიყავი ვაჟა აზარაშვილის სიმღერა „მუსიკას" რომ გავეცანი და მხოლოდ ცხრამეტი წლისამ გავბედე მისი შესრულება. სიმღერას მარტო შესრულება ხომ არ უნდა, იგი უნდა მომწიფდეს შენში, უნდა ჩააქსოვო ნაფიქრი და განცდილი, უნდა გახდეს შენი გულის ნაწილი...

ამბობენ, უნდა წერო მაშინ, როცა დუმილი შეუძლებელიაო. ეს აზრი სიმღერაზეც ვრცელდება, თ. გვერდწითელს მსმენელის სამსჯავროზე მხოლოდ ის სიმღერა გამოაქვს, რომელიც სულის პრიზმაში გაატარა და ნათელი აზრი, ტკივილნარევი სიყვარული ახლავს.

ქართულ ხალხურ სიმღერაზე, მის მშვენიერ, მრავალხმიან მელოდიებზე შეყვარებული, წლების მანძილზე ეუფლებოდა და შეიგრძნობდა საუკუნეების ქარცეცხლში გამოვლილ ჩვენს ეროვნულ ჰანგებს. და აი, არც თუ ისე დიდი ხნის წინ, მან შექმნა სიმღერა „მრავალჟამიერი" და მისივე შესრულებით 1982 წელს „თბილისობაზე" წარუდგა მსმენელს. ამ მშვენიერი სიმღერით მან თითქოს გვირგვინი დაადგა ჩვენი ქალაქის შესანიშნავ დღესასწაულს, განადიდა საყვარელი საქართველო.

ბოლოხანს კომპოზიციამ გაიტაცა თამარი. გადაწყვიტა, ამ პროფილით გააგრძელოს კონსერვატორიაში სწავლა. საათობით უზის ფორტეპიანოს. თხზავს პიესებს და, რა თქმა უნდა, სიმღერებსაც ამზადებს — თორმეტ სიმღერას ფირფიტაზე ჩასაწერად. არჩევს ახალ რეპერტუარს ტალინში გამოსასვლელად, სადაც მარტში შედგება სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის გასვლითი პლენუმი. მუშაობს გ. კალანდაძისა და ვ. ზუბკოვის სიმღერებზე. სხვათა შორის, კომპოზიტორმა ვ. ზუბკოვმა საგანგებოდ თამარისათვის დაწერა სიმღერა „ფიროსმანი", რადგან სწამს, რომ მას გააჩნია ის შინაგანი სიღრმე და ემოცია, რაც შეაძლებინებს კარგად გადმოსცეს ფიროსმანის ბედის ტრაგიკულობა და მისი ნიჭის მთელი არსი.

თამარ გვერდწითელი ჯერ მხოლოდ გზის დასაწყისშია. მას წინა აქვს მთელი ცხოვრება და საყვარელი საქმე — სიმღერა!

## ლექსი

### ზოია ვაშაკიძე

* * *

დაიძრა ფიქრი ახლებურ სუნთქვით,
ამოშრიალდა სიკეთის ნერგი.
თაობის „მწვანე ავტოგრაფებით"
მოხატულია მამულის მკერდი.
ფეთქავს სიცოცხლე თამარის ჯიშის,
სულხანის ჯიშის ხმაურობს სისხლი,
და საყვავილოდ გასაშლელ კვირტში
ხვალინდელი დღის სიცილი ისმის.
ხმაურობს მიწა, მის ფხვიერ კვალში
ფათურობს თბილად მზრუნველი ხელი,
და მოზღვავებულ სინათლის რკალში
ამაღლებული მამული მღერის...

* * *

როცა მინდვრის ყვავილებს
თმებში ფრთხილად ვიბნევდი,
როცა სოფლის მდელოებს
წამში შემოვირბენდი,
როცა პეპლებს დავდევდი
ქართან ნაალერსევი,
როცა ჩამაძინებდნენ
ძია შიოს ლექსებით,
თავყვითელა წიწილებს
უბეში რომ ვისვამდი,
ტყეს რომ ვეფერებოდი
შორ წისქვილთან მისვლამდი,
წყაროს რომ ჩავკოცნიდი
გულის კოვზთან მიღვარულს, —
თურმე მაშინ ვსწავლობდი
საქართველოს სიყვარულს.

* * *

შვილები მისას, ოჯახი მისას,
სტრიქონი მისას, მოყვასი მისას,
სისხლს და ხორცს მთხოვენ
სულ მისხალ-მისხალ.

— ალალი იყოს წმინდისა წმინდად,
წაიღეთ გული, მა, რისად მინდა!

გეორგიევსკის ტრაქტატი 200

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერეკლე მეფის წერილის ადრესატი

**რამაზ სურმანიძე,**

აჭარის ასსრ ჯანმრთელობის მინისტრი, სრულიად საკავშირო მედიკოს-ისტორიკოსთა საზოგადოების გამგეობის წევრი, დოცენტი.



იაკობ რეინეგსი

ჟურნალ „დროშის“ . 1982 წლის მე-7 ნომერში გამოქვეყნდა დოცენტ გიორგი ჯავახიშვილის სტატია — „ერეკლე მეფის წერილი“. ავტორს ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში რამდენიმე მნიშვნელოვანი საბუთისათვის მიუკვლევია. მათ შორის განსაკუთრებით საინტერესოა „ერეკლე მეფის წერილი უცნობ პირთან“... იგი, ავტორის თქმით, მიმართულია რუსეთის კარზე მყოფი პოლკოვნიკისადმი. ვინ იყო იგი?

დღემდე გამოქვეყნებული დოკუმენტების მიხედვით, ერეკლეს იმ დროისათვის მიმოწერა ჰქონდა პოლკოვნიკ ს. დ. ბურნაშოვთან და პოლკოვნიკ ვ. ს. ტამარასთან; კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული დოკუმენტებით, რომელთა ფოტოპირები ჩვენ ხელთა გვაქვს, ერეკლე მეორის ადრესატებს შორის არის აგრეთვე უნგრელი მოქალაქე, ეროვნებით გერმანელი იაკობ რეინეგსი (1744-1793), რომელიც ერეკლეს მოწვევით იმყოფებოდა საქართველოში.

რომელ მათგანს ეკუთვნის ზემოთ დასახელებული წერილი?

ჩვენი თხოვნით, წერილის ავტორმა გადმოგვიგზავნა „ერეკლე მეფის წერილის“ სრული ტექსტი, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ. წერილით შესაძლებელი ხდება დადგინდეს, ვინ არის მისი ადრესატი. მკითხველს მცირე შემოკლებით გავაცნობთ ამ წერილს:

„მაღალო მსვლელო უფალო, მოწყალე ხელმწიფევ! ქ: თქვენი მაღალმსვლელობა, რაც ლინიიდამ წასულა ერთის მეტი თქვენი წიგნი და ამბავი აღარა გვსმენია რა, თუმცა თქვენი უმაღლეს კარზედ ყოფა, ჩვენი საქმეებისა და ჩვენის ქვეყნის ბედნიერებისა დიდი შემწე არის... მოველით, რომ ყოველს მარჯუეს დროს, თქვენმა მაღალმსვლელობამ იმისის იმპერატორების დიდებულების ჩუენის ყოვლად მოწყალის ხელმწიფის მოწყალებითის ჩვენის ქვეყნის საბედნიეროს, რეზოლუციის სრულყოფა აღარ დააგვიანოთ, რათგან თქვენმა მაღალმსვლელობამ, კარგად იცის ჩვენის მეზობლების აღძვრა და იმათი აღშფოთებისადმი მოდგომა და იმათი ამ შფოთის ჩვენი ნიადაგი... და ამისათვის ვითხოვთ თქვენის მაღალმსვლელობისაგან, რომ თუ ბრძანება არ მიგეღოსთ იმისის უგანათლებულესობის კნიაზ გრიგორი ალექსანდროვიჩის პოტემკინისაგან, რომ აღარ დააგვიანოთ... სხვა აქაური და ჩვენის მეზობლების ამბავი უფლის პოლკოვნიკის ბურნაშევისაგან და ჩვენის მინისტრის კნიაზ ჭავჭავაძისაგან მოგხსენდებათ.

უფალო პოლკოვნიკო! ტამარა თორმეტ ამ თვეს გავისტუმრეთ სპარსეთისაკენ. ვგონებ, ახლა ერევანს იყოს და ჯერ იმისი ამბავი არა მოგვსვლია რა...

თებერვლის კა (21)

წელთა ჩღპე (1785)

ტფილისი“.

როგორც ვხედავთ, წერილის ტექსტში მოხსენებულნი არიან პოლკოვნიკები ბურნაშოვი და ტამარა, ამიტომ ეს წერილი მათდამი მიმართული არ არის. რჩება ი. რეინეგსი. ჩვენი აზრით, სწორედ მას უგზავნის ამ ბარათს ერეკლე მეფე, რაც დასტურდება შემდეგი გარემოებებით:

ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ დოკუმენტებში (1—1 კოლექცია, საბუთები 906 და 2002), ი. რეინეგსის ეპისტოლარული მემკვიდრეობა 24 კერძო წერილით არის წარმოდგენილი. აქედან 4 წერილში თვით მეფე ერეკლე (9 დეკემბერი, 1782 წ.), ვახტანგ ერეკლეს ძე (27 აპრილი, 1783 წ.), გიორგი ერეკლეს ძე (2 ივლისი, 1783 წ.) და ვინმე კაპიტანი არტემ ღალეგვა (1792 წ.) მას მიმართავენ როგორც „პოლკოვნიკს, დოხტურს“.

ი. რეინეგსი 1779 წლიდან 1783 წლის 10 ივნისამდე (დაახლოებით 6 თვის გამოკლებით, როცა ის პეტერბურგსა და იმერეთში იყო) იმყოფებოდა ერეკლე მეფის კარზე, როგორც ექიმი, გეოლოგი, მინერალოგი და დიპლომატი. მოკლე დროის მანძილზე ი. რეინეგსმა ზედმიწევნით კარგად შეისწავლა ქართული ენა და დიდი დახმარება გაუწია ერეკლე მეფეს სხვადასხვა რეფორმის გატარებაში. მისი მონაწილეობით აღადგინეს ქართული სტამბა, ქართული თეატრი, დაგეგმეს ევროპულ ყაიდაზე გაწვრთნილი პოლიციისა და ჯარის შედგენა, დაიწყეს ლითონების გამოდნობა, ზარბაზნების ჩამოსხმა, იარაღის და ტყვია-წამლის დამზადება და სხვა. ერთი სიტყვით, იგი ცდილობდა საქართველოს სამეფო კარზე დაენერგა ქვეყნის მართვისა და მეურნეობის გაძღოლის ევროპული წესები, რასაც ასე ესწრაფოდა ერეკლე მეფე. მრავალი ისტორიული წყაროთი დასტურდება, რომ ი. რეინეგსი ითვლება გეორგიევსკის ტრაქტატის ერთ-ერთ თანაავტორად.

როგორც ნიჭიერმა და მრავალმხრივ განსწავლულმა კაცმა, ი. რეინეგსმა დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა ერეკლეს კარზე. მადლიერმა მეფემ მას ბოლნისის შვიდი სოფელი აჩუქა, იაკობ ბეი უწოდა და თავის მრჩევლად დანიშნა. მისი სახელი და დიდება ცნობილი გახდა ეკატერინე მეორის ფავორიტის გრ. ა. პოტიომკინისთვის, რომელმაც მოინდომა ი. რეინეგსის გადაბირება. ერეკლეს მიერ პეტერბურგში განსაკუთრებული დავალებით მყოფი ი. რეინეგსი გრ. პოტიომკინმა საქართველოში დააბრუნა, როგორც რუსეთის კომისიონერი და დაავალა შეერიგებინა ერეკლე მეორე და სოლომონ პირველი, ამასთან მიეღწია, რათა ქართლ-კახეთის მსგავსად ტრაქტატი იმერეთის სამეფოს მიმართაც გაფორმებულიყო. მეფეები შერიგდნენ, ერეკლემ ტრაქტატი მოამზადა, მაგრამ სოლომონი ხელის მოწერას ფრთხილობდა, რადგან 1774 წლის ქუჩუკ-კაინარჯის ზავით მას თურქეთთან გარკვეული ვალდებულება ჰქონდა დაკისრებული... იმერეთში რუსეთის დიპლომატიის მარცხში ი. რეინეგსი დაადანაშაულეს. უკმაყოფილო გრ. პოტიომკინმა იგი 1783 წლის აპრილში გაათავისუფლა თანამდებობიდან და მის ადგილას კომისიონერად გამოგზავნა ს. ა. ბურნაშოვი, თუმცა იმავე წლის 10 ივნისამდე ი. რეინეგსი საქართველოში იყო და ჩვეულებრივ მოქმედებდა ერეკლეს მითითებით ორ ქვეყანას შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცებისათვის.

ცარიზმის მოხელეები ათასგვარი ეპითეტებით „ამკობდნენ“ ი. რეინეგსს. ოფიციალურ დოკუმენტებში ისინი მას ფანტაზიორს, ავანტიურისტს, მოხეტიალეს უწოდებდნენ, რაც, სამწუხაროდ, შემდეგში მეორდებოდა სხვადასხვა ნაშრომში. მართალია, ი. რეინეგსის ჰქონდა უცნაური ხასიათი, მაგრამ ამით იგი არავითარ ზიანს არ აყენებდა საქართველოს სამეფოს. პირადი თვისებებით და მცდარი ნაბიჯებით თვით ი. რეინეგსი ზარალდებოდა და ცხოვრება ურთულდებოდა.

საქართველოდან წასული ი. რეინეგსი ერთხანს მოზდოკში იყო. ჩვენი აზრით, ერეკლეს თავისი წერილის დასაწყისში სწორედ მოზდოკის „ლინიიდამ“ წასვლა აქვს მხედველობაში. აქედან რეინეგსი ჩავიდა ასტრახანში, სადაც დანიშნეს გუბერნიის ექიმად, ხოლო იმპერატორი ეკატერინეს 1786 წლის 2 მარტის ბრძანებულებით იგი პეტერბურგის სამედიცინო აკადემიის სწავლულ მდივნად და კოლეგიის წევრად გადაყავთ.

ი. რეინეგსი ძალზე ახლოს ყოფილა რუსეთის სამეფო კართან (სწორედ ეს „უმაღლეს კარზე ყოფა“ აქვს მხედველობაში ერეკლეს თავის წერილში), რაც კარგად იყო ცნობილი ქართველი დიდებულებისთვისაც. ამიტომ ისინი ერეკლეს ზემოთ დასახელებული თხოვნის მსგავსად ხშირად მიმართავდნენ ი. რეინეგსს დახმარებისათვის რუსეთის მეფის კარზე სხვადასხვა საკითხის მოგვარებაში. ხელნაწე-



# სიკეთის მსახური

ოთახში ახალგაზრდა ქალი ზის და იცრემლება. მღელვარებისაგან სათქმელს თავს ვერ უყრის.

— სახლიდან წავიდა, შვილები მიატოვა, — მოთქვამს იგი, — მენგრევა სიყვარულით აშენებული ოჯახი და მერე რისთვის, ვისი გულისათვის...

დანარჩენს თვითონ ხვდება ადვოკატი.

დიახ, ალღომ არც ამჯერად უმტყუნა გამოცდილ იურისტს, თბილისის პირველი მაისის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგეს რუსუდან თალაკვაძეს. იგი კარგად ჩასწვდა აცრემლებული ქალის გულისტკივილს და გონებაში მოქმედების გეგმა დაისახა. ხვალვე უნდა ნახოს ამ ქალის ქმარი, მოელაპარაკოს, გაიგოს რა მოხდა, რატომ გადადგა ასეთი ნაბიჯი. ვინ იცის, იქნებ ჯერ კიდევ არ არის გვიან, იქნებ გაჭრას კეთილმა შეგონებამ, მითუმეტეს, ეს კაცი მოწინავე მუშა ყოფილა.

საქმის გადადება არ უყვარს რუსუდანს. იგი მეორე დილითვე მიდის ქარხანაში.

გადის ორიოდე თვე, ბედნიერი ქალი, თავის პატარებთან ერთად, გაბადრული მოდის იურიდიულ კონსულტაციაში და მადლობას უხდის ოჯახის გადამრჩენელს.

ეს მხოლოდ ერთი ეპიზოდია რუსუდან თალაკვაძის ხანგრძლივი სამუშაო პრაქტიკიდან. ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი სიკეთე გაუკეთებია მას, რამდენი გზასაცდენილი მამისათვის აუხელია თვალი და ოჯახისთვის დაუბრუნებია.

კითხვაზე, თუ როგორ ახერხებს ასეთი მამების მორჯულებას, რუსუდანი იღიმება და ამბობს, შეუძლებელია ადამიანი მთლიანად გადაგვარდეს, თანაც შვილების მამა, ასეთი მამის გულში მაინც რჩება ერთი პატარა ადგილი შვილებისათვისო.

ძნელია არ დაეთანხმო მის ნათქვამს.

აი, სწორედ ადამიანის სულში გადარჩენილ სუფთა ძარღვს ეძებს რუსუდანი, როცა გზასაცდენილის კონსტიტუციურ უფლებას იცავს სასამართლო პროცესზე. რაოდენ სასიამოვნოა, რომ იგი ხშირად პოულობს ამ ძარღვს, შემდეგში მტკიცედ ეჭიდება მას და გამარჯვებით აგვირგვინებს საქმეს.

— იურისტი — გვითხრა რუსუდან თალაკვაძემ, — პირველ რიგში ჰუმანისტი და კაცთმოყვარე უნდა იყოს, მან სხვისი ტკივილი ხშირად თავისად უნდა მიიღოს, გულთან მიიტანოს, ობიექტურობა არ დაკარგოს, მორალურად მუდამ სუფთა დარჩეს. სხვაგვარად ზედმეტია მისი კაიკაცობასა და იურისტობაზე ლაპარაკი.

მოდით, კიდევ ერთი ამბავი გავიხსენოთ იურისტის ცხოვრებიდან.

მოხდა იშვიათი შემთხვევა, მამა ლოთობას გადაჰყვა, დედა სხვას გაჰყვა და დარჩა 7 წლის ბორისი კეთილი მეზობლების ამარა. ეს ამბავი შეიტყო რუსუდანმა. ბავშვის ბედში სხვებიც ჩაერივნენ. როცა არავითარმა ხერხმა არ გაჭრა, სასამართლომდე მივიდა საქმე. ულირს დედას დედობა ჩამოართვეს, პატარა ბორისი კი სკოლა-ინტერნატში მიაბარეს აღსაზრდელად.

გაიარა ერთმა თვემ. რუსუდანი მოუსვენრობამ შეიპყრო. იქნებ მოიწყინა პატარამ, იქნებ ობლობის სიმწარე იგრძნო, იქნებ რამე აწუხებს... დაუყოვნებლივ უნდა წავიდეს, ინახულოს, გაესაუბროს, საჩუქარიც მიუტანოს.

გადაწყვიტა და აასრულა კიდეც. რუსუდანი სკოლა-ინტერნატიდან კმაყოფილი დაბრუნდა. პატარა ბორისი საიმედო ადამიანთა ხელშია, არაფერს გაუჭირვებენ, ობლობას არ აგრძნობინებენ; შეუძლია მშვიდად იყოს, ბავშვზე არ იფიქროს, სხვა საქმეებსაც მიხედოს.

საქმე კი უამრავი აქვს რუსუდანს. დილით ოპერატიული თათბირი, მთხოვნელთა მიღება, შემდეგ სასამართლო პროცესზე მონაწილეობა, საწარმოშიც უნდა მივიდეს, — როგორც იურისტმა და საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორმა, ლექცია წაუკითხოს ქარხნის მუშამოსამსახურეებს შრომის კანონმდებლობის სიახლეებზე. ამხანაგურ სასამართლოშიც უნდა შეიაროს, იქაც სჭირდებათ მისი რჩევადარიგება; შინ კიდევ მოუთმენლად ელიან თვალხატულა შვილიშვილება — შალვა და რუსიკო.

როგორც იტყვიან, დღე ერთია, საქმე კი ათასი. ბევრს უკვირს, როგორ ასწრებს ეს ქალი ამდენს. ასწრებს იმიტომ, რომ კარგად იცის დროის ფასი, იცის — გაჭირვებულ კაცს დროზე უნდა შველა.

სამმა ათეულმა წელიწადმა გაირბინა სიმართლის, სიკეთის სამსახურში. თმებზე დაათოვა კიდეც, მაგრამ გული მაინც არ იშლის გულობას. ასე გარბის დღეები, თვეები, წლები. აკი დაუფასეს კიდეც ამაგი. როგორც სამაგალითო ადვოკატი, რუსუდან თალაკვაძე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრად მიიღეს, იურიდიული კონსულტაციის გამგედ დაანინაურეს. რუსუდანს დიდი ნდობა გამოუცხადა ხალხმა, იგი ოთხჯერ აირჩიეს რაიონული საბჭოს დეპუტატად. სიხარულს სიხარული მოჰყვა: ახლახან თბილისის პირველი მაისის რაიონის იურიდიული კონსულტაციის კოლექტივი საბჭოთა კავშირის იუსტიციის სამინისტროს საპატიო სიგელით დაჯილდოვდა, რუსუდან თალაკვაძეს რესპუბლიკის დამსახურებული იურისტის წოდება მიენიჭა.

იგი მეორე ადვოკატი ქალია საქართველოში, ამ საპატიო წოდებას რომ ატარებს.

ასეთია რუსუდან თალაკვაძე — სიკეთისა და ხალხის მსახური.

**ვივი ჯანელიძე**

---

რთა ინსტიტუტში დაცულია თვით ერეკლე მეფის, გიორგი, ვახტანგ, დავით, მირიან ბატონიშვილების, სომეხთა არქიეპისკოპოსის იოსების, სულხან ბეგთაბეგოვის, გიორგი ერისთავის, მანუჩარ თუმანიშვილის და სხვათა ანალოგიური თხოვნის შემცველი წერილები. რაც შეეხება „მეზობლების აღძვრასა“ და „შფოთს“, ჩვენი აზრით, ეს უნდა იყოს ერეკლესთან ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი ხანების დაუმორჩილებლობა, რაც გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერამ გამოიწვია. მზადდებოდა ომარ ხან ავარიელის თავდასხმა საქართველოზე, რის გამო ერეკლე იძულებული გახდა, მიემართა რუსეთისათვის და შეეხსენებინა რომ ტრაქტატითაც იყო გათვალისწინებული ასეთ დროს საქართველოში რეგულარული ჯარის გამოგზავნა, რასაც იმპერატორის ნებართვა („რეზოლუცია“) სჭირდებოდა. სწორედ ამ რეზოლუციაზე და ბრძანებაზეა ერეკლეს წერილში ლაპარაკი. სხვათაშორის, თითქმის ანალოგიური წერილი 1785 წლის 21 აპრილს ერეკლეს უშუალოდ გ. პოტიომკინისთვისაც გაუგზავნია. ეს წერილი გამოაქვეყნა პროფესორმა ი. ცინცაძემ (იხ. მისი „1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი“, თბილისი, 1960. გვ. 235).

როგორც ჩანს, ჯარით დახმარება იგვიანებდა, რადგანაც 1785 წლის 26 ივნისს გარსევან ჭავჭავაძეც სწერს გრ. პოტიომკინს, რომ იძულებული ვარ ერეკლე მეფის დავალებით „ამჟამად კმა საყოფელი ჯარი ვითხოვო შესაწევნელადო“ (იქვე, გვ. 241).

რაც შეეხება ტამარას, იგი ხშირად იხსენიება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დოკუმენტებში. პოლკოვნიკი ვასილ სტეფანეს ძე ტამარა რუსეთის ხელისუფლებამ 1785 წელს გაგზავნა ირანის შაჰთან ალი მურად ხანთან მოსალაპარაკებლად. იგი 12 თებერვალს თბილისიდან გაემგზავრა სპარსეთისაკენ, მაგრამ ერევანში გაიგო ალი მურად ხანის გარდაცვალება და უკან გამობრუნდა. სწორედ ამ გამგზავრების შესახებ სწერს ერეკლე ი. რეინეგსს; საყურადღებოა, რომ ი. რეინეგსისადმი ორი დღის შემდეგ 1785 წლის 23 თებერვალს გაგზავნილ წერილში იმავე საკითხზე ამახვილებს ყურადღებას სულხან ბეგთაბეგოვი: „პოლკოვნიკმა ტამარამ მაინც არ დაიშალა, ამ თვის თორმეტს წავიდა ერევანს. იმისმა სიმაღლემ (ერეკლემ. **რ. ს.**) დაარიგა, რომ იქ ერევანს რამდენიმე დღეს მოიცადოს და თუ ალი მურად ხანის სიკვდილი სწორეთ შეიტყოს, ნუღარ წავა იმიტომ, რომ გზებზე არეულობა შეიქმნება და ხიფათი არა წაეკიდოსრა“ — ნათქვამია ამ წერილში. ეს ციტატა შემთხვევით არ მოვიტანეთ. იგი ნაწილობრივ იმეორებს ერეკლეს წერილში მოხსენებულ ამბებს და ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ქართველი მეფე და დიდებულები საქართველოში მომხდარ ყველა მნიშვნელოვან მოვლენას ი. რეინეგსს, მათთვის ყველაზე მახლობელს და რუსეთის მთავრობასთან დამაკავშირებელ პიროვნებას ატყობინებდნენ.

საერთოდ კი ერეკლე მეფის როგორც ზემოთ განხილული, ისე სხვა წერილები გამსჭვალულია ი. რეინეგსისადმი უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით, თითქმის არც ერთ მათგანში გაკვრითაც არ არის გამოთქმული რაიმე ეჭვი და საყვედური მისდამი. თვით ი. რეინეგსიც თავის წერილებში ერეკლეს მშობელ მამას უწოდებს: „ერეკლეს სახით მე გავიცანი ყველაზე უშესანიშნავესი კაცი, როგორიც შეეძლო კაცობრიობისათვის ბუნებას ეჩუქებინა. მე მასთან ვიყავი გარემოსილი ისეთი პატივისცემითა და სიყვარულით, როგორც მშობელ მამასთან“.

ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს, სწორი წარმოდგენა ვიქონიოთ ერეკლესა და ი. რეინეგსის ურთიერთდამოკიდებულებაზე და გარკვეულად ჩამოვაშოროთ უცხო სტუმარს ის ბურუსი და გაუგებრობა, რაც ცარიზმის ჩინოვნიკების მიერ შედგენილ პირველწყაროებზე დაყრდნობით ისტორიულ ლიტერატურაში არის გაბატონებული.

# მინიატურები

ილია რურუა

## მცხეთური ტრიპტიხი

გორის გზით მომავალი, წიწამურს რომ გამოცდები, თვალწინ მცხეთის სანახების ცისფერი უბე გადაიხსნება და მიწის გულიდან ამოფრენილი ჯვარი ლაჟვარდებს შეეკიდება.

იბადება სიმაღლის განცდა სხვაგვარი: ასე გგონია, შენს წინაშე ამოიზიდა საუკუნეთა ფერფლით გადათეთრებული მხრები მამულისა და შენი სულიც ნათდება.

იქნებ ამად გვიჩანს ქართველთ მთა იგი ჯვარისა, სწორუპოვარი...

• • •

შენს ვენახში აჭრილი ლერწით, საკუთარი თმის აბრეშუმით შეგიკონა ასულმა კაპადოკიელმა ჯვარი ვაზისა და თავად ბოდბეს აღესრულა, შეუერთდა სიმშვიდის წიაღსო მარადიულს, ამბობს გადმოცემა.

ვერც ჯვარმა გარგუნა სიმშვიდე და მოსვენება, მამულო ჩემო. მეტი გამძაფრებით აგედევნა ხმა მტერთა მომსევი:

— რაკი იტვირთა, ჯვარს აცვი ეგ!

და მოდიოდნენ შენზე დგრიალით დაუნდობელი ურდონი...

ლენცოფა ბოროტისა შინაც ჩაგეთესლა.

როს სვეტიცხოველი ადგილს დაემკვიდრა, მდაბალმა შურმა გაიხმიანა:

— ვით ააგო ეგეთი, ჯვარს აცვი ეგ!

და ამოიდალა ტაძრის კედელზე წარკვეთილი მკლავი ხუროთმოძღვარისა...

გამოჩნდა კაცი-გოლიათი, ერის მამა, შეეტოტა ბოროტს, მაგრამ ავმა კვლავ დაიქუხა:

— ვით გაბედა, ჯვარს აცვი ეგ!

და გავარდა თოფი წიწამურში...

ჰაუ, რამდენი დრო გასულა!

ბებერო მცხეთავ, რა ხანია შენს ტანჯულ ლოდებს ალერსით კურნავს თანამედროვე.

ზეცა შენი გადასარკულა...

ტირის მხოლოდ ძველ ჭრილობას მკლავი არსაკიძისა და ძველ სირცხვილს — თეთრი სვეტი წიწამურისა, ულვთოდ დანთხეული სისხლის ემბაზიდან ამოზრდილი.

• • •

განასრულა ხუროთმოძღვარმა ტაძარი ხელთუქმნელი მთის მაღალ ქიმზე, საუკუნეთა სახილველად.

არა აკლდა რა სოსნისფერ ლოდებს, კედლებში ჩაკირულთ — არც ხაზების ლაღი სრბოლა, არც მადლმოსილი სახიერება, არც ჩუქურთმა ნატიფი...

მხოლოდ პოეტმა, შორი გზით ჩამოვლილმა, სამშობლოდან დევნილმა, მოისაკლისა ის ერთი, რაც სტკიოდა და...

ტაძრის კედლებში დაემკვიდრა მოუსვენარი სული სამშობლოზე გაუნელებელი ფიქრით შეპყრობილი მწირისა.

ასე სრულჰყოფს გენია პოეტისა ყოველივეს.

## სადღაც თმოგვთან თუ ვარძიასთან...

სადღაც თმოგვთან თუ ვარძიასთან, ასე მგონია, მტკვარში ვნახე იმ დროის ლანდი...

ბებერი წნორის თმებს ჩაფრენილი, —

ანატოლიით მოდენილ ზვირთებს მიჰქონდა, მიჰქონდა...

ვერ კი წაელო!

## მწყურვალი

ყინწვისის ტაძრის უკან, ტყის გრილ, დაბურულ ტევრში, სადაც უსასრულოდ სირინოზნი გალობენ და წყალნი დიან, ინახად ისხდნენ საქართველოს შვილნი.

ჩამოიარეს ტურისტებმა. შორი გზით მოსულნი ჩანდნენ. სიცილ-ყიჟინით ჩაეშვნენ ხევში.

ზემოთ, ბილიკზე, მარტო ერთი სახემშვენიერი, ცისფერთვალება დარბაისელი ქალი დარჩა. სათნო ღიმილით ჩასცქეროდა თავის თანამგზავრებს, წყალს პეშვებით რომ ხვრეპდნენ ხარბად.

ჯერი რომ დაუდგა, მორიდებით სუფრისაკენ გაიხედა და ჭიქა ითხოვა.

ჭაბუკმა თავაზით გაუწოდა, მაგრამ ვიღაც ჭარმაგი კაცი შეუწყრა:

— ჩვენში მწყურვალს ცარიელ ჭიქას არ აწოდებენ.

— იქნებ სულაც არ უნდა ეგ შენი ღვინო... წყალი სწყურია.

— არ უნდა და — წყაროს შეასვას, თავად წყალი მიირთვას!

ქაფქაფა ღვინით სავსე გათლილი ჭიქა ჭარმაგმა კაცმა დარდიმანდული თავდადრეკით მიაწოდა ცოტათი დაბნეულ ქალს.

ვიღაცამ ნათქვამი უთარგმნა.

ქალმა თავისი მშვენიერი ცისფერი თვალები ქვემოდან ამოციაგებულ, ჩამავალი მზის კინოვარით მოვარაყებულ ტაძრის გუმბათს მიაპყრო და წამოიღაღადა: Боже, все еще сколько романтики в этом чудесном краю!

## იაგორა მეეტლე

სამტრედიასა და ხონს შუა კარგა ხნიდან ასფალტქვეშ ჩატკეპნილ ნაგზაურებს სამუდამოდ ჩაუხვევია მისი ეტლის ბორბლების ნაკვალევი.

სადგურზე ჩამომდგარი მატარებლიდან ჩამოსული ვინმე კოკარდიანი რუსი თუ ჩაუჯდებოდა, იაგორას მოღუშული სახე ერთბაშად გაებადრებოდა, უცნობს კოფოდან კისერმოღრეცილი გამოხედავდა და თვალის ონავრული ჩაპაჭუნებით კითხავდა:

— როსიი სნეგ იესტ?... ბელაია ხატა მნოგო იესტ?..

— Есть, добрый человек. есть.

კოფოზე ღონივრად შექანებული იაგორა ცხენების თავზე მათრახს გაატყლაშუნებდა და დაიჭყივლებდა:

— ყოფილა, ყოფილა!

და ოდესღაც სანგრებში ნაგდები ნასალდათარი მტვრიან გზაზე ისე მიაგრიალებდა ეტლს, თითქოს შორეულ თეთრ სივრცეებში ჩარჩენილ და მონატრებულ რაღაც კარგ ოცნებას ეშურებაო.

## „სიკვდილის შემდეგ“..

ჩნდება დროდადრო გაზეთების ფურცლებზე ქრონიკა, რომელსაც რექვიემივით გასდევს ეს სიტყვები — „სიკვდილის შემდეგ“...

უმალ ვცდილობთ, წარმოვიდგინოთ სახე უცნობი ადამიანისა, რომელმაც მოულოდნელი განსაცდელის წუთს, საკუთარი ნებით, ნაღმივით აიფეთქა მანამდე სულის სიღრმეში მიყუჩებული რწმენა, სიმამაცე, შემართება და თავი ზვარაკად დადო.

„სიკვდილის შემდეგ...“

ის არის მარადიული რაინდი ადამიანურობის არსისა, გუშაგი მისი სულის ღირსებისა, „სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი“...

კაცთა მოდგმის უკეთეს მოსახვეჭელს, თურმე, წუთიც ყოფნის, ზოგჯერ წამიც...

კაცს გააჩნია!

ამიტომ [illegible] მთელი ცხოვრება [illegible] ჰგონიათ, [illegible] მაინც შეუფა-ხონ თავს:

— სიკვდილის კარამდე ჩვენთვის ყველაფერი ჯერ კიდევ არ არის დაკარგული!

## ზოგი კაცი

ზოგ კაცს ვიცნობ, ცოდვებით ქედდამძიმებულს, ჩვენთვის ზნეობრივად მკვდარს;

თავი, იცოცხლეთ, მოაქვს.

არადა, რა ხანია ეცემა, ეცემა და მაინც დგას, ვითარცა... პიზის კოშკი; ოღონდ არა მისებრ მშვენიერი.

## საწუხ არს ესე!

ის, რაც ერთს კეთილსინდისიერი რუდუნების საქმედ, ცხოვრების აზრად, თავისი არსებობის ერთადერთ გამართლებად დაუსახავს, სხვას იოლ, თავშესაქცევ ყოფად უჩანს.

საწუხ არს ესე!

## წუთი ყოველი...

ჩემთვის სიცოცხლის მბოძებელნი ცოცხალთ შორის აღარ არიან...

ის, ვინც მიმიღო, ჩვილს ჭიპლარზე დამალევენთა მზე და ნახშირი — აღარ არის, დიდი ხანია.

ვერც იმას ვხედავ, ვინც მშველოდა ფეხის ადგმის ჟამს...

საით წასულან ჩემი წვეროსანი მეზღაპრენი — გულის, გონების უებრო მწვრთნელნი, მკლავმოუღლელი გუთნისდედები, მებადურები, ღამის მეხრენი?!..

თანატოლებშიც მაკლია ბევრი...

და გულს აღონებს უკან მოხედვა, აკაფულ ტევრში...

საიდან მოველ, სად მივდივარ.

სად ვიგულო ეტლი ჩემი ღამეულ გზაზე!...

ღმერთო, აგვივსე წუთი ყოველი ყოფნის აზრით, — გაულეწავი რომ არ დაგვრჩეს ჩაკალო ჩვენი.

არ ვიცი, ალბათ ხუმრობის გუნებაზე იყო, ტაქსის შოფერს ვუთხარი თუ არა, დიღმის მასივში წამიყვანე-მეთქი, ერთი კი შეწრიალდა საჭესთან და ჩაიბურტყუნა:

— იქ არ გადმოიფრინეთ? პარაშუტით ჩამოხტებოდი!..

იქნებ ეწყინა — მეტყობოდა, სარფიანი მუშტარი არ ვიყავი. მაგრამ მისი სიტყვები მე მაინც ხუმრობად ჩავთვალე, რადგან არმიაში სამსახურის მერმე შინისკენ მიმიხაროდა.

უკანა სავარძელზე მოვთავსდი ჩემი ჩემოდნითა და მაზარით.

...ცისკრის ვარსკვლავი ამოსული იყო ჩვენი თვითმფრინავი აეროპორტში რომ დაეშვა. გზას რომ დავადექით, ღამე იცრიცებოდა, მიწას ოქტომბრის თხელი ნისლი ეცლებოდა.

აბა თუ ხმა ამოიღოს შოფერმა, რამე მკითხოს! პირში წყალი ჩაიგუბა, საჭეს ისე ჩაჰფრენია, თითქოს ეშინია, ღერძს არ მოსწყდეს, ხელიდან არ გამივარდესო.

კახეთის გზატკეცილზე გავედით. მართალია, მთელი ღამის უძილო ვიყავი, მგზავრობაში დაღლილ-დაქანცული, მაგრამ ძილი მაძლრად გამოძინებული კაცივით მქონდა გამფრთხალი.

გზაზე ქალაქისკენ მიმავალი ურმების ქარავანი შევნიშნე. მძიმედ დატვირთულნი ნება-ნება მიდიოდნენ ხარ-კამეჩშებმული ურმები, ზოგი ღია, ზოგი ჩარდახიანი. კიდევ ერთ ქარავანს წამოვეწიეთ მესამე მასივთან.

მინდა შოფერს რაღაც ვუთხრა, რაღაც ვკითხო. თავ-კისერი ისე უჭირავს, გეგონებათ ძირმაგა ჰას გაუშეშებიაო. ჰაიგიდი, ჩვენი პოლკი! მეთაურსაც კი თამამად გამოვეჭიმებოდი და მოვახსენებდი ხოლმე!.. ამან კი პირში ლაგამი ამომდო, თვითონაც დამუნჯდა, მეც დამამუნჯა. გაგიძლებ, ნახევარ საათში დიღმის მასივში ვიქნებით... განა რამდენს ჩამოვრის ეგ შენი მრიცხველი! გაგისტუმრები, გული არ გაგისკდეს, ცოტა მეტსაც მოგცემ...

ავლაბარს რომ მივატანეთ, ღამე კიდევ უფრო გაიცრიცა და ნისლიც შეთხელდა, მაღლა აიწია, იქნებ მზეს უნდა შეხვედროდა, მისალბუნებოდა და მის სხივებში ჩამდნარიყო.

გულმა ბაგაბუგი დამიწყო.

— რიყეზე ჩამიყვანე, — უცებ მღელვარე ხმით ვუთხარი შოფერს.

— რიყეზე?! — ისე მკითხა, ჩემსკენ არ გამოუხედავს. რა ყველაფერი უკვირს ამ დალოცვილს.

— ჰო, რიყეზე! — ახლა კი გული მომივიდა და ცოტა უკმეხად მივუგე.

— რიყე სადღაა! რიყე აღარ არი, — განმიმარტა მამაცხონებულმა.

— არი! — ჩავიღრინე და ჩემი ნათქვამის განსამტკიცებლად ხაზგასმით დავუმატე, — რიყე იყო, არის და იქნება!

— ეე! — ღრმად ამოისუნთქა შოფერმა. ალბათ გუნებაში გაივლო, ცუდად არი ამ ჯარისკაცის საქმე, ამას ქვეყნის დაცვა როგორ მიანდეს. ისე უსტვენს. ორ ბატს არ ანდობს კაციო.

ვიცოდი, რომ ჩვენი უბანი, რიყის დასახლება, უკვე აყრილი იყო. ჩვენები მწერდნენ ყველაფერს. კარგი ბინაც მიეღოთ დიღმის მასივში. ასევე კეთილად დაბინავებულიყვნენ სხვებიც. უბანი კი მოუშიშვლებიათ, საბაღედ გაუმზადებიათ. ალბათ ასე სჯობს, ასე უკეთესია, მაგრამ გულის კოვზი მაინც მომეწვა... და ამ ტკივილმა გამიწია იქითკენ.

ტაქსი რიყეზე ჩავიდა.

— აჰა, მოვედით! — ნიშნის მოგებით მითხრა შოფერმა.

ბარგი-ბარხანა დავითრიე, შოფერს ფული მივაწოდე და მანქანიდან გადავედი, ირგვლივ მიმოვიხედე.

— გენერალო! — დამიძახა შოფერმა, — მოდი, ხურდა წაიღე.

ხელი ჩავიქნიე და მანქანას გავშორდი. ტაქსმა ერთი დაიფრუტუნა და წავიდა.

ეს სადა ვარ?! ამას რას ვხედავ?! ადგილი ის არი და არც არი... აგერ, მაღლა, დარეჯანის სასახლე, ისევ ისე გადმოგვყურებს, ესეც ბარათაშვილის აღმართი, იქით მთაწმინდა, მეტეხი, გორგასალის ძეგლი...

დილაბნელში ბარათაშვილის აღმართის კედელთან დავინახე ქოხები, ფაცხები, მოწნული ღობეები... ადამიანები ფუსფუსებდნენ. ავლაბრიდან რამდენიმე ჩარდახიანი ურემიც გამოჩნდა.

მე კი აფორიაქებული გული საგულეს ვერ ჩავიგდე. უყურე ერთი, რა სწორი და რა დიდი ყოფილა ჩვენი უბანი! მაშინ კი ოღროჩოღრო მეჩვენებოდა, ძველი, მაგრამ მაინც მშვენიერი... გუმანით მოვძებნე ის ადგილი, სადაც ჩვენი კარ-მიდამო იყო, ჩვენი ერთიციცქნა ოთხკუთხა ეზო, საიდანაც ასევე ოთხკუთხად ჩანდა ღლისით ლურჯი, მზის სხივებით გაცისკროვნებული კაბადონი, ხანაც მოღრუბლული ცა, ღამით ვარსკვლავებით მოჭედილი გუმბათი გვიყურებდა. მთვარეც ჩამოიხედავდა ხოლმე, ეზოს შიგნით შემოვლებულ აივნებს გაანათებდა. ისე კოხტად ჩამოიხედავდა ის დალოცვილი, გეგონებოდათ, მარტო ჩვენ გვიყურებსო, მარტო ჩვენი ციცქნა ეზოს განათება სწადიაო.

ჩემოდანი მიწაზე დავდგი, ჩამოვჯექი და... ოი, საოცრებავ! ამ მოტიტვლებულ გარემოში ჩვენი სახლი დავინახე ყველა მისი კუთხე-კუნჭულით.

ორსართულიანი სახლი გვედგა. ასი წლის მაინც იქნებოდა. ისე მაგრად იდგა, ბარე ოცამდე ოჯახს იტევდა, სხვადასხვა რჯულისა, სხვადასხვა ღმერთისა, მაგრამ მეზობლობაში გულსუფთა და თვალსუფთა ადამიანების მთელ ჯარს.

ჭირსა და ლხინს ერთად ვიზიარებდით.

თითქოს ახლაც ისევ ის პატარა ბიჭი ვარ, შუა ეზოში აუზთან ამოჩრილ ონკანს ვუშვებ და ყველას გასაგონად ვყვირი: „წყალი მოვიდა, წყალი!“ დაიძრებიან მეზობლები. ვინ ვედროებით მორბის, ვინ ჩაიდნით, ქვაბებითა და გრაფინებით... არა, მოსწრებაზე კი არა... მორბიან... მერმე დიდ-პატარობის მიხედვით ჩამწკრივდებიან პირაჩქეფებულ ონკანთან, ჭურჭელს აავსებენ, წყალს მოიმარაგებენ, გულს დაიმშვიდებენ. დღისით პირგამშრალია ჩვენი ონკანი, წყალი საღამოობით მოდის...

მთლად ანგელოზებივით როდი ვიყავით. ჩხუბიც ყოფილა, გაწევ-გამოწევა, წაკინკლავება. მოჩხუბარნი უმალ გაუშველებიათ. რამდენჯერ ცხელი და მედგარი წყევლაც გავარდნილა. იყო ჭირიც, იყო ლხინიც, იყო წყნარი დღეები, მშვიდი ღამეები, იყო შფოთი და მოუსვენრობა... აბა, ცხოვრება როგორ გინდათ, დალოცვილებო, ყველა ერთ თარგზე კი არა ვართ გამოჭრილებიო, იტყოდა ხოლმე პაპაჩემი.

პაპაჩემი, სანდრო პაპა. ეს სახლი მისი იყო, მემკვიდრეობით გადმოსული. ჩვენი ოჯახი მეორე სართულზე ორ დიდ ოთახში ცხოვრობდა, საკუთარი სამზარეულოც გვქონდა. სახლის დანარჩენი ნაწილი — ზოგი გაიყიდა, ზოგი გაქირავდა.

ერთხელ, ჩემს ბავშვობაში, კარგად მახსოვს, გაზაფხულის თქეშს მთებიდან თოვლის ნაჟურიც მიემატა და მტკვარი ისე ადიდდა — რიყე ვენეციად იქცა. დაფეთებული ჩვენი მეზობლები, ვინც კი პირველ სართულზე და ნახევარსარდაფში ცხოვრობდნენ, დაწიოკებულნი ამოცვივდნენ ზემოთ. საღამო ხანი იყო. კიდევ კარგი, მძინარეთ არ ჩაუვარდათ წყალი. რაც იმ დღეს შიში ვიწვნიეთ! წყალი მატულობდა, წვიმა კოკისპირულადასხამდა. მთელი ღამე თეთრად გავათენეთ. ჩვენ აკოფას წვრილშვილი ოჯახი შევიხიზნეთ. მთელი ორი კვირა ჩვენთან იყვნენ, სანამ ეზოში, რიყის ქუჩაზე და მთელ უბანში წყალი არ დაიწრიტა, სანამ ჩვენი მეზობლების ბინის კედლები ცოტათი მაინც არ გამოშრა.

არ ვიცი, სხვას როგორ უყვარდა რიყის უბანი, ჩემთვის კი, რაც ვიზრდებოდი, უფრო და უფრო სანუკვარი ხდებოდა ჩვენი სახლი, ჩვენი ვიწრო ქუჩა, ქუჩის გადაღმა მეორე სართულის ერთი ფანჯარა... პირველად ამ ფანჯარაში დავინახე ერთი ტანკენარი, ბაფთიანი გოგო. ჯერ მეზობლის სტუმარი მეგონა. გავიხედოთ და, ერთ დღეს, სკოლის დერეფანშიც შემომეფეთა.

ჩვენს ფანჯრებს დილის მზე ადგებოდა. ერთხელ სარკე ავიღე და მზის ანარეკლი სხივები გადასწვრივ ღია ფანჯარაში ავათამაშე. მინდოდა, იმ გოგოს გამოეხედა. კარგა ხანს არავინ ჩანდა, მერე ბაბო ლიზამ გამოიხედა, თვალი მომკრა, თითი დამიქნია და გადმომძახა:

— ბიჭო, სად ისვრი ე მაგ ოქროს ისრებსა?!

ნეტავი რამ მოაგონებინა ოქროს ისრები. ბაბო ლიზა სათნო ქალი იყო და არც მერე მოვერიდე. სარკიდან კიდევ გავტყორცნე „ოქროს ისრები“ და ახლა ის გოგო გამოჩნდა. უცებ ფანჯარა მიხურა და ფარდაც გააფარა.

მალე გავიგე, ნინო რქმევია, ბაბო ლიზას შვილიშვილი ყოფილა. ქუთაისში უცხოვრიათ, მამამისი თბილისში გადმოუყვანიათ და ბაბო ლიზას შეჰკედლებიან.

როგორც კი მზიანი დღე იყო, როგორც კი ფანჯარას ღიად დავიგულებდი, სარკეს ავაციმციმებდი და კონა-კონა წავიდოდა „ოქროს ისრები“.

ერთხელ ნინო ჯიქურ დადგა ფანჯარასთან. სარკე მაშინვე დავმალე. იდგა და თამამად მიყურებდა, ვითომ, რა გნებავთ, ყმაწვილოო. მეც ვიდექი და ჩუმად ვუყურებდი. მერმე შეტრიალდა და წავიდა. თვალს მიეფარა და გული დამწყვიტა. სარკე ისევ მოვიმარჯვე, მაგრამ ამაოდღა დავშვრი.

ერთხელ, მზის ჩასვლის ჟამს, შინ მარტო ვიჯექი, გაკვეთილებს ჩავჩიჩინებდი. უცებ თვალი მოვკარი კედლებზე ათამაშებულ მზის ანარეკლ სხივებს. ელდანაცემივით წამოვხტი, ფანჯარას ვეცი. ჩამავალი მზე გადასწვრივ სახლს მისდგომოდა, ბაბო ლიზა თავისი ოთახის ფანჯარას წმენდდა და სხივთა ანარეკლი პირდაპირ ჩვენი სახლისკენ იტყორცნებოდა. მე კი მეგონა... ეჰ, როგორ მეგონა, რომ... ან რად მეგონა, რა ვიცი! გული ისე მიცემდა, ლამის საგულედან ამომხტარიყო.

...რიყეზე ინათლა. სიფრიფანა ნისლი მაღლა წავიდა. დარეჯანის სასახლეს, მეტეხსა და გორგასალს მარმაშა ფარდა ახადა ბუნებამ და მზის სხივებმა ტაძრის სვეტი გაანათა, მამადავითს მიეფინა... კიდევ რამდენიმე ურემი ჭრიალით ჩამოვიდა ავლაბრის დაღმართზე. მძიმედ იყვნენ დატ-

# ფანჯარაში მტრედია

ეროვნული ბიბლიოთეკა

თენგიზ გოგოლაძე



ვირთულნი. კახელები მოდიოდნენ დოვლათით, თავიანთი შრომის ნაამაგარი, შნო და ლაზათი უნდა ეჩვენებინათ ქალაქელებისათვის...

დღე დღეზე მელოდნენ შინ. მე კი ვზივარ და ფიქრებს მივცემივარ... ისევ იმ ძველ რიყეს, იმ ძველ უბანს ვუყურებ, სადაც ქუჩაც იყო, შუკებიც, დიდ-პატარა სახლები, ხეხილიანი ეზოები, ბევრი ფარდული, სამღებროები, სამჭედლო და დუქნები... და ვიყავით ჩვენც — რიყელები.

...მერმე აქეთ მე შემოვჯდებოდი ფანჯრის რაფაზე, იქით ნინო შემოჯდებოდა, ერთმანეთისკენ ჩუმ-ჩუმად ვაპარებდით თვალს. მერმე და მერმე მუნჯურად, ხელებით დავიწყეთ ლაპარაკი... და პაპაჩემს დავუნახივარ. ეშმაკად აიჩემა სიმღერა „ფანჯარაში მტრედია, ნეტა ვისი ბედია...“ ღიღინებდა და ასე მეგონა, ჩემი გულისხეთქების ამბავი გადაჰქონდა იმ სიმღერაში. იქნებ თავისი ჯეელობა აგონდებოდა და ნეტარებით განიცდიდა ჩემი და ნინოს თამაშს.

რიყეზე ხალხი აფუსფუსდა. ქოხებთან, ფაცხებთან, ნალიებთან, მოწნულ ღობეებთან ნაირ-ნაირ ხილს აწყობდნენ, ყურძნის ჯაგნებსა და ჩურჩხელებს ჰკიდებდნენ, იქაურობას საზეიმოდ რთავდნენ, თორნეებში ფიჩხი ჩაამტვრიეს... ისეთი სამზადისი იყო, სამეფო ქორწილს რომ შეშვენოდა.

...ჩვენი უბნის გოგო-ბიჭები თითქმის ყოველ საღამოს რუსთაველზე, პლეხანოვზე და ავლაბარში გარბოდნენ ახალი ფილმების სანახავად, ზოგჯერ თეატრშიც წავიდოდნენ. მე და ნინო კი სიახლოვეს ვერ გავეკარეთ ერთმანეთს. ჩემმა შორით ტრფობამ იქამდე გასტანა, სანამ არმიაში წასვლა არ მომიწია.

მანამდე გადაწყდა რიყის უბნის მთლიანად აყრა.

როგორც კი ეს ამბავი გაიგო პაპაჩემმა, მოსვენება დაკარგა. სხვაგან ცხოვრება ვერ წარმოედგინა. ამ აზრს ისევე ვერ ეგუებოდა, როგორც ახლობელი ადამიანის სიკვდილს. ძილი გაუფრთხა, აილერლა. უბრალო რამეზე გული მოსდიოდა, რაც არ იყო, ის გახდა.

— გაღმა რომ ძველი სახლები დატოვეს, გამოღმა რა ეკალმა უჩხვლიტათ! — ამბობდა იგი გულმოსული, — გაღმა გაამშვენიერეს, გააკოხტავეს, გამოღმა — მთლიანად მიწასთან უნდა გავასწოროთო. რათა, კაცო, როცა...

და ქალაქის თავკაცებთან სიარულს მოუხშირა. თუ სიძველე გინდათ, თუ კოლორიტი გინდათ, ამაზე მეტი სიძველე და კოლორიტი რაღა იქნება, რიყეზე რომ არისო. არქიტექტურული, ისტორიული, ეთნოგრაფიული ღირებულება არც ერთ სახლს არა აქვსო, განუმარტეს. მაშინ კიდევ ერთხელ მოსვლია გული პაპაჩემს, რომელსა, ჩვენს სახლს არა აქვს არქიტექტურული ღირებულებაო?! ხალხი გამოაყოლეს, კიდევ ერთხელ გულდასმით შევამოწმოთ, იქნებ ვცდებითო. პაპაჩემი არქიტექტორებისა და ინჟინრების ამალით დაბრუნდა, სახლი დაათვალიერებინა, ნახეთ, რა სახლია, განა ამისი დანგრევა აფსუსი არ არისო? პაპაჩემი სულ თვალებში შეჰყურებდა კომისიის წევრებს, აბა, ერთი თუ წამოსცდეთ, ამ სახლის დანგრევა მართლაც არ შეიძლებაო. არც წამოსცდათ და არც სახეზე გამოეხატათ რამე ისეთი, სანდრო პაპას გულს რომ დააშოშმინებდა. არც სუფრაზე დარჩნენ კომისიის წევრები, პაპაჩემი კი სულითა და გულით ეპატიჟებოდა.

— უჟმურები, რა ხალხი გამოგზავნეს!... მაგათ რა გაეგებათ! — გაცხარდა სანდრო პაპა. საქმეს მაინც არ მოეშვა.

დამტკიცდა, რომ სახლი, რომელიც პაპაჩემის პაპის მამას ასი წლის წინ აეშენებინა, არავითარ არქიტექტურულ ღირებულებას არ წარმოადგენდა არც ძველი ქალაქისათვის და მით უმეტეს ახალში როგორ ჩახატავდნენ, როცა რიყეზე ყველა ქოხმახს მოანგრევდნენ.

არქიტექტურას თავი დავანებოთ, რაღაცით მაინც რომ იყოს მნიშვნელოვანი, ეგებ რამე ეშველოსო, ჩააწვეთეს პაპაჩემს. სანდრო პაპამ გონების ყველა უჯრა გამოფერთხა და აღმოაჩინა, რომ მის პაპას, ცხონებულ შიოს, ერთხელ თვითონ მირზა ფათალი ახუნდოვი სწვევია... მერე რამდენჯერ იეთიმ გურჯიც მოსულა... ერთხელაც, კარგად ახსოვს პაპაჩემს (კარგად კი არა, ძალიან კარგადაც!), რიყის მედუქნეებს ნიკალა ფიროსმანი აბრების დასახატად მოუწვევიათ. ნიკალას სამუშაო ადგილი რომ არა ჰქონია, პაპაჩემის მამას,

ცხონებულ აბრამას თავისი სახლის პირველ სართულზე, ეხლა რომ სუსანა სარქისოვი ცხოვრობს, ერთი ოთახი სახელოსნოდ დაუთმია... და აქ კარგა ხანს ხატავდა ნიკალა ფიროსმანი, დღეს მისი სახელი ასე რომ ქუხს, მისით ასე რომ ამაყობს ქართველი ხალხი... დიახ, აგერ იმ ოთახში, სახლის პირველ სართულზე, მუშაობდა დიდი მხატვარი. მეტი რაღა უნდათ?! ეს სახლი კი არ უნდა დაანგრიონ, ოქროს ვარაყებში უნდა ჩასვან და ზედ წააწერონ: „აქ მუშაობდა დიდი ნიკალა ფიროსმანი“.

პაპაჩემის ამ ნათქვამზე ქალაქის მთავარ არქიტექტორს გაღიმებია და უთქვამს, ეს ყველაფერი დასაბუთებული უნდა იყოსო.

— საბუთებიც მომთხოვეს! სად წავიდე, საფლავში როგორ ჩავაკითხო ახუნდოვს, იეთიმ გურჯსა და ნიკალას?! — ბობოქრობდა შინ დაბრუნებული სანდრო პაპა და აღარ იცოდა, რა ექნა.

წყალწაღებული ხავსს ეკიდებოდაო. როგორ არ ცდილობდა თავისი მამაპაპური სახლის გადარჩენას! ბოლოს ისღა მოიფიქრა, თბილისის აღმასკომის თავმჯდომარისათვის ეთქვა: იმაზე მეტი მნიშვნელოვანი რა უნდა მომხდარიყო ამ ჩვენს სახლში, რაც მოხდაო. ნახეთ, რა სიამტკბილობით ვცხოვრობთ სხვადასხვა ერის შვილები, ჩვენი სახლი ინტერნაციონალურია და გთხოვთ, შეგვინარჩუნოთ ეს დიდი და ტკბილი ოჯახიო.

ამას პაპაჩემი ამბობდა, თორემ სივიწროვეში მცხოვრები „ინტერნაციონალური ოჯახის“ წევრები ახალ ბინებს სიხარულით ელოდნენ.

თავმჯდომარეს გაღიმებია და სანდრო პაპასთვის უთქვამს:

— აბა თბილისში ერთი დიდი სახლი ან ეზო მაჩვენე, გინდა ძველი, გინდაც ახალი, ინტერნაციონალური რომ არ იყოსო.

შინ მოსულმა პაპაჩემმა ხელი ჩაიქნია.

— ვერ დავამტკიცე, არც ერთი საბუთი არ გამომადგა! ვერაფერი ვუშველე და აჰა, სახლი უნდა დაინგრეს!

რიყიდან ხალხი ისე გაასახლეს, უბანი ისე დაანგრიეს, ამის მომსწრე არა ვყოფილვარ.

არმიაში კი აქედან წავედი. თითქმის მთელმა უბანმა გამაცილა. ის კი, ვინც ამ დროს ყველაზე უფრო მენატრებოდა, სადღაც დაიმალა. გული დამწყდა, ნაღვლიანი წავედი.

მერმე დედაჩემის წერილებით გავიგე, დიღმის მასივში ბინა რომ მოგვცეს. ჩემი მშობლები კმაყოფილი იყვნენ, პაპაჩემი კი ვერა და ვერ ეგუებოდა თურმე. წარსულს მისტიროდა და თავისი ძველი სახლის, ძველი ეზოს გახსენება თვალში ცრემლს გვრიდა. შინ სულ არ ჩერდებოდა, სახლის წინ ძელურ სკამზე დაჯდებოდა, ხალხს აქედან მაინც ვუყუროო. აფსუს, საბუთები მქონოდა ახუნდოვისა, იეთიმ გურჯისა, ნიკალა ფიროსმანისა, იმ სახლს ხელს ვინ ახლებდაო, ნანობდა და ახალ მეზობლებს უხმობდა, გამოდით, შინ რას ჩაკეტილხართო... მოდი და გაამტყუნე!

ნინოზე და მის ოჯახზე არაფერს მწერდნენ. ალბათ ჩვენგან შორს მისცეს ბინა.

...ხალხმა იმატა და იმატა რიყეზე. თბილისქალაქობის საზეიმოდ საიდან არ მოეშურებოდნენ. მტკვარს გაღმა და გამოღმა რეპროდუქტორებში მომღერლები ერთმანეთს ცვლიდნენ, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ თბილისის ქებასა და სიყვარულში.

და მზე ამოდიოდა, დღე იზრდებოდა, მტკვარი მოდუდუნებდა, ცის ლაჟვარდი ისარკებოდა.

გავიხედოთ და, ჩვენი მეზობელი, ძია გაბო, არ მოდის! შვილიშვილისათვის ხელი ჩაეკიდა და ორივენი ხალისიანად მოცუკცუკობდნენ, მხიარულად უახლოვდებოდნენ იმ ადგილს, სადაც ჩვენი ეზო იყო, სადაც მე ვიდექი.

— ბიჭო, ეს შენ არა ხარ?! — მაშინვე მიცნო ძია გაბომ. გადამეხვია და მხურვალედ გადამკოცნა, — საიდან, როგორ?!

— აი ასე, ძია გაბო, მოვალეობა მოვიხადე და ჩამოველ.

— ხედავ, როგორ დააუთოეს?! — რიყეს მიხედ-მოხედა, — თქვენები ახლა დიღომში ცხოვრობენ... ჩვენ საბურთალოზე ვართ.

ამ დროს დავინახე პაპაჩემიც, დინჯად მომავალი, დაფიქრებული და ალბათ ნაღვლიანი. ვინ იცის, როგორ ეწვოდა გული ისევ იმ ძველი სახლის, ძველი ეზოს, ძველი უბნის გამო. მაგრამ როცა დამინახა, ერთი კი შეკრთა, შეჩერდა, თითქოს სიზმრიდან გამოერკვაო, ხელები გაშალა... და მეც გავშალე ხელები.

როცა მეხვეოდა, მღელვარე ხმით მეუბნებოდა:

— ჯიგარი ხარ, ჯიგარი!.. აქ რომ შემხვდი, ჩვენს ნასახლარზე!

ჩემს ალერსს რომ მორჩა, გაბოს ხელი ჩამოართვა, პატარას მიუალერსა და მათაც ისეთივე ხმის თრთოლვით უთხრა:

— თქვენც ჯიგრები ხართ, თქვენ გენაცვალეთ!

ისევ მე მომეხვია, ისევ მე მომიალერსა.

— როგორა ხარ, ბიჭო? როგორ მოგვანატრე თავი! ჯიგარი ხარ, შენ გენაცვალოს პაპაშენი! ჩემი ჯილაგისა ხარ, უწინ აქ რომ მოხველ, წინაპრების ნაფუძარზე.

მერე დამარიგა:

— გადი გაღმა, ტელეფონი იქნება და შინ დარეკე... ეგრე და ეგრე, რიყეზე ვარ, ჩვენს ძველ ეზოში-თქო... ყველანი აქა ვართ და თქვენც აქ მოდით-თქო. დედაშენი დღე დღეზე გელოდა... აბა, გაიქეც!

ტელეფონის ნომერი მომცა. ის იყო წასასვლელად მოვემზადე. ერთი-ორი ძველი მეზობელი კიდევ შემოგვემატა. გაიხარა პაპაჩემმა.

— ჯიგრებო, ჯიგრებო! აჰ, ერთი საბუთი მქონოდა ახუნდოვისა, ან იეთიმ გურჯის ერთი პატარა ნაჩხაპნი, ნიკალას სურათი თუ არა, ერთი გაცვეთილი ფუნჯი მაინც შეგვენახა! ახლა ხომ იმ სახლის ეზოში შევიკრიბებოდით. მოდით რა, მეზობლებო, ჯიგრებო, ყოველ წელს თბილისობაზე აქ მოვიდეთ ხოლმე! — ამას ამბობდა და თვალზე ცრემლი მოადგა.

— აი, ხო მოვედით, პაპა სანდრო. არ დაგვითქვამს, ისე მოვედით...

— კვლავაც მოვალთ.

— აბა, გული როგორ გაგვიძლებს!..

— ჯიგრები ხართ, ჯიგრები!.. შენ რაღას უყურებ, ბიჭო, გაიქეცი, დედაშენი სულ გზას გაჰყურებს... დაიცა! — უცებ ორივე ხელი მაგრად ჩამავლო, თვალები უცნაურად წამოენთო, ჩემსკენ გადმოიხარა და ჩუმის ხმით მგრძნობიარედ წამოიღიღინა: „ფანჯარაში მტრედია, ნეტა ვისი ბედია...“

არ ვიცი, რამ მიბიძგა, ამ სიმღერამ თუ რაღაც უჩინარმა ძალამ, უცებ შევტრიალდი და იმდენ ხალხში დავინახე ჩვენსკენ მომავალი ნინო.

# საბავშვო წიგნის დღესასწაული

ყოველ წელიწადს, მარტის ბოლო კვირას, საგაზაფხულო არდადეგების დღეებში, მთელ საბჭოეთში — ტარდება საბავშვო წიგნის საკავშირო კვირეული — ნორჩი თაობის ლამაზი დღესასწაული.

ყოველ წელიწადს ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკის დედაქალაქი ცენტრი ხდება ამ საკავშირო კვირეულისა.

მიმდინარე წელს კვირეულს მასპინძლობს თურქმენეთი და მისი დედაქალაქი — აშხაბადი.

...1980 წელს საბავშვო წიგნის საკავშირო დღესასწაული ყირგიზეთის სსრ დედაქალაქში — ფრუნზეში გაიხსნა. საქართველოდან მონაწილეობდნენ: საქართველოს მწერალთა კავშირის საბავშვო და ახალგაზრდული ლიტერატურის სექციის თავმჯდომარე, პოეტი ხუტა ბერულავა, ამავე სექციის თავმჯდომარის მოადგილე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, მწერალი რევაზ ინანიშვილი, თბილისის ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ქართული ლიტერატურის კაბინეტის გამგე მიმოზა სოსელია, მოსწავლეები — თამარ ლონლაძე და გურამ ქართველიშვილი.

მოძმე რესპუბლიკების გამოჩენილი საბავშვო მწერლები თავიანთ გულღია მასპინძლებთან ერთად ეწვივნენ ყირგიზეთის ქალაქებსა და სოფლებს, შეხვდნენ ნორჩ მკითხველებს, რომელთაც გააცნეს თავიანთი საუკეთესო ნაწარმოებები, ესაუბრნენ მათ და დიდი შთაბეჭდილებებით აღსავსენი დაბრუნდნენ მშობლიურ ქალაქებში.

ცნობილმა მოსკოველმა ფოტოჟურნალისტმა **ნიკოლოზ კოჩნევმა** ფოტოფირზე აღბეჭდა 1980 წლის საკავშირო კვირეულის მონაწილეთა ეს შეხვედრები ქალაქ ფრუნზესა და ყირგიზეთის სხვა ადგილებში.

იმედი გვაქვს, რომ ჟურნალ „დროშის“ მკითხველები წლევანდელი, 1983 წლის კვირეულის წინ, ინტერესით გაეცნობიან ამ დაგვიანებულ ფოტო გამოფენას, რომელსაც ჟურნალის ჩანართის მეორე და მესამე გვერდები აქვს დათმობილი.

საქართველოს დელეგაციის წევრები რევაზ ინანიშვილი და მიმოზა სოსელია ქალაქ ფრუნზეში.



ეროვნული
ბიბლიოთეკა




სსრ კავშირის სახალხო არტისტი ცისანა ტატიშვილი.

მხატვარი გიორგი თოთიბაძე, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-





კვირეულის საზეიმო გახსნა.

ი. ზიედონისი, ი. ბალტვილკსი, ა. მატუტისი (რიგა).

# საბავშვო წიგნის საკავშირო კვირეული ქალაქ ფრუნზეში





მ. ვ. ფრუნზეს ძეგლი ქალაქ ფრუნზეში. (ვ. თოფურიძის ქანდაკება).

ნორჩი მკითხველები საყვარელ მწერალს ანატოლ ალექსინს (მოსკოვი) პურმარილს მიართმევენ.

ვ. ბერესტოვი (მოსკოვი), ს. მურადიანი (ერევანი) და ტ. ალექსანდროვა (მოსკოვი) სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე.



სტუმრად მწერალ შ. ბეიშენალიევთან. მარცხნიდან: ა. მატუტისი, ე. ვასილევიჩი (მინსკი), შ. ბეიშენალიევი, ხ. ნაზირი (ტაშკენტი).



ნ. კოჩენოვის ფოტოები

უ. რაჯაბი (დუშანბე), მ. პრილეჟაევა (მოსკოვი), შ. ბეიშენალიევი, ე. ვასილევიჩი და სხვები.





ი. აკიმი (მოსკოვი) და ვ. აურილა (ვილ-ნიუსი).




მ. ჯანგაზიევი (ფრუნზე) საბავშვო წიგნის საკავშირო კვირეულის ესტაფეტას გადასცემს ტაჯიკ პოეტს უ. რაჯაბს.



შ. ბეიშენალიევი და ჩ. აიტმატოვი.

ი. რანაპი (მარცხნივ) და ვ. ხეინო (მარჯვნივ).




ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო მწერალთა კავშირის საბავშვო და ახალგაზრდული ლიტერატურის საბჭოს მდივანი, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი ტ. სეტუნსკაია (მოსკოვი), ვ. ნესტაიკო (კიევი) და ს. ჯუსუევი (ფრუნზე).



ა. მატუტისი, ს. ჯუსუევი და მ. აბილკასიმოვა (ფრუნზე).



მ. ჯანგაზიევი, მ. პრილეჟაევა (მოსკოვი), ა. ახმედოვა (ბაქო) და ე. ვასილევიჩი.

ასე შეხვდნენ საყვარელ მწერლებს აეროპორტში.



ეროვნული ბიბლიოთეკა



სალომე ანდრონიკაშვილის პორტრეტი. მხატვარი ზინაიდა სერებრიაკოვა

# ენატრებოდა თურმე მამული

**ნანა ღვინეფაძე**

შარშან მაისში, ლონდონს 94 წლისა გარდაიცვალა სალომე ნიკოლოზის ასული ანდრონიკაშვილი, ახლახან კი საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმმა საჩუქრად მიიღო მისი ნაანდერძევი მისივე პორტრეტი, რომელიც რუს მხატვარს ზინაიდა სერებრიაკოვას დაუხატავს.

სალომე ანდრონიკაშვილის სახელი დაკავშირებულია გამოჩენილი რუსი პოეტების ანა ახმატოვას, მარინე ცვეტაევას, ოსიპ მანდელშტამის შემოქმედებასთან. სწორედ ო. მანდელშტამმა შეადარა იგი ლერწამს: „Соломка звонкая, соломка сухая“. ეს მეტაფორა სალომესადმი მიძღვნილ ლექსში („აჩრდილი“) გაიმეორა ანა ახმატოვამ და თავის მხრივ 1913 წლის მზეთუნახავად მონათლა იგი, ვისშიც უთუოდ თავის ორეულსაც ხედავდა.

ანა ახმატოვა 1965 წლის გაზაფხულზეც შეხვედრია ძველ მეგობარს ლონდონში, ხოლო ერთი წლის შემდეგ იგი სალომეს ნაჩუქარი შავი ვენეციური მაქმანის შარფით დაუკრძალავთ. აი ამ ამბებმა შთააგონა პროფესორ გურამ შარაძეს — წერილი „მეოცე საუკუნის მუზა“ („ლიტერატურული საქართველო“, 1982 წ., 19. XI), მე კი ეს ლექსი დამაწერინა.

...ბლოკი რომ გარდაიცვალა, პაოლო იაშვილი თანაგრძნობით გაეხმიანა ანა ახმატოვას: „მე მინდა გითხრა სამძიმარი, რომ ბლოკი მოკვდა“...

1.

მე ვარ მეორე
ქართველი, ალბათ,
ვინც გაგახსენებს
სატკივარს, ანა!
მოკვდა სალომე!
მწუხრის ზარები
არა გსმენია
ჩემამდე, განა?
მე ვარ მეორე
ქართველი, ალბათ,
ვინც გაგახსენებს
სატკივარს, ანა!

2.

ჩაქრა ქალთამზე,
ჩვენი სალომე,
ვისაც უწოდა პოეტმა
ლელი!
ვისთვისაც ნატვრად იქცა
სამშობლო
და მოელოდა სიკვდილი
ნელი...
ჩაქრა სალომე,
ის შთაგონება,
ვისაც უწოდა პოეტმა
ლელი...

3.

გარდაიცვალა შორეთში
იგი
სად სიმარტოვე წვავდა, ვით
შანთი.
შენ კი სალომეს ჩრდილივით
ჩაგყვა
შავი ვარდები და მისი
შარფი.
აღსრულებულა შორეთში
იგი,
სად სიმარტოვე წვავდა, ვით
შანთი...

4.

ის აღარ არის,
ფერფლად ქცეულა
უთვისტომო და უმწეო
ქალი.
საით წაიღებს,
საით გაფანტავს
მის უპატრონო ფერფლს
ავი ქარი...
ის აღარ არის,
ფერფლად ქცეულა
უთვისტომო და
უმწეო ქალი...

5.

ელანდებოდა თურმე
სამშობლო,
მისი ღრუბელი და
მისი ნისლი, —
და წამალივით იყო
გრძნეული
ნოსტალგიური სიზმრები
მისი.
ენატრებოდა თურმე
მამულის
ღრუბლის ნაგლეჯი და
ნაზი ნისლი.

6.

მე ვარ მეორე ქართველი,
ალბათ,
ვინც გისამძიმრებს,
ძვირფასო ანა!.
ვისაც დობილზე დარდივით
ჩაგყვა
შავი მერდინი და
შავი კაბა...
მე ვარ მეორე ქართველი
ალბათ,
ვინც გისამძიმრებს,
ძვირფასო ანა!

7.

ვეღარ იხილა ქართველი
მოყმე, —
უკანასკნელი იფრინდა
თვისი...
ვინც მოელოდა
ენახა იგი,
როგორც დღეგრძელი
და ტურფა ვისი...
ვეღარ ისტუმრა ქართველი
მოყმე,
უკანასკნელი მოამბე
თვისი...

8.

დაგვემშვიდობა მარად
ნატრული
ქართული ცრემლის და...
ხსოვნის ღირსი, —
საქართველოში დაბრუნდა
მხოლოდ
სალომეს ნატვრა
და ხატი მისი.
დაგვემშვიდობა მარად
ნატრული
მშობლიურ ცრემლის და...
ხსოვნის ღირსი!

მოკვდა ქართველი ქალი
შორეთში...
გულდაბზარული რეკენ
ზარები...

# ლექსი

**ნაზი კეჭაია**

## გადახრილი წნორი

ცის თალები შორი,
მთის კალთები მწვანე,
გადახრილი წნორი,
გახლეჩილი მთვარე,
საით მიქრის გუნდად
ქარავანი მერცხლის,
სულს სიახლე უნდა,
და ძველ ჰანგებს შეცვლის!
დაქცეული მთები
მწვერვალებად იქცა,
გამოისხი ფრთები
და გავცქერი იმ ცას!
ვეფერები ფრთხილად,
ამ ბილიკებს ცისფერს,
სანეტარო დილა,
ვიფრენ, ვიფრენ, ვიფრენ!

## სამშობლო

ჩემი სამშობლოს ქედები,
ჩემი სამშობლოს ცა,
არ მიძებნია არასდროს
მე საოცნებო სხვა!
ავარდებული მთა-ველი,
ამწვანებული გზა,
აფეთქებული სიცოცხლე
და სიყვარულის ზღვა!
გაზაფხულის მზით ნაფერი,
ნაჩუქურთმევი გზა,
ერთია დედასამშობლოც,
ღმერთმა ნუ მომცეს სხვა!
წვიმიან შემოდგომისას
ხავსით ნაფენი გზა,
ერთიც ჩამიტევ გულში და
რისთვის ვინატრო სხვა!

**ნუნუ შალვაშვილი**

## გაზაფხული

მწვანედ ახარხარდა ისევ ველი,
ჩიტებმა აიკლეს მთა,
მეც ანთებული სურვილით ველი,
ვიცი, რომ ამიხელს თვალს.

თმებზე იფეთქებენ ყვავილები,
შთანთქავენ სარმებით
მოვერცხლილ კვალს,
მთებზე ხტუნაობით დავიღლებით
მე და ნაკადული კვლავ.

**მანანა კაპანაძე**

## დრო გადის და მერე...

რატომ ხდება ასე,
რატომ, რატომ, რატომ?
დრო გადის და მერე,
ვნატრობთ, ვნატრობთ, ვნატრობთ.

ნანატრ წუთის შემდეგ
ისევ წარსულს ვნატრობთ,
რატომ ხდება ასე?
რატომ, რატომ, რატომ?



ეროვნული ბიბლიოთეკა






ამჯერად მას არც ლექსები წაუკითხავს და არც უმღერია. საქართველოს საინფორმაციო სააგენტოს იგი სტუმრად ეწვია მეუღლესთან, ოლღა არციმოვიჩთან ერთად და ჟურნალისტებმა „იერიში“ მიიტანეს მასზე, დაუსვეს რამდენიმე კითხვა. ამ კოლექტიური ინტერვიუს ჩანაწერს გთავაზობთ მკითხველებს.

**— თქვენი ლექსების უმრავლესობა სიმღერად იქცევა ხოლმე. როგორ ხდება ეს?**

— მე პროფესიონალი კომპოზიტორი არა ვარ, არც ნოტები ვიცი და წინათ საერთოდ არასოდეს მიფიქრია სიმღერა შემეთხზა. უბრალოდ მიყვარს მუსიკა. როცა ლექსებს ვწერდი, ზოგიერთი მათგანის წაკითხვა კი არა, დამღერება მინდოდა ხოლმე. სწორედ მაშინ ჩნდებოდა მელოდია. ერთადერთი შემთხვევა, როცა მზა მუსიკაზე სიტყვები დავწერე, ეს იყო სიმღერა „სმოლენსკის გზით“. ხდება ხოლმე, რომ ლექსი ათი წელია დაწერილია, შემდეგ კი უცებ სიმღერად იქცევა. ზოგჯერ კი ეს თითქმის ერთდროულად ხდება. მე მქონდა ძველი სიმღერა ლიონია კოროლიოვზე. ლექსი შევთხზე და მაშინვე მელოდიაც იშვა — მარტივი მელოდია, რომელსაც მოგვიანებით ზოგიერთი მომღერალი მეტად რთული ფორმით ასრულებდა და რაღაც ბალადად გადააქციეს. ლექსი დაიკარგა იმიტომ, რომ ეს იყო უბრალო ეზოს სიმღერა.

**— ნიშნავს თუ არა ეს, რომ თქვენი სიმღერების პროფესიული შესრულების წინააღმდეგი ხართ?**

— პირიქით, მუდამ მიხარია, როცა ჩემი ნამუშევრისადმი სხვები ინტერესს იჩენენ. ეს ჩემთვის დიდი ჯილდოა, მაგრამ როცა პროფესიონალი მომღერლები ჩემს სიმღერებს ხელს ჰკიდებენ, გრძნობენ, რომ მათ აკლიათ ავტორისეული ინტონაცია და ამის გამო სიმღერა შესანიშნავი ვოკალისა და შესანიშნავი აკომპანიმენტის დროსაც კი ბევრ რამეს კარგავს. ეს იმიტომ, რომ ჩემი სიმღერა წმინდა სახის სიმღერა არ არის, ეს ლექსების შესრულების ხერხია, როცა ამას ხელს ჰკიდებს ავტორი, თუნდაც მას ხმაც არ ჰქონდეს და გიტარასაც სუსტად უკრავდეს, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ იგი თავის ლექსებს კითხულობს. მსმენელთან ერთგვარი საუბრის მსგავსი რამ ხდება. ამიტომაც არის, რომ ჩემს ლექსებს შესასრულებლად არცთუ დიდი ხალისით ჰკიდებენ ხელს. მე სავსებით მაკმაყოფილებს ის, რაც მათთან დაკავშირებით ხდება, იმიტომ, რომ იმას ვაკეთებ, რაც ჩემთვის ძვირფასი და სასიამოვნოა, და სხვა რამის გაკეთება არც შემიძლია.

**— თქვენი ლექსები ხშირად ჟღერს, ძირითადად კინოფილმებში, შვარცის მუსიკაზე. ეს „თქვენი“ ერთადერთი კომპოზიტორია? რით არის იგი ახლობელი თქვენთვის?**

— უწინარეს ყოვლისა, იგი ჩემი მეგობარია. ჩვენი მუსიკალური და სამუშაო საქმეების მიუხედავად. გარდა ამისა, იგი ძალიან მარჯვედ უხამებს მუსიკას ჩემს ლექსებს, პატივისცემით ეკიდება მათ, რაც ჩემი აზრით, სხვებთან არც ისე ხშირად ხდება ხოლმე. უნდა გესმოდეს და პატივს სცემდე ლექსებს, რომლებზეც მუსიკას წერ. დამეთანხმებით, ზოგჯერ შესანიშნავი კომპოზიტორების სიმღერებშიც კი საზარელი, უაზრო სიტყვებია. ეს იმიტომ ხდება, რომ ბევრ კომპოზიტორს ჩვეულებრივ მხოლოდ თავისი მელოდია ესმის, სიტყვები კი მათ სჭირდებათ როგორც რიტმული ქვეტექსტი. შვარცს ეს არასოდეს არ მოსდის. იგი გრძნობს ლექსს, უყვარს იგი.

**— რაკი სიტყვა მეგობრებზე ჩამოვარდა, შეიძლება გავიხსენოთ, რომ მეგობართა შორის თქვენ ხშირად ასახელებთ ზ. გერდტს, მ. ხუციევს, ჭ. ამირეჯიბს, ბ. ახმადულინას, ფ. ისკანდერს. ვინ არის თქვენთვის კიდევ ახლობელი და რა გაერთიანებთ, ერთი შეხედვით, ამ სხვადასხვა ადამიანებთან?**

— უთუოდ გვაერთიანებს ერთმანეთისადმი პატივისცემა მუშაობაშიც და პირად ცხოვრებაშიც. არის რაღაც გამოუთქმელი სითბო, რაღაც საფუძველი ადამიანთა ურთიერთგულებისათვის. გარდა ამისა, ჩვენ გვანათესავებს ირონიული დამოკიდებულება საკუთარი თავისადმი, — და თუ ადამიანებს ასეთი გრძნობა არა აქვთ, ისინი არ მაინტერესებს. მე მყავს აქ ჩამოთვლილთა გარდა სხვა მეგობრებიც, მათ თქვენ არ იცნობთ, იმიტომ რომ ისინი არც ისე ცნობილი ადამიანები არიან. ისინი „ტექნიკოსები“ გახლავან, მაგრამ უბრალო მეგობრები კი არა, ნამდვილი ძმები გამიხდნენ.

**— გყავთ თუ არა ეგრეთ წოდებული „კონტროლიორი მსმენელი“, ესე იგი ადამიანი, რომელსაც, როგორც წესი, უკითხავთ ახალ ნაწარმოებებს ფართო აუდიტორიისათვის მის გაცნობამდე?**

— მყავს. ეს არის ჩემი მეუღლე ოლია. იგი სამართლიანი, მკაცრი ადამიანია და ძალიან ხშირად ჩემი ემოციები მის ცივ, მაგრამ საჭირო წინააღმდეგობას აწყდება. უნდა ვთქვა, რომ მისი სიმართლე შემდეგ მეტ წილ შემთხვევებში დასტურდება. იგი განათლებით ფიზიკოსია, მაგრამ იძულებული გახდა, ფიზიკა მიეტოვებინა, რადგან ბევრი სხვა საზრუნავი გაუჩნდა. ძნელი კაცი ვარ, მაგრამ მან შეძლო, ადგილი ეპოვა ჩემს ცხოვრებაში. ერთად საკმაოდ დიდხანს ვცხოვრობთ, ბევრი საერთო ინტერესი გვაქვს, ლიტერატურაც, კერძოდ, მე ძალიან ვაფასებ მის გემოვნებას, გაგებას.

**— ბევრი თქვენი ნაწარმოები, მათ შორის რომანებიც, გასულ საუკუნეს ეძღვნება. ეს რომანტიკის ატმოსფეროს ნოსტალგია ხომ არ არის?**

კაცმა რომ თქვას, წარსულის რაღაც ნოსტალგია არის ისევე, როგორც ყოველი დროის ყოველ ადამიანში. მაგრამ სრულიადაც არ მინდა მე-19 საუკუნის გაიდეალება, ამ საუკუნეში ბევრი რამ იყო დაუხვეწავიც და საძაგელიც. მაგრამ მასში იყო სულიერი ცხოვრების ზოგიერთი ელემენტი, რომლებსაც, მგონია, ჩვენ ბობოქარ, შფოთიან, სწრაფ საუკუნეში ვკარგავთ. მაგალითად იმის უნარი, რომ შეჩერდე და იფიქრო საკუთარ თავზე, იმაზე, თუ ვინ ხარ შენ და რისთვის არსებობ. ახლა ამისათვის დრო არ გვრჩება. მაშინ კი ეს შეეძლოთ და ამიტომაც ბევრი ალსარებითი ლიტერატურა იქმნებოდა, იწერებოდა წერილები, რომლებიც რომანივით იკითხებოდა.

ჩვეულებრივ ამ კითხვას მომზადებული ფრაზით ვუპასუხებ ხოლმე: ეს დრო არც ისე ახლობელია, რომ სარწმუნოდ არ მოგეჩვენოს, და არც ისე შორეული, რომ იდუმალება დაკარგოს. მაგრამ ჩემთვის მაინც გავარკვიე: მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი მიზიდავს იმით, რომ ეს იყო რუსეთის საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების, საკუთარ თავზე ადამიანების ფიქრის დაწყების პერიოდი. მე-18 საუკუნეში ეს არ ყოფილა. ყველაფერი ცხადი იყო: მე თავადი ვარ, ეს ჩემი ყმაა, სადღაც მეფეა და ასე შემდეგ. მე-19 საუკუნეში კი ადამიანებმა იწყეს იმაზე ფიქრი, სწორად ვცხოვრობთ თუ არაო. ეს პერიოდი ჩემთვის დიდად საინტერესოა.

**— იური ტინიანოვი ამბობდა: „მე ვიწყებ იქ, სადაც დოკუმენტი მთავრდებაო“. თქვენ როგორ იქცევით? როგორია თქვენი ისტორიოგრაფიული მეთოდი?**

— კაცმა რომ თქვას, იგივეა. მე ხომ, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, ისტორიკოსი მწერალი არა ვარ. უბრალოდ, ისტორია ჩემთვის დამხმარე საშუალებაა, საკუთარი თავის გამოხატვის ხერხია. შესაძლებლობას მაძლევს შევეხო ჩემს თავს, მკითხველს გავუზიარო ჩემი შთაბეჭდილებანი ჩემს გარშემო არსებული სამყაროს შესახებ. ამისათვის სიამოვნებით ვიშველიებ ისტორიულ მასალას, თუმცაღა ვცდილობ, ვიყო მეტად ზუსტი რეალიებში, დეტალებში.

**— ასახული არიან თუ არა თქვენს რომანებში და დახატულ ტიპებში თქვენი თანამედროვენი?**

— ძირითადად ჩემს თავზე ვწერ. უარყოფით პერსონაჟებშიც და დადებითშიც ჩემი ხასიათებია. ეს მეტად მოხერხებული მასალაა, მე ხომ საკუთარ თავს შესანიშნავად ვიცნობ. მეც წარმოვიდგენ ხოლმე, როგორ მოვიქცეოდი ამა თუ იმ სიტუაციაში.

**— ძნელი მისახვედრი არ არის, თუ როგორ ეკიდებით ჭაბუა ამირეჯიბის შემოქმედებას. შეიძლება თუ არა, თქვენი აზრით, „დათა თუთაშხიას“ ისტორიული რომანი ვუწოდოთ?**

— ვფიქრობ, ჭაბუა ამირეჯიბი განეკუთვნება მწერლებს, რომლებიც ცდილობენ თავიანთ თავზე ილაპარაკონ მათ ხელთ არსებული საშუალებებით. პირდაპირი გაგებით ეს ისტორიული რომანი არ არის...

**— გვიამბეთ, თუ შეიძლება, უფრო დაწვრილებით, თქვენი ახალი რომანის შესახებ.**

— ახლა მას ვამთავრებ და აპრილში უნდა ჩავაბარო ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“ რედაქციას. თუ მოეწონებათ, ალბათ, დაიბეჭდება მიმდინარე წლის მეორე ნახევრის ორ ნომერში. მას ჰქვია „პაემანი ბონაპარტთან“. იგი ოთხი ნაწილისაგან შედგება. თითოეული ნაწილი ერთ-ერთი ჩემი გმირის — მემუარებია ერთი და იმავე მოვლენების, ერთმა-

# მწერალი ბულატ ოკუჯავა თბილისში


ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეთის შესახებ. რომანი ბევრ რამეში იმას ეხება, რაც მაწუხებს. რომანში საუბარია სინდისიანობაზე, ცოდვებისათვის განკითხვაზე, იმაზე, რაც რუსეთში დეკაბრისტების გამოჩენას უძღვოდა წინ.

**— თქვენ არც ისე ხშირად ჩამოდიხართ საქართველოში...**

— მომავალში უფრო ხშირად ჩამოვალ. აქ არიან შესანიშნავი ადამიანები, რომლებსაც უნდათ, რომ სამუშაოდ ჩამოსვლის შესაძლებლობა მქონდეს. ეს იმიტომ, რომ გასტროლების ყაიდის იშვიათი ჩამოსვლები დროს აკარგვინებს ადამიანს, იწყება რაღაც ზედმეტი ფუსფუსი. თუკი შევძლებ აქ დიდხანს ყოფნას, ვთქვათ, დაახლოებით სამ თვეს, მაშინ ყველა შემეჩვევა, მე კი ყველას მოვაბეზრებ თავს და ყველანი ჩვენ-ჩვენ საქმეს მივხედავთ.

**— 1979 წლის ალმანახში „სახლი ჩინარქვეშ" გამოქვეყნებულია თქვენი მოთხრობა „დილა ამკობს ნაზი შუქით", რომელშიც გვიამბობთ, თუ როგორ მიდიოდით თბილისიდან ფრონტზე. გაქვთ თუ არა ნაწარმოებები, რომლებშიც ასე თუ ისე ასახულია თქვენი თბილისური სიჭაბუკე?**

— მთელი რიგი ლექსები მივუძღვენი საქართველოს, მაგრამ მაქვს საკმაოდ დიდი მხატვრული ნარკვევიც, რომელიც დავწერე დიდი ხნის წინათ, ახალი ამბების პრესის სააგენტოსათვის. ეს არის ჩემი სიჭაბუკის მოგონებანი, სასაცილოც და ნაღვლიანიც. ვიხსენებ, კერძოდ, ამბებს, რომლებიც მხოლოდ თბილისში შეიძლება მოხდეს. ორმოციან წლებში აქ გამოდიოდა ტენორი დონატ დონატოვი. თითქმის მთელი ქალაქი ჭკუიდან იყო გადამდგარი. სასტუმროსთან ვნახე მაშინ ადამიანთა ზღვა, და აივანზე გადმომდგარი მომღერალი, რომელიც ტრუბადურის არიას ასრულებდა. და მქუხარე ტაში... ასეთი რამ შეიძლება მხოლოდ თბილისში მოხდეს. ანდა, როგორ აგვებნა გზა ღამით ნარიყალის ერთ-ერთ ვიწრო ქუჩაბანდში და შევნიშნეთ ბელეტაჟის ღია სარკმელი, ოთახში მყოფთ შევეხმიანეთ, გზის სწავლება ვთხოვეთ, ყველა მოქეიფე გარეთ გამოვიდა, შინ შეგვიყვანეს და დილამდე მათთან ვიქეიფეთ. გადაწყვეტილი მაქვს, ეს მოგონებანი მოვაწესრიგო, რადგან, ჩემი აზრით, იმდროინდელი საქართველოს დღევანდელი ხედვა ძალიან სასიამოვნოა.

**— კრებულის „თინათინისაკენ მომავალი გზით" შემდეგ იშვიათად ვხვდებით ქართული პოეზიის თქვენეულ თარგმანებს. თარგმნით თუ არა ამჟამად, და კერძოდ, გალაკტიონ ტაბიძეს?**

— სრულფასოვან მთარგმნელად არ მიმაჩნია თავი. წინათ ბევრს ვთარგმნიდი, მეტ წილ შემთხვევებში, — არცთუ კარგად. ახლა აღარ ვთარგმნი — ამისათვის საჭიროა თავად ინტენსიურად მუშაობდე პოეზიაში, მე კი თითქმის აღარ ვწერ ლექსებს. გალაკტიონის თარგმნა კი მაშინებს, იმიტომ, რომ საშუალოდ თარგმნის უფლება არა მაქვს, კარგად კი არ გამომივა. მით უმეტეს, რომ ახლა ბევრია პოეტი — ბ. ახმადულინაც, ვ. ლეონოვიჩიც, გ. მარგველაშვილიც, რომლებსაც სერიოზული წვლილი შეაქვთ მისი ლექსების თარგმნაში.

**— ეხმარებით თუ არა ლექსებისა და სიმღერების ახალგაზრდა ავტორებს?**

— ვფიქრობ, რომ ნიჭი დამოუკიდებლად უნდა ვითარდებოდეს. თუ ნიჭი გაქვს, იგი გზას გაიკვლევს. უნიჭოებს და ნიჭიერებს საერთო ისა აქვთ, რომ ერთსაც და მეორესაც ერთნაირად თან სდევს წარუმატებლობა. განსხვავება კი ის არის, რომ ნიჭიერ ადამიანებს წარმატებანი აქვთ, უნიჭოებს კი არა. ეს არის ნიჭის შემოწმების ერთადერთი საშუალება. ერთი წარმატებაც რომ ჰქონდეს კაცს, მაშასადამე, იგი ნიჭიერია.

**— რა თვისებებს აფასებთ უმთავრესად ადამიანებში?**

— მთავარი, რასაც ვაფასებ, ეს არის უნარი — ადამიანი არ აგებდეს თავის კეთილდღეობას სხვა ადამიანის ხარჯზე. გარდა ამისა, მისწრაფებას ყოველ ვითარებაში დამოუკიდებლად აზროვნებდეს, და კიდევ — არ ცდილობდეს სხვა ადამიანის დათრგუნვას.

**— რა სულიერ განწყობილებას უსურვებდით საკუთარ თავს?**

— უწინარეს ყოვლისა, ვუსურვებდი ღამით კარგ ძილს. ღამით კი კარგად გძინავს მაშინ, როცა კარგი დღე გქონდა. ესე იგი, შეასრულე შენი დანიშნულება როგორც შეგეძლო, არავისთვის მიგიყენებია შეურაცხყოფა, არ გიწყენინებია, არ დაგიჩაგრავს. ეს კი ზოგჯერ ხდება — არა ბოროტებით, არამედ უნებურად. მაშინ ცუდად გძინავს. მე კი მსურს ყოველთვის კარგად მეძინოს.



სურათზე: საქინფორმის დირექტორი თეიმურაზ სტეპანოვი, ბულატ ოკუჯავა, მისი მეუღლე ოლღა არციმოვიჩი და ჟურნალისტი გურამ ჭანიშვილი.

# ერთი სურათის ისტორია

ეს ფოტოსურათი, რომელზედაც პოპულარული ქართველი კინომსახიობი ნატო ვაჩნაძე და რეჟისორი შაქრო ბერიშვილი არიან გამოსახულნი, ქალაქ მახარაძიდან რედაქციას გამოუგზავნა შრომის ვეტერანმა თამარ ღლონტმა. მკითხველებისთვის უთუოდ საინტერესო იქნება საოჯახო ალბომში აღმოჩენილი ფოტოსურათის ხილვა ჟურნალის ფურცლებზე. ალბათ ბევრ მათგანს მოაგონებს ეს დაღლილი, სევდიანად მომღიმარი სახე ნატო ვაჩნაძის ლამაზ ცხოვრებას, ღრმა ემოციებს...

ფოტოსურათის დაბეჭდვამდე ვესაუბრეთ კინომცოდნე გიორგი დოლიძეს. აი რა მოგვითხრო მან:

— შაქრო ბერიშვილმა ჯერ კიდევ 1913 წლიდან დაიწყო მოღვაწეობა. იგი რეჟისორიც იყო და მსახიობიც. ითამაშა პირველ ქართულ ფილმებში — „არსენა ჯორჯიაშვილი", „სურამის ციხე" და „წითელი ეშმაკუნები".

1923 წელს კინოსტუდია იწყებდა „მამის მკვლელისა" და „არსენა ყაჩაღის" გადაღებას. ეძებდნენ მთავარი როლების შემსრულებელ გოგონას. ამ დროს შაქრო ბერიშვილის მეუღლე შიხმანის ფოტოსტუდიის ვიტრინაში წააწყდა საოცრად მომხიბვლელი გოგონას პორტრეტს. შაქრო ბერიშვილმაც არ დააყოვნა და შიხმანის ფოტოსტუდიაში წავიდა. პორტრეტი ძალიან მოეწონა, მაშინვე ეწვია ფილმების რეჟისორებს — ამო ბეკნაზაროვსა და ვლადიმერ ბარსკის. რეჟისორების თხოვნით შაქრო ბერიშვილმა ნატო ვაჩნაძეს მიაგნო გურჯაანში, როდესაც დედასთან სტუმრად იმყოფებოდა.

ნატო ვაჩნაძეს ვერც კი წარმოედგინა, თუ ოდესმე მსახიობობას შეძლებდა. შაქრომ იქვე ჩაუტარა სამსახიობო ხელოვნების პირველი გაკვეთილები და რაკი იგრძნო ბუნებრივი ნიჭი, აღარ მოეშვა, დიდხანს ეხვეწა მის მეუღლეს, მახლობლებს და ბოლოს დაითანხმა კიდეც.

ნატომ ორივე ფილმში („არსენა ყაჩაღსა" და „მამის მკვლელში") ერთდროულად ითამაშა. ფილმები გამოვიდა 1924 წლის გაზაფხულზე და ნატო ვაჩნაძე ერთბაშად იქცა კინოვარსკვლავად.

„მამის მკვლელში" შაქრო ბერიშვილი თამაშობდა მამის როლს, ნატო კი მისი ქალიშვილის — ნუნუს როლს ასახიერებდა. თითქოს ფილმშივე დამყარდა მათ შორის მამაშვილური დამოკიდებულება, რამაც სიცოცხლის ბოლომდე გასტანა.

გიორგი დოლიძის აზრით, ფოტოსურათი ნატოს სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, დაახლოებით 1951-52 წლებშია გადაღებული.

**რუსუდან თვარაძე**


ეროვნული ბიბლიოთეკა

ნატო ვაჩნაძე და შაქრო ბერიშვილი

# დები — მხატვრები



დები: ნინო, თამარ (პორტრეტზე) და ბარბალე.

რამდენიმე წლის წინათ ვარშავაში პოლონელი მხატვრების მორიგი გამოფენა მოეწყო.

დამთვალიერებელთა ყურადღება მიიპყრო ფერწერულმა ტილოებმა: „ფასანაური", „სვანეთის სოფელი", „ქართული პეიზაჟი", „ხევსურეთი", „ანანურის ციხე", „შიო მღვიმე", „მეტეხი"...

ამ ტილოების ავტორი ფრიჩი გახლდათ, თამარ კანდელაკი-ფრიჩი.

ქართველმა ქალიშვილმა თამარ კანდელაკმა პოლონელი ფრანტიშე ფრიჩი თბილისში გაიცნო დიდი სამამულო ომის დღეებში. ვროცლავიდან გამოხიზნული ფრანტიშე თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობდა და სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა იმ დროს.

შეუღლდნენ, ვაჟი შეეძინათ. ომის დამთავრების შემდეგ საცხოვრებლად ვარშავაში გადავიდნენ. ქმარი ინჟინერი იყო და სახლებს აშენებდა, ცოლს თბილისის სამხატვრო აკადემია ჰქონდა დამთავრებული. საყვარელ საქმეს ვერ ღალატობდა, გვიანობამდე იჯდა და გატაცებით ხატავდა.

გამოხდა ხანი. ვარშავის სურათების გალერეაში მხატვარ კანდელაკ-ფრიჩის პირველი პერსონალური გამოფენა მოეწყო. პირველს მალე მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე.

ბოლო გამოფენამ მოლოდინს გადააჭარბა. მხატვარი გაზრდილიყო. უფრო დაეხვეწა, აემაღლებინა და სრულეყო ოსტატობა. საზოგადოებრიობა მანამდეც იცნობდა თამარის შემოქმედებას, ამ გამოფენამ კი უფრო წარმოაჩინა იგი...

— კარგია! — ჩაილაპარაკა რომელიღაც დამთვალიერებელმა და კუთხეში მიმდგარ ქალებს შეავლო თვალი.

ორ მანდილოსანს შუა თამარი იდგა. სახე უღიმოდა, გაბრწყინებული თვალებით ესაუბრებოდა სტუმრებს.

ხმადაბლა საუბრობდნენ, ღინჯად, ყველასათვის გაუგებარ ენაზე. და მაშინ, როცა სამ მანდილოსანს ფრანტიშე ფრიჩიც შეემატა, უფრო გახალისდნენ, აუწიეს ხმას და ისევ ქართულად გააგრძელეს საუბარი.

ყოველთვის ასე იყო: ხანგრძლივი დაშორების შემდეგ შეიკრიბებოდნენ ხოლმე დები — თამარი, ნინო, ბარბალე, გვერდში ამოუდგებოდათ ფრანტიშე და ქართულად საუბარს ბოლო აღარ უჩანდა.

ახლა თამარის მესამე პერსონალურმა გამოფენამ შეჰყარა დები. ვარშავაში თბილისიდან ჩასულ ნინოს და ბარბარეს მოსაყოლს, გასახსენებელს, დანაბარებს და სათქმელს რა გამოულევდათ?!

ნინო და ბარბარე კანდელაკებიც მხატვრები არიან.

ნინომ თბილისის სამხატვრო აკადემია დაამთავრა. იგი წლების მანძილზე თბილისის ბოტანიკურ ბაღში მთავარ მხატვრად მუშაობდა. ნინოს მიერ ხანგრძლივი შრომითა და ძიებით შესრულებულმა დეკორაციული მცენარეების ალბომებმა მოწონება დაიმსახურეს. იგი მრავალი გრაფიკული და ფერწერული ტილოს ავტორია. იცნობენ როგორც ექსლიბრისების ოსტატს. ხანდაზმული მხატვარი ახლაც ხშირად მონაწილეობს რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებში.

ბარბარე გამოყენებით ხელოვნებაში მუშაობს. იგი საქართველოს სხვადასხვა თეატრში თანამშრომლობს, ძირითადად სასცენო დეკორაციებისა და კოსტიუმების გაფორმების ხელოვნებაში გაიწაფა ხელი. მის მიერ ოსტატურად და გემოვნებით შესრულებულმა ნამუშევრებმა საპატიო სიგელები და ჯილდოები დაიმსახურა.

სხედან და მუშაობენ დები — ხატავენ, ქმნიან, მომავლის გეგმებს სახავენ...

მერე, როგორც წესი, თამარზე ჩამოაგდებენ სიტყვას.

— წელს ჩვენ მივდივართ პოლონეთში თუ თამარი უნდა ჩამოვიდეს საქართველოში? — იკითხავს ბარბარე და უფროსი დისკენ გააპარებს მზერას.

განა არ იცის, რომ წელს ვარშავიდან თბილისში თამარი უნდა ეწვიოს დებს. იცის და მაინც კითხულობს.

იცინიან დები. იცინიან და ამთავითვე იჭერენ სტუმრის დახვედრის შესაფერის თადარიგს.

**ეთერ მაჭავარიანი**

# მარადისობის ექო

**დინარა ნოდია,**
საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი.



რეჟისორი-კინოდოკუმენტალისტი თეიმურაზ დოლიძე (მარჯვნივ) და ოპერატორი გივი აზიზოვი ფილმ „საქართველოს რითმებზე“ მუშაობისას.

მეტად რთულია რეჟისორ-დოკუმენტალისტის გზა; იგი დამოკიდებულია კონკრეტულ მასალაზე და საკუთარი შემოქმედებითი კრედო რომ გამოხატოს, მახვილი თვალით უნდა შეხედოს გარემოს. მისი ნიჭიერება თავს იჩენს იმაში, თუ რამდენად ძალუძს მას, ასახოს სამყარო არსებული რეალური ფაქტებიდან გამომდინარე, თანაც ისეთ ხატოვან სისტემაში მოუყაროს თავი ამ ფაქტებს, რომ დიდ მხატვრულ სიმბოლოდ ჩამოასხას, ამ სიმბოლოში კი მისეული მოქალაქეობრივი პოზიციაც წარმოაჩინოს.

რეჟისორ თეიმურაზ დოლიძის ნამუშევრები მაღალი მხატვრული ღირსებებით აღსავსე, მკაფიო, თავისთავადი მოვლენაა დღევანდელ ქართულ დოკუმენტურ კინემატოგრაფიაში.

რეჟისორი თავის შემოქმედებაში კონკრეტული სინამდვილის განზოგადებისაკენ ისწრაფვის. სრულიად სხვადასხვა თემატიკაზე შექმნილ ფილმებში შესანიშნავად ჩანს პატრიოტი ხელოვანი, რომელიც ცდილობს, მაყურებელს ბოლომდე აგრძნობინოს მშობლიური მიწის მადლი, მისი ეროვნული სათავეები, შექმნას სინამდვილისა და მარადისობის ხატი, ხატი საქართველოსი. ძირითადი დრამატული ქარგა ამ ფილმებისა — სამშობლოსადმი სიყვარული—ავტორის მიერ პოეტურად არის გადმოცემული. მათში მოთხრობილია საქართველოს მარადიულ მშვენებასა და მის მიწაზე დაბადებულ ადამიანებზე.

ასე იქმნება ხელოვანის თავისთავადი, მისეული სამყარო — უაღრესად პოეტური, მაგრამ, ამავე დროს, რეალური და კონკრეტული პრობლემებით გამსჭვალული.

...ქედები და მწვანე ველები, აქაიქ მოლაპლაპე ტბები და ვერცხლისფრად მბზინავი მდინარეები, ქვის ბუდეებივით კლდეში ჩამჯდარი სოფლები, მოფუსფუსე ადამიანები მშობლიური მიწა-წყლის მხატვრულ პორტრეტს ქმნიან. მიწამ შექმნა ადამიანი და ამ მიწისათვის, ამ მიწის ასაყვავებლად ილვწის იგი, — ასეთია თეიმურაზ დოლიძის კინოფირების პუბლიცისტური პათოსი.

„სახალხო მთქმელების“ მუსიკალური ფონოგრამა — ქართული ხალხური მუსიკა — ლეიტმოტივად გასდევს ფილმს და განსაზღვრავს მის არსს. კომპოზიციისა და გამომსახველობის მხრივ დიდებულ კადრებს, რომლებითაც ავტორი საქართველოს სხვადასხვა კუთხეს გვაცნობს, ავსებს ამ კუთხეთა თავისებურებების ამსახველი ხხალ-ახალი მხატვრული ნიმუშები. თხრობის სისადავე და უშუალობა უფრო ღრმად განგვაცდევინებს ამ სიმართლეს, რომელიც ისევე უტყუარია, როგორც ხალხური სიბრძნე. ეს სიბრძნე გამოსჭვივის სახალხო მთქმელთა სიმღერებში, მათ ინტონაციურ სიღრმესა და აზრობრივ, ესთეტიკურ, ეთიკურ მასშტაბურობაში.

მიწისა და შრომის საგალობელივით ჟღერს სახალხო მთქმელის ივანე მრელაშვილის ლექსები. რეჟისორი ერთიანად, პოეტურად აღიქვამს მათში აღვლენილ ლოცვას მოსავლისათვის თუ მსხმოიარე ვაზს და სვეტიცხოვლის რელიეფს. წარმოგვიჩინოს ხელოვნება და შრომა — მიწის სამკაული — ასეთია რეჟისორის იდეა და ამ იდეას იგი არ ღალატობს არც კინონოველაში „მებადური და მოცეკვავე ქალი“. კადრების რიტმული დაპირისპირება: ტალღებზე მოქანავე თევზსაჭერი სეინერი და ბალერინას სამუშაო ოთახი, მებადურის ჯაფა და მოცეკვავის მოძრაობები, როცა იგი ერთსა და იმავე პასაჟს დაჟინებით იმეორებს, ხვეწავს, — მოქმედების ამ ექსპრესიულობით, დინამიკურობითა და სისწრაფით ავტორი ხაზს უსვამს ტიტანურ შრომას, რომელიც ორი სხვადასხვა პროფესიის ადამიანს აერთიანებს.

რეჟისორი გრძნობს ფაქტობრივი მასალის ემოციური ზემოქმედების შესაძლებლობებს და ამიტომაც ასეთი გულმოდგინებით, ასე ზედმიწევნით ზუსტად გვიჩვენებს ბადეში გაბმული თევზების ლივლივს, ესიყვარულება ნამიან ბალახს, თვალს მიადევნებს ათასწლოვან ხეთა ფესვებს. მას არ ძალუძს, გვერდი აუაროს ფაუნის დაცვის პრობლემას (კინოფირი „ტყის ძახილი“).

რეჟისორს, თითქოს მხატვრის ფუნჯით, გამოჰყავს ტყის მჭრელთა ლაპიდარული ფიგურები, გვიჩვენებს ძირფესვიანად ამოთხრილ ხეებს, როგორც ბრძოლის ველზე დაცემულ მეომრებს.

და ბოლოს მზისკენ ატყორცნილი ნორჩი ყლორტები, რომელთა დასაცავად მოგვიწოდებს რეჟისორი. იგი პუბლიცისტური სიმძაფრით იმაღლებს ხმას — ადამიანის გულგრილობამ შეიძლება დასაღუპავად გასწიროს ათასობით ცოცხალი არსება. საჭიროა აქტიური ჩარევა სიცოცხლის გადასარჩენად!

კადრის მხატვრულ-კომპოზიციური აგების გრძნობა განსაკუთრებით მკაფიოდ იჩენს თავს კინონოველაში „სკოლა მთაში“. რეჟისორს გრაფიკული სიცხადით და აჟურული სინატიფით გადააქვს თხრობა შორს, თოვლიან მთებში ჩაკარგულ პატარა სოფელზე, თანამიმდევრულად გვიჩვენებს თოვლით დაფარულ სახურავებს და საკვამურებიდან ბოლქვად ამოსულ კვამლს, წნულ ღობეებს, თოვლის ნამქერებსა და ზვავებს, ხე-ბუჩქნარების სილუეტებს და სოფლურ სახლებს, შემდეგ ფანჯრებშიც შეგვახედებს, რომ უკეთ წარმოგვიჩინოს ეს მიკროსამყარო, აქაური სავსე, სისხლჭარბი ცხოვრება, რომელიც სინამდვილეში შრომისა და ტრადიციის უკვდავი სკოლაა.

„აფციაური, ბექაური, წიკლაური...“ — საკლასო ჟურნალს კითხულობს მასწავლებელი და სოფელს წყაროს წყალივით ანკარა ნაკადი გადაუვლის — ვარ, ვარ, ვარ! — გაისმის ბავშვების წკრიალა ხმა და ექო მთებსა და ველებს გადასცემს მას, თითქოს იმეორებს თაობათა ხმას.

მაყურებლისათვის აშკარაა, რომ მათ ავტორს მაღალმხატვრული შემოქმედებითი პოზიცია გააჩნია, პოზიცია მოქალაქის, პუბლიცისტისა, რომელიც გრძნობს პასუხისმგებლობას თავისი დროის წინაშე. და ეს არის ხელოვანი, რომლის დიდი შემოქმედება ფართო ასპარეზის ღირსია.



## ჩვენი ჟურნალის კეთილი მეგობრები

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბის მოწინავე ადამიანები: (მარცხნიდან) ლეილა ღურჯუმელია, ციალა სილაგაძე, მაყვალა კობახიძე, ლია ლაზაშვილი, ესმა ფხოველიშვილი და ქსენია მახარაძე (ზის).

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შენ ჰქვიან ლექსში იმ ღიმილს, მერი...



„ჭაბუკი პოეტის ცხოვრებაში შეიჭრა ქალი... თავისი სიყმაწვილის გარიჟრაჟზე ქუთაისში გალაკტიონმა იხილა ზეცით მოვლენილი ხატება — სილამაზის ღვთაება მერი შერვაშიძე... პოეტი შეიპყრო სიყვარულის მწველმა გრძნობამ, დღითიდღე მას უფრო მეტად ეუფლება მტანჯველი სევდა, სიყვარული იმორჩილებს სულსა და გონებას. იგი უკვე ტყვეა მშვენიერი ასულის...“ — წერდა ლადო გუდიაშვილი თავის მოგონებაში, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „ჭოროხის“ 1980 წლის მეორე ნომერში.

სწორედ ლადო გუდიაშვილისათვის გადაუცია ფერწერული პორტრეტის დასახატად გალაკტიონ ტაბიძეს მერის 1915 წელს გადაღებული ფოტოსურათი. როცა დიდმა მხატვარმა ტილოზე გადაიტანა მერის მშვენიერი სახე (1973 წ.) გალაკტიონი უკვე ცოცხალი აღარ იყო...

ქალის სახელი — მერი, როგორც შთაგონება, უცხო არ არის პოეზიისათვის. მაგრამ თვითონ გალაკტიონი წერდა, რომ „პირველია ეს სახელი საქართველოში... ალექსანდრე ბლოკის მერი — სიმბოლური სახებაა, ჩემი მერი — რომანტიული, მაგრამ რეალური და ცხადია“ (გ. ტაბიძე, ტ. XII, გვ. 249).

თავად დიდმა პოეტმა ინება ისე რომანტიული, ამაღლებული დარჩენილიყო ხალხის ხსოვნაში მერი შერვაშიძე, როგორც მის პოეზიაში. ამიტომ იგი დუმილს არჩევდა.

მაინც ლეგენდასავით დაუკავშირდა გალაკტიონის სახელს მერი შერვაშიძე.

ვინ იყო იგი?

მერი შერვაშიძე გადამდგარი გენერალ-მაიორის, რუსეთის მესამე სათათბიროს საბჭოს წევრის პროკოფი შერვაშიძე-ჩაჩბას ქალიშვილი იყო.

გალაკტიონს მისი ნახვა შეეძლო პეტერბურგიდან ქუთაისში ჩამოსვლის შემდეგ. მათ პირადი ნაცნობობა არ ჰქონიათ. 1962 წელს მერი შერვაშიძე-ჩაჩბა პარიზიდან თავის ნათესავს სწერდა: „მაშინ ქუთაისში ყველა ლაპარაკობდა, რომ ლექსი „მერი“ და სხვები ტაბიძემ მომიძღვნა მე. მაგრამ პირადად პოეტს არ ვიცნობდი...“

1918 წელს მერი შერვაშიძე ცოლად გაჰყვა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის თანაშემწის შვილს თავად გიგუშა ერისთავს. იგი ერთხანს თბილისში ცხოვრობდა, მალე ქმართან ერთად საცხოვრებლად გადავიდა საფრანგეთში.

გარდა ლადო გუდიაშვილისა, მერი შერვაშიძის პორტრეტი შექმნეს ცნობილმა რუსმა მხატვარმა საველი სორინმა, აფხაზმა მხატვარმა ალექსანდრე შერვაშიძე-ჩაჩბამ და სოხუმელმა თვითნასწავლმა მხატვარმა ექიმმა ივანე ერქომაიშვილმა.

მკითხველისათვის ალბათ ინტერესს მოკლებული არ იქნება სხვადასხვა დროს გადაღებული ფოტოსურათები ულამაზესი ასულისა, რომელიც ჩვენი აზრით, მართლაც შეიძლებოდა ყოფილიყო საქართველოს სახალხო პოეტის ერთ-ერთი შედევრის შთამაგონებელი.

**შალვა ნაჭყებია,**
აფხაზეთის ასსრ კულტურის
დამსახურებული მუშაკი.





# ღალატი

იტალო კალვინო

უცხოური მოთხრობა



მხატვარი თენგიზ სამსონაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალბატონი სტეფანია რ. შინ გამთენიისას დაბრუნდა. ქმარი სახლში არ იყო და მეკარე ქალს რომ არ დაენახა უცხო მამაკაცთან ერთად, ფორნეროს სთხოვა, ცოტა მოშორებით გაეჩერებინა მანქანა. ფორნერომ მოტორი გამორთო და სტეფანია მკლავებში მოიქცია. ქალმა გაიბრძოლა, სახლთან რომ არ ყოფილიყვნენ, კიდევ ჰო, მაგრამ... ძლივს დაუსხლტა ხელიდან, მანქანის კარი მიუჯახუნა და პალტოს საყელოში სახეჩამალული უკანმოუხედავად გაშორდა იქაურობას.

სადარბაზო დაკეტილი დახვდა. გასაღები თან არ ჰქონდა, დილამდე აქ ხომ ვერ მოიცდიდა, თანაც ვინმე რომ გამოსულიყო და ასეთ დროს აქ ენახა... ეჰ, კარგი იქნებოდა, ამაზე ადრე ეფიქრა.

თითქოს ჯიბრზე კი მოხდა ყველაფერი: ნაშუადღევს დიდი ხნის უნახავ მეგობრებთან წავიდა, გასაღები თან არ წაიღო, იფიქრა, შინ ვახშმობამდე დავბრუნდებიო, მაგრამ გოგოებმა აღარ გამოუშვეს, ჯერ ერთ მეგობართან წაიყვანეს, მერე მეორესთან, იცეკვეს, იმღერეს და... მხოლოდ ღამის ორ საათზე გაახსენდა სტეფანიას, რომ სადარბაზოს გასაღები სახლში დატოვა.

ფორნეროს ბრალი კი იყო ყველაფერი. თავბრუ დაახვია და ქალსაც მეტი რა უნდა, შეუყვარდა. რას ჰქვია, შეუყვარდა, ეს რა წამოცდა!.. მთელი ღამე რომ მასთან გაატარა, ეს რაღას ნიშნავდა? ღმერთო, ნუთუ ესაა ქმრის ღალატი?! თუმცა, რატომ ღალატი. ექვს საათამდე სადარბაზოს არ გააღებდნენ, დილამდე მარტო ხომ არ იხეტიალებდა ქუჩაში, ფორნეროსთან ერთად ყოფნა არ ერჩივნა? ეს იყო და ეს!

შვიდ საათზე მოსამსახურე ქალს შინ უნდა დახვედროდა, ქმარიც იმ დღეს ბრუნდებოდა მოგზაურობიდან, მას არ უნდა შეემჩნია, რომ სტეფანიამ სხვაგან გაათია ღამე. სადარბაზო კი საგულდაგულოდ ჩაერაზათ. ახლა რაღა ექნა? იდგა მარტოდმარტო გაუკაცრიელებულ ქუჩაში და განთიადის ნისლში გახვეულ ქალაქს გაჰყურებდა. უცებ საშინლად მოუნდა თბილ ლოგინში თავის მწყალობლის — ქმრის გვერდით წოლილიყო და ღრმა ძილით ძინებოდა. მაშინვე მოიშორა ეს ფიქრი, მიხვდა, რომ ნაძალადევი იყო და საკუთარ გრძნობას ცდიდა ქმრის მიმართ.

ცხადი იყო, სადარბაზოს ჯერ არ გააღებდნენ, თუმცა აღარც დარდობდა ამაზე. ისეთი სიწყნარე სუფევდა ირგვლივ, იდუმალნი ჩანდნენ გამჭვირვალე-მოლურჯო ნისლში აქა-იქ სხივდაფენილი სახლები, ისე ლამაზად თენდებოდა, ესიამოვნა კიდეც დილის მსუსხავი სიგრილე.

ფორნერო გაახსენდა... რაღაცით აღიზიანებდა ეს კაცი, კარგია, რომ მოიცილა: ახლა მარტო ერჩივნა ყოფნა. უცნაური გულისძგერა იგრძნო, ქალიშვილობაში იცოდა ასე, თუმცა ახლა ქალწულებრივი სისპეტაკე აღარ ახლდა ნაცნობ ფრთოლვას.

სტეფანია აღარ ნანობდა, ღამე რომ სხვასთან გაატარა. რაღა ჰქონდა სანერვიულო? მოსახდენი უკვე მოხდა! დაივიწყა ცოლის ვალი ოჯახის წინაშე და შებღალა ქორწინება. ჰქონდა კი ამის უფლება?!

ისევ აეწენა ფიქრები, კანკალმა აიტანა, ხელები პალტოს გრძელ სახელოებში შემალა და ბოლთისცემას მოჰყვა. ბოლოს და ბოლოს უნდა გამოტყდომოდა თავს — ღალატი იყო ეს თუ არა?!

ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც სტეფანია რ. გათხოვდა და ამ ხნის მანძილზე ქმრის ღალატზე არასოდეს უფიქრია. ხვდებოდა, რომ რაღაც აკლდა მის ცოლქმრულ ცხოვრებას. ქალიშვილობიდან მოყოლებული რაღაც უხილავის მოლოდინში იყო დღენიადაგ. ჯერ სრულად ვერც შეეგრძნო მოვალეობა ოჯახის წინაშე და უცებ ეს უცნაური გრძნობა დაატყდა თავს. ნუთუ ამას ელოდა?

ქუჩის მოპირდაპირე მხარეს, რამდენიმე სახლს იქით, ბარიდან სინათლე გამოდიოდა. სტეფანიამ გადაწყვიტა, ცხელი ყავა დაელია და იქით გაემართა. ფორნერო ცუდი ახალგაზრდა არ იყო, მასთან არაფერი ჰქონდა სამდურავი. მთელი ღამე დაასეირნებდა თავისი პატარა მანქანით, მერე მდინარის პირას ჩავიდნენ მზის ამოსვლის საცქერლად. ბოლოს საწვავი რომ გაუთავდათ, ხელით გაათრიეს მანქანა ბენზინის ჩამომსხმელ უახლოეს პუნქტამდე. ერთი სიტყვით, მართლა რომანტიკული ღამე ჰქონდათ. თუმცა ერთ-ორჯერ ფორნერო შეეცადა მის დაუფლებას. პანსიონატის კარებამდეც კი მიიყვანა და ცოტა უხეშადაც უთხრა — გვეყო ახლა თამაში, ჩემთან ავიდეთო. სტეფანია არც განძრეულა. ნეტავ სწორად თუ მოიქცა. მერე? ფიქრის თავი აღარ ჰქონდა, ისედაც თეთრად გაათია ღამე. ერთი სული ჰქონდა, საწოლამდე მიეღწია, გრძნობდა, როგორც კი ბალიშზე თავს დადებდა, მაშინვე მკვდარივით ჩაეძინებოდა. კარგი იქნება, სამზარეულოს კარზე მიაწეროს, მოსამსახურემ ქმრის ჩამოსვლამდე არ გააღვიძოს. ნუთუ ისევ უყვარს ქმარი? რა თქმა უნდა, უყვარს! ფორნეროც რომ?.. მართალია, ფორნეროსადმიც ვერ არის გულგრილი! ოჰ, როდის გააღებენ ამ საზიზღარ სადარბაზოს?!

ბარში უწესრიგოდ ეყარა სკამები. დახლთან ბარმენი ფუსფუსებდა. სტეფანიამ ნაბიჯი წინ წადგა. სულაც არ უგრძვნია უხერხულობა, უდროო დროს რომ შემოვიდა აქ. ვინ რა იცოდა? იქნებ ახალი ამდგარი იყო და სამსახურში მიდიოდა ან პირიქით, ღამის ცვლიდან ბრუნდებოდა. ანგარიშს არავის აბარებდა.

— თუ შეიძლება, ორმაგი ცხელი ყავა! — ისე მშვიდად უთხრა ბარმენს, გეგონება, სულ აქ დადიოდა ყავის დასალევად.

— ახლავე, სინიორა, ელექტროქურას ჩავრთავ და ხუთ წუთში მოგართმევთ, — თავი დაუკრა ბარმენმა, თან დასძინა, — დილაობით ისე ცივა, სანამ ქურას ჩავრთავთ, ვიყინებით.

სტეფანიას სიცივისაგან მართლა გააჟრჟოლა, ცხვირი პალტოს საყელოში ჩარგო და იქაურობა მოათვალიერა.

ბარში ვიღაც კაციც იდგა, ალბათ, კლიენტი. ზურგით დახლს მიყრდნობოდა და შუშის კარს იქით სივრცეს გაჰყურებდა. უცებ გამოერკვა და ისე დააკვირდა, ქალი უსიამოვნოდ შეიშმუშნა. კაცს მუქი ფერის პალტო ეცვა, ყელზე შალის თეთრი კაშნე მოეხვია, პალტოს საყელოდან ცისფერი პერანგი მოუჩანდა.

— ადამიანები ამ წუთში ორ კატეგორიად შეიძლება დავყოთ: ვინც ეს-ეს არის გაიღვიძა ან ჯერ კიდევ არ დაწოლილა! — პათეტური მონოლოგივით წამოიწყო თავაწეულმა.

სტეფანიამ ჩაიღიმა და ისევ შეავლო თვალი. თავის დროზე კარგი შესახედავი იქნებოდა. პოეტური გარეგნობა ჰქონდა, მაგრამ პენი დროს შეელახა და ახლა ისეთი კაცის იერი დასდებოდა, ასაკი რომ არ უწყობს ხელს, მთლად ბრძენკაცად წარმოიდგინოს თავი და დიდი შემწყნარებლის როლს თფერებს.

— ...და ასეთ მშვენიერ ქალს რომ დაინახავ, დილა მშვიდობისა გინდა უსურვო! — თავი დაუკრა სტეფანიას.

— გამარჯობათ! — თავაზიანი ღიმილი შეაგება სტეფანიამ.

— თქვენ, სინიორა, იქნებ გაგვა-

ნდოთ საიდუმლო, ჯერ არ დაწოლილხართ თუ ახლა ადექით?

— რა ბრძანეთ? — ვითომ ვერ გაიგო, რას ეკითხებოდა. არ უნდოდა, აჰყოლოდა ამ კაცს, მაგრამ რომ აღარ მოეშვა, სიმართლე უთხრა, ანდა რა მნიშვნელობა ჰქონდა, მთვარეული თუ გაიგებდა, რომ შინ არ გაუთევია ღამე.

— თქვენ რატომ არ გძინავთ? — ეშმაკურად შეუბრუნა კითხვა.

— მე... მე ჯერ არ დავწოლილვარ და საერთოდ, ღამით არასოდეს ვიძინებ — ნამით შეყოვნდა, — ვერ ხვდებით რატომ? — ჩაიღიმა. ისევ შეყოყმანდა. თვალი გაუშტერდა და მოულოდნელად დაბნეულად დაუმატა, — დღე ღამურასავით ვემალები მზის სხივებს.

მათ ბარმენი მიუახლოვდა.

— ინებეთ თქვენი რძე; ესეც თქვენი ყავა, სინიორა!

მთვარეულმა რძით სავსე ჭიქა გამოართვა და სული შეუბერა, მერე ნელ-ნელა ყლუპებით დაიწყო სმა.

— გემრიელია? — ჰკითხა სტეფანიამ.

— საზიზღრობაა, თუმცა მოწამლულზე უებარიაო, გამიგია. ისე, არა მგონია, რძემ გამიწმინდოს ორგანიზმი, ახლა გველმა რომ მიკბინოს, იქით მოიშხამება.

— გნებავთ, მე გასწავლით უებარ შხამსაწინააღმდეგო საშუალებას, ვინ იცის, როდის გამოგადგებათ, — და შემდეგ ბარმენს გასძახა:

— რამდენი უნდა გადავიხადო?

— ეს სწორედ ის ქალია, რომელსაც მთელი ცხოვრება დავეძებდი! — წამოენთო მთვარეული.

სტეფანია ბარიდან გამოვიდა. სადარბაზო კიდევ არ გაეღოთ. უკან რომ მობრუნდა, ბართან მთვარეული დახვდა, სტეფანიას გამოჰყოლოდა და ახლა არ იცოდა, საით წასულიყო. ქალი ისევ ბარში შევიდა, კაცი კი ცოტა ხანს გახევებული იდგა, მერე შებრუნდა, სივრცეს გახედა და ხველებით გაუყვა ქუჩას.

— სიგარეტი თუ გაქვთ? — ჰკითხა სტეფანიამ ბარმენს. საშინლად მოუნდა მოწევა. ბარმენმა უსიტყვოდ გაუწოდა სიგარეტის ყუთი. სტეფანიამ ფული დახლზე დადო.

კარის ზღურბლს ძაღლი გადმოახტა, პატრონისთვის, რომელიც ფეხდაფეხ შემოჰყვა, საყელური გამოეგლიჯა ხელიდან. პატრონი მონადირე უნდა ყოფილიყო, მხარზე სავაზნე და სანადირო ჩანთა ეკიდა.

— დაწექი! — დაუყვირა ძაღლს, მაგიდას მიუჯდა და ყავა მოითხოვა.

— რა მშვენიერი ძაღლია, — ხელი გადაუსვა ძაღლს სტეფანიამ, — სეტერია?

— არა, ბრეტონული სპანიელი. სანამ გავზრდიდი, ჩემი დამემართა, სულ მიღრენდა, ახლა იცოცხლე, მემორჩილება.

— რა ხნისაა?

— ათი თვის. დაწექი, ძაღლო, ჰო, აი, ასე, ყოჩაღ!

— ახლა ბლომად იცის კაკაბი, არა? — ჩაერია საუბარში ბარმენი.

— აბა, ბევრი სირბილი კი მოუწევს ჩემს ფრიზეტას! — ძაღლს დახედა.

— შორს დადიხართ სანადიროდ? — დაინტერესდა სტეფანია.

— არც ისე, რამდენიმე წუთის სავალია მანქანით. მალევე უნდა გამოვბრუნდე, მოგეხსენებათ, სამსახური...

— ალბათ, მშვენიერია იქაურობა, — ისევ წამოიწყო სტეფანიამ, არ უნდოდა საუბრის შეწყვეტა, სულ ერთი იყო რაზე ილაპარაკებდნენ...

— წარმოიდგინეთ ტრიალი მინდორი, — ყავის ფინჯანი გვერდზე გასწია მონადირემ, — ალაგ-ალაგ დაბალი ბუჩქნარი. ალიონი რომ გადავა და ნისლი გადაიწმინდება, გესიამოვნება, ისე ნათლად ჩანს ყველაფერი, თან ძაღლიც თუ მარდი გყავს...

— რაღა გიჭირს, ნადირობიდან დროზე დაბრუნდები, ერთ საათსაც წაიძინებ და სამსახურშიც მოასწრებ წასვლას! — ირონიული ღიმილით გადახედა ბარმენმა.

— ეჰ, თვალის მოტყუება იცოცხლე, კარგია, მაგრამ იმ გრძნობას რა შეედრება, მთელ ქალაქს რომ ღრმა ძილით ძინავს, შენ კი მაღლა, ღრუბლებთან დანავარდობ.

ამ ახალგაზრდა კაცის სიტყვებში სტეფანიამ აშკარად იგრძნო ქედმაღლური ზიზღი მთელი ქალაქის მცხოვრებთა მიმართ, რომელთაც ახლა ეძინათ.

— არ გეწყინოს, ჩემო კარგო; მე მგონი, შენნაირი მონადირეები ცოტა ჭკუაზე ვერ არიან, — არ ცხრებოდა ბარმენი, — სხვა რამისთვის კიდევ ჰო, მაგრამ ნადირობისთვის ასეთ დროს ძილის გატეხა?!

— მე კი პირიქით მგონია, — სიტყვა ჩაურთო სტეფანიამ.

— გააჩნია, ვისთვის როგორ, — თქვა მონადირემ, სტეფანიას მიუბრუნდა და ყურადღებით ჩააცქერდა თვალებში. თანდათან სითბო შეეპარა ხმაში, ამაყ მზერასაც სილბილე მოერია და თითქოს მიხვდა, რომ ბედნიერებას იქ შეიძლება წააწყდე, სადაც არ ელოდები.

— მე მესმის თქვენი... ასეთ მშვენიერ დილას არც ღირს ძილი! — გაუღიმა სტეფანიამ.

მონადირე შეიშმუშნა, ეტყობოდა, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ არ იცოდა, როგორ დაეწყო.

— დიახ, ასეთ წყნარ ამინდში ძაღლიც კარგად ნადირობს! — უხერხულად ჩაილაპარაკა და წამოდგა.

ძაღლი ცქმუტავდა, გარეთ იწევდა, პატრონი კი სტეფანიას წინ ატუზულიყო.

— იქნებ თქვენც წამოსულიყავით, სინიორა? — როგორც იქნა, ამოღერღა ბოლოს.

სტეფანიამ გაიღიმა.

— არა, არა, სხვა დროს იყოს, როცა კიდევ შევხვდებით ერთმანეთს.

მონადირემ ცოტა ხანს კიდევ იტრიალა, ეტყობოდა, ისევ რაღაცის თქმა უნდოდა, მერე ხელი ჩაიქნია, ეჰ, ნავედიო, მოკრძალებით დაუკრა თავი სტეფანიას და გულსუწადინოდ გამოუდგა ძაღლს.

კარებში მუშა შემოვიდა. ჭიქა არაყი მოითხოვა და ყველა ადრე ამდგარი კაცის სადღეგრძელო შესვა. მშვენიერ ქალებს გაუმარჯოსო, — მიუბრუნდა სტეფანიას და ჭიქის აწევით მიესალმა.

— თქვენც გაგიმარჯოთ! — თავაზიანად უპასუხა სტეფანიამ.

— გამთენიისას ყველა კაცს ქვეყნის ბატონ-პატრონი ჰგონია თავი,— თქვა მუშამ.

არც ისე ახალგაზრდა იყო, მხიარული კაცი ჩანდა.

— საღამოს არა? — ჩაეკითხა სტეფანია.

— საღამოს ძინავს და თუ რაიმე უბედურება არ ჭირს, არაფერზე ფიქრობს.

— მე, მაგალითად, დილაობით ათასგვარი სისულელე მომდის ხოლმე თავში, — ჩაერია საუბარში ბარმენი.

— ეჰ, აბა ჩემსავით სამსახურამდე კარგა მანძილი გქონდეს გასავლელი მოტოციკლეტით და თანაც ცივი ჰაერი გცემდეს ცხვირ-პირში...

— ჰაერი ფანტავს ფიქრებს, — შეაწყვეტინა სტეფანიამ მუშას...

— ხედავთ, როგორ ესმის ქალბატონს, — წამოიძახა მუშამ, — თუ მართლა გესმით ჩემი, სინიორა, ერთი ჭიქა უნდა დამილიოთ!

— არა, გმადლობთ, არა ვსვამ.

— უნდა დალიოთ, დილით ამაზე უკეთესს ვერაფერს ინატრებს კაცი, ორი ჭიქა, მაესტრო! — გასძახა ბარმენს.

— ღმერთმანი, მართლა არა ვსვამ, ჩემს სადღეგრძელოს თუ დალევთ, უფრო მესიამოვნება.

— კი მაგრამ, არასოდეს დაგილევიათ?

— როგორ არა, ხანდახან საღამოობით ვსვამ ხოლმე.

— ოო, ეს უკვე შეცდომაა...

— ეგ შეცდომა ნუხელ ჩავიდინე.

— თუ ასეა, მაშ თქვენ გაგიმარჯოთ! — თქვა მუშამ და ჯერ ერთი ჭიქა გადაჰკრა, მერე მეორე, — ესეც ასე, ახლა ყური დამიგდეთ...

სტეფანია აღარ უსმენდა. ძალიან მშვიდად იჯდა და ფიქრობდა. ამ უჩვეულო ღამის თავგადასავლებზე, მამაკაცებზე, რომელთა საზოგადოებაშიც მოუხდა ყოფნა, კმაყოფილი იყო მათი ყურადღებითა და თავისი საქციელით. არა, მართლაც საოცარია, როგორ ბუნებრივად გამოსდიოდა ყველაფერი. მამაკაცები კიდევ... რა განსხვავებულები იყვნენ და მაინც როგორ ჰგავდნენ ერთმანეთს... ფორნერო, ა, ფორნეროც... მიხვდა, რომ მასაც ისევე დაივიწყებდა, როგორც სასიამოვნო, კარგ სიზმარს. დილის ამ აღმოჩენამ გაახარა.

ბარიდან გამოვიდა. მუშაც გამოჰყვა, თავის მოტორიან ველოსიპედზე დაჯდა და თბილი ხელთათმანები წამოიცვა.

— არ გცივათ? — ჰკითხა სტეფანიამ.

— არა, ჯავშანი მაკრავს, — ისე დაირტყა მკერდზე ხელები, რომ გულის ჯიბეში გაზეთები აუშრიალდა. მერე კუთხურად მოუქცია, — კარგად მეყოლე სინიორაო.

სტეფანიამაც იმავე კილოთი უპასუხა და შინისკენ გასწია.

სადარბაზო ღია იყო. სტეფანიამ სულმოუთქმელად აირბინა კიბე. მეკარე ქალს იგი არ დაუნახავს.

იტალიურიდან თარგმნა
ნუნუ გელაძემ.

## ლექსები

### ნინო არსენაშვილი

* * *

თვალებში ჩამისახლდნენ ჰინკები,
ტაბლაზე — ცარიელი ჰიქები;
დღეის იქით სულ ასე ვიქნები,
დღეის იქით მხიარული ვიქნები.

ეზოში ჰიაკოკონა მინთია,
დამიბრუნდა ჩემი მინდია.
დღეები სულ სხვაგვარად მიდიან,
დღეები სავსენი მიდიან.

სამოთხე ამქვეყნად ვიხილე,
ბევრია იქნებ რაც ვილხინე?!

### თინათინ კახაბერი

#### გაზაფხული

ტატნობს მეწამული ბანგი მორევია,
ქარმა კაბადონზე ფთილა ამოწენა,
თითქოს გასამრჯელოს ჩვენგან მოელიან,
დრომ და ერთგულებამ ისე გამოგვძერწა.

ყინვა იცრემლება, დანამქრული გზნებით,
ლოდი დახავსული გზიდან მითვალთვალებს,
გამაოცებს მეტად თოთო წყაროების
პაწაწა ტანი და დიდი სითამამე.

ფეხშიშველა ნამი დაფარფატებს მოლზე,
მათრობელა სურნელს ისიც შეუპყრია,
დალვინებულ სათქმელს ის ერევა ხოლმე,
ვისაც ჭეშმარიტი ტრფობა შეუძლია.

გაზაფხულმა, ვხედავ, მომიხელთა მარტოდ,
მოლოდინი ჰყავის სულში ენძელებად,
უნებლიედ გულში შემოჭრილო დარდო,
განშორება შენთან რარიგ მეძნელება!

## თუ სიცოცხლე გიყვარს

# მუსიკა — მკურნალი

გივი ბახტაძე,
პროფესორი

ადამიანებს უხსოვარი დროიდან სწამდათ მუსიკის სასწაულმოქმედი ძალისა. მუსიკა, როგორც სამკურნალო საშუალება, ფართოდ გამოიყენებოდა სახალხო მედიცინაში.

ისტორიამ არაერთი ცნობა შემოგვინახა იმის შესახებ, თუ რაოდენ მნიშვნელოვან როლს ანიჭებდნენ დიდი ადამიანები მუსიკას ადამიანის სულისა და სხეულის განკურნების საქმეში.

პლატონი თავის თხზულებებში გვაწვდის რევმატიზმით დაავადებულთა მუსიკით მკურნალობის ფაქტებს.

პითაგორას აზრით, მუსიკა ადამიანს შინაგანი ჰარმონიის შენარჩუნებაში ეხმარება.

არისტოტელეს მიაჩნია, რომ მუსიკა დადებით გავლენას ახდენს ადამიანის ემოციური და ფსიქიკური მოშლილობის დროს.

ალ-ფაბრი თვლის, რომ მუსიკა სხვადასხვაგვარ ზეგავლენას ახდენს ადამიანზე; ანიჭებს სიამოვნებას, ალაგზნებს.

ავიცენა არანამლისმიერი მკურნალობის ჯგუფში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს მუსიკას უთმობს. ამ ჯგუფს განეკუთვნებოდა აგრეთვე შრომითი თერაპია, დიეტა და იუმორი.

მეთვრამეტე საუკუნეში ხორეზმში იყვნენ პროფესიონალი მედიკოსები, რომელთაც შერჩეული ჰქონდათ სამკურნალო სიმღერები. ისინი ავადმყოფებს მუსიკალურ ნაწარმოებებს დაავადებების მიხედვით ურჩევდნენ.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ 1893 წელს გამოქვეყნდა ჩვენი სახელოვანი თანამემამულის ივანე თარხნიშვილის შრომა „ადამიანის ორგანიზმზე მუსიკის გავლენის შესახებ“.

მუსიკით თერაპიის მეცნიერული საფუძვლების დამუშავება იწყება XX საუკუნის დასაწყისში ფიზიოლოგების, ფსიქიატრებისა და ფსიქოლოგების ერთობლივი მონადინებით. ისინი ამტკიცებენ, რომ სამკურნალო თვისებები აქვს ფორტეპიანოსა და ფლეიტის ხმებს, აგრეთვე იმ ტალღებს, რომლებიც ამ დროს მიიღება (ხდება ცვლილებები სისხლის მიმოქცევაში და ნერვულ სისტემაში). დღეს მუსიკოთერაპია ყველაზე მეტად გამოიყენება ნერვული დაავადებების დროს. შერჩეულია მუსიკალური ნაწარმოები დაავადების ხასიათის, პაციენტის თავისებურების — მისი კულტურის, გემოვნებისა და მუსიკალური განათლების მიხედვით.

მეცნიერულ-კვლევითი ხასიათის რამდენიმე საინტერესო ფაქტია გამოქვეყნებული 1978 წლის ჟურნალ „ჰიგიენა ტრუდაში“. როგორც ა. ა. შაპტალასა და ა. ნ. კალაშნიკოვის შრომიდან — „ფუნქციური მუსიკის გავლენა ფსიქოფიზიოლოგიურ ფუნქციებზე გონებრივი მუშაობისას“ ჩანს, ფუნქციური მუსიკა (ინსტრუმენტული და საორკესტრო პიესები) შრომის დაწყებისას და დამთავრებისას მუშებში ფიზიოლოგიურ ფუნქციებზე დადებით გავლენას ახდენს — ადამიანს მატებს შრომის უნარს. ამ დროს უმჯობესდება სუბიექტური მდგომარეობა, კლებულობს დაღლილობის გრძნობა, მხედველობის დაქვეითება, თავის ტკივილი.

მუშაობის სხვადასხვა პერიოდში ავტორები გვირჩევენ სხვადასხვა ჟანრის მუსიკას. შრომის დასაწყისში რეკომენდებულია ხალისიანი, რიტმული მელოდია, საესტრადო მუსიკა, დაღლილობის მოსახსნელად კი — მშვიდი მუსიკა, თანამიმდევრული რიტმით, მელოდიური ნაცეკვაო და ხალხური მოტივები.

გონებრივ მუშაკებს შრომის უნარის შენარჩუნებისათვის ურჩევენ ფუნქციურ მუსიკას, რომლის დანიშნულებაა ნერვულ-ემოციური დაძაბულობისა და დაღლილობის მოხსნა.

ჩატარდა გამოკვლევა ქარხნის ინჟინერ-კონსტრუქტორებზე. ორგანიზმის ფუნქციური მდგომარეობა მოწმდებოდა მუშაობის დაწყებამდე, შესვენების წინ, შესვენების შემდეგ და მუშაობის დამთავრებისას. მუსიკალური პროგრამის ხანგრძლივობა საათსა და ოც წუთს შეადგენდა. მუსიკამ გამოიწვია გუნება-განწყობის გაუმჯობესება, შეამცირა ნერვული დაძაბულობა და დაღლილობა.

ავტორები ასკვნიან, რომ ფუნქციური მუსიკა შეიძლება იყოს რეკომენდებული გონებრივი მუშაობისას როგორც ფიზიოლოგიური სტიმულატორი, რომელიც იწვევს ფუნქციური მდგომარეობის და ორგანიზმის შრომისუნარიანობის ამაღლებას.

ასეთ და სხვა მსგავსი ხასიათის ცდებს მოჰყვა ის, რომ დღეს მუსიკა, როგორც პროფილაქტიკური და სამკურნალო საშუალება, წარმოებაში დაინერგა.

ქალაქ მინსკის საქსოვ კომბინატში, სადაც მუშაობენ ფეიქრები და მრთველები, ერთი ცვლის განმავლობაში ტარდება ოცწუთიანი ექვსი მუსიკალური სეანსი. ეს ზგრეთწოდებული ფუნქციური მუსიკა იცავს მუშებს ხმაურისაგან, მნიშვნელოვნად ამცირებს წარმოებაში მომუშავე ქალთა დაღლილობას, აუმჯობესებს გუნება-განწყობილებას.

საყურადღებოა მიუნხენის უნივერსიტეტის კლინიკის ექიმთა დაკვირვება. მათი გამოკვლევის შედეგად ავადმყოფებს, რომლებიც დაავადებული იყვნენ კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულით, ბეთჰოვენისა და მოცარტის მუსიკის მოსმენის შემდეგ მნიშვნელოვანი გაუმჯობესება დაეტყოთ — მუსიკით მკურნალობის ნახევარსაათიანი სეანსი მათ ტკივილებს უყუჩებდა.

იაპონელი ექიმი სახიო კოსუტი მუსიკას ართრიტისა და რევმატიზმის განსაკურნავად იყენებს. მისი მეთოდი დამყარებულია ხმის ელექტრულ იმპულსებად გარდაქმნაზე. მუსიკის საშუალებით თერთმეტიდან ათი შემთხვევა დადებით ეფექტს იძლევა. კოსუტი სამკურნალოდ კლასიკურ მუსიკას გვთავაზობს.

1973 წელს ავსტრალიის დედაქალაქ სიდნეიში დავესწარი გულის ურთულეს ოპერაციას (მიმდინარეობდა გულში შემავალ და გამომავალ სისხლძარღვთა ანომალიის არასწორი პოზიციის კორეგირება-გასწორება). საოპერაციო ოთახში ოცდაოთხამდე სამედიცინო პერსონალი ტრიალებდა (ოპერატორები, აპარატზე მომუშავენი, რეანიმატორები). ოპერაცია რამდენიმე საათს (რვა) გაგრძელდა მუსიკის თანხლებით.

ცხადია, ავადმყოფს არაფერი ესმოდა — იგი ნარკოზის ქვეშ იმყოფებოდა. მაგრამ ოპერაციისათვის სამზადისი საზეიმო ჰანგების ქვეშ მიმდინარეობდა. ავსტრალიელი კოლეგები თვლიან, რომ ავადმყოფს ნაწილობრივ გადააქვს ყურადღება მუსიკაზე და ეს განმუხტავს მას წინასაოპერაციო დაძაბულობისაგან.

და როდესაც ავადმყოფი საოპერაციოდ მოამზადეს, ოთახში შეწყდა საზეიმო ჰანგები, საოპერაციო ოთახს ახლა (დაბალ ხმაზე) საოცრად მელოდიური ჰანგი მოეფინა. ეს უკვე ოპერატორებისთვის და დამხმარე პერსონალისთვის — საათობით, შეუსვენებლივ რომ იბრძვიან ადამიანის გადასარჩენად — მათთვის იყო განკუთვნილი. ისინი აგრეთვე თვლიან, რომ ამ დროს ქირურგის ყურადღების კონცენტრაციაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მუსიკას. გასულ წელს იაპონიის ქალაქ ხიროსაკის უნივერსიტეტში ადგილობრივმა და დასავლეთ გერმანელმა მედიკოსებმა ჩაატარეს დაკვირვება — მუსიკის გავლენა ავადმყოფებზე. გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ოპერაციის წინ ავადმყოფთა დასამშვიდებლად იოჰან სებასტიან ბახის მუსიკა და ხალხური სიმღერები საუკეთესო საშუალებაა. ოცდაცხრა ავადმყოფი, რომლებიც ამ მუსიკას ისმენდნენ, შიშისაგან განთავისუფლდნენ, ხოლო მაჯა და სისხლის წნევა სტაბილური გაუხდათ.

აღსანიშნავია ერთი საინტერესო ფაქტი. ადამიანზე ხელოვნური გულის პირველი გადანერგვა რაველის „ბოლეროს“ ჰანგების თანხლებით ჩატარდა.

დღეს ჩვენთანაც, საბჭოთა კავშირში, არის ქირურგიული კლინიკები, სადაც ოპერაცია მუსიკის თანხლებით მიმდინარეობს.

უთუოდ საყურადღებო ფაქტია ისიც, რომ ნიუ-იორკში არსებობს სამკურნალო ცენტრი, სადაც ნევროზის მდგომარეობაში მყოფი პაციენტები და სულით ავადმყოფები გადიან თერაპიას ხელოვნების სხვადასხვა დარგის გამოყენებით. სამკურნალოდ ინიშნება არამარტო მუსიკის მოსმენა; აქ პაციენტები თვითონ უკრავენ და მღერიან, ხატავენ და ძერწავენ, ცეკვავენ. მკურნალობის ეს მეთოდი მიჩნეულია როგორც დამხმარე, როგორც თერაპიის ტრადიციული მეთოდების სასარგებლო დამატება.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოყალიბდა მუსიკოთერაპიის ნაციონალური ასოციაცია, რომელიც გამოსცემს ჟურნალს „მუზიკ თერაპია“ (თერაპია მუსიკით); ინგლისში დაარსდა „მუსიკის საშუალებით თერაპიული მკურნალობის საზოგადოება“.

ვენის უნივერსიტეტში არსებობს ფაკულტეტი, სადაც მუსიკოთერაპევტებს ამზადებენ.

და ბოლოს, მინდა გავიხსენო კომპოზიტორი და მუსიკოსი, ან განსვენებული კოტე ფოცხვერაშვილი, რომელმაც წამოჭრა საქართველოში მუსიკით მკურნალობის საკითხი: იგი პრაქტიკულად შეუდგა ამ ექსპერიმენტის შესწავლას ჩვენში. მან სხვადასხვა მუსიკალური ნაწარმოები ფირზე ჩაიწერა და მთელი საქართველო შემოიარა. იგი სოფლებში კითხულობდა ლექციებს, ატარებდა მუსიკით მკურნალობის სეანსებს სხვადასხვა ავადმყოფთან. როგორც მხცოვანი მუსიკოსი ამტკიცებდა, მუსიკით მკურნალობას კეთილმყოფელი შედეგი მოჰქონდა. მისი დაკვირვებით, მუსიკა უპირველეს ყოვლისა, დადებითად მოქმედებდა ადამიანის ნერვულ სისტემაზე.

ამრიგად, დიდია დადებითი ემოციის როლი მკურნალობაში, განკურნების პროცესის დაჩქარებაში. ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში ნაპოლეონ ბონაპარტის ექიმი ჟან დომინიკე ლარეი დაკვირვების შედეგად აღნიშნავდა: ომში გამარჯვებული ჯარისკაცების ჭრილობები უფრო მალე იკრავს პირს, ვიდრე დამარცხებულებისა.

საყურადღებო ფაქტია: 1918 წელს დაჭრილმა ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა მიიღო ცნობა, რომ წითელი არმიის ჯარისკაცებმა გაათავისუფლეს მისი მშობლიური ქალაქი სიმბირსკი. ამასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინმა აღნიშნა, რომ სიმბირსკის აღება იყო მისთვის ყველაზე კარგი სამკურნალო საშუალება.

და თუ დადებითი ემოციები კარგ შედეგს გვაძლევს მკურნალობაში, განა თვით მუსიკა, სასიამოვნო მუსიკის მოსმენა არ შედის დადებით ემოციებში? აქედან გამომდინარე, ჩვენ უფრო მეტად გვაქვს უფლება, გამოვთქვათ თეორიული მოსაზრება მკურნალობაში მუსიკის დადებით როლზე.



საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელი ტიგრან პეტროსიანმა პირველად თბილისში მოიპოვა. ეს იყო 1959 წელს. ფოტოსურათზე, რომელიც პირველად ქვეყნდება, ასახულია სწორედ ეს მომენტი.

# დიდოსტატი ესაუბრება ჟურნალ „დროშის" კორესპონდენტს

ტიგრან პეტროსიანი თბილისში, შეიძლება ითქვას, შინაური კაცია. ჩვენთან ხშირად იმართება მისი ლექციები, ერთდროული თამაშის სეანსები. იგი თბილისში დაიბადა. დაახლოებით 35–40 წლის წინ, ტიგრან პეტროსიანი ყოველ საღამოს თბილისის საჭადრაკო კლუბში ატარებდა. გავიდა წლები. თბილისში ფეხადგმული მოჭადრაკე ჩემპიონის მედლების კოლექციონერი გახდა. იყო საქართველოს, სომხეთის, მოსკოვის, საბჭოთა კავშირის, ოლიმპიური, მსოფლიოს ჩემპიონი. თუ საჭადრაკო პრობლემები გაინტერესებთ, მიბრძანდით, საუბარზე უარს როგორ გეტყვით. ჩვენც ვეწვიეთ და რამდენიმე შეკითხვა მივეცით.

**— არც ისე დიდი ხნის შემდეგ დაიწყება მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტთა ბრძოლა როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის. რას იტყვით ამის შესახებ?**

— დავიწყოთ ქალებით. აქ პრეტენდენტთა შემადგენლობა საგრძნობლად გადახალისდა. გამოჩდნენ ახალი სახელები, ვთქვათ, ჩინელი ლიუ შილანი და რუმინელი მურეშანი. ისინი, ჩანს, ძალიან კარგად თამაშობენ, მაგრამ, პირდაპირ გეტყვით, პრეტენდენტთა ბრძოლის ამ ციკლში სასწაულს არ ველი!

**— რას გულისხმობთ ამ სასწაულში?**

— იმას ვგულისხმობ, რომ ახალი პრეტენდენტები მსოფლიოს ჩემპიონამდე ვერ მიაღწევენ, მატჩი მსოფლიოს პირველობაზე ისევ თბილისში, ბორჯომში ან ბიჭვინთაში გაიმართება. ამ ციკლში, ჩემი აზრით, მაია ჩიბურდანიძეს აუცილებლად ქართველი პრეტენდენტი შეხვდება.

**— უფრო კონკრეტულად?**

— ნონა გაფრინდაშვილი ან ნანა ალექსანდრია. მე თვალყურს ვადევნებ ამ დიდად ნიჭიერ მოჭადრაკეთა გამოსვლებს. ორივე თამაშობს მტკიცედ, სტაბილურად, დიდი ხელოვნებით. სად ჰქონდათ ამ დიდოსტატებს თუნდაც მცირედი მარცხი? არსად! აიღეთ უკანასკნელი საერთაშორისო ოლიმპიადა. როგორც გაფრინდაშვილი, ისე ალექსანდრია შესანიშნავად გამოვიდნენ. მე ვფიქრობ, ჩიბურდანიძეს ან ნონა უნდა შეხვდეს, ან ნანა. ყველა სხვა ფაქტორთან ერთად, აქ იმასაც აქვს მნიშვნელობა, რომ ისინი დიდად გამოცდილი დიდოსტატები არიან.

**— ნანა იოსელიანი?**

— ნანა იოსელიანი მეტისმეტად ნიჭიერია და დიდი წარმატებებიც აქვს. იგი დინამიურად, ენერგიულად, შემტევი მანერით თამაშობს, მაგრამ ნანამ ჯერ კიდევ უნდა მიიღოს ის დიდი გამოცდილება, რომლის გარეშე შეუძლებელია მსოფლიოს პირველობაზე ბრძოლა.

**— რით ხსნით ქართველ მოჭადრაკეთა ესოდენ დიდ წარმატებებს?**

— აქ, უნდა ვიფიქროთ, ბევრი ფაქტორი მოქმედებს. საქართველოში ჭადრაკს ყოველთვის დიდ პატივს სცემდნენ, ეს ისტორიულადაც ცნობილი გახლავთ. დაუმატეთ ამას ისიც, რომ ჭადრაკს თითქმის ყველა ქართველი თამაშობს. მოჭადრაკეები დღეს საყოველთაო ყურადღებით არიან მოცულნი, მათ ხელს უწყობენ, ეხმარებიან. „კატალიზატორის" როლი ნონა გაფრინდაშვილის მსოფლიოს ჩემპიონობამაც ითამაშა. მან პირდაპირ „მძივებზე აასხა" ტალანტები. მარტო ქალებით ნუ შემოვიფარგლებით. დიდი წარმატებები აქვს ახალგაზრდა ოსტატ ზურაბ აზმაიფარაშვილს, რომელსაც გაზაფხულზე საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მოელის მონაწილეობა,

**— ახლა, თუ შეიძლება, იმაზე ვისაუბროთ, რას უნდა მოველოდეთ პრეტენდენტ ვაჟთა ბრძოლის ახლანდელ ციკლში?**

— მე ვერ დავეთანხმები დიდოსტატ მარკ ტაიმანოვს, რომელიც ფიქრობს, რომ კარპოვი ისევე რომელიმე გამოცდილ დიდოსტატს შეხვდება. ამ გამოცდილ დიდოსტატებს, თუმც პრეტენდენტთა ასპარეზობაში გამოსვლის უფლება მოიპოვეს, ჩემი აზრით, ახლა აღარ შესწევთ სათანადო ძალა. მე უპირატესობას ორ ახალგაზრდა დიდოსტატს ვანიჭებ: კასპაროვსა და ბელიავსკის. ისინი, მართალია, მეოთხედფინალურ მატჩში ხვდებიან ერთმანეთს, მაგრამ ამას არა აქვს დიდი მნიშვნელობა. ვინც გაიმარჯვებს, ეტყობა, კარპოვსაც ის შეხვდება.

**— მათ შორის ვის უნდა მიენიჭოს უპირატესობა?**

— კასპაროვს უფრო მრავალმხრივი ნიჭი აქვს და უფრო მეტი წარმატებაც. იგი, როგორც მოგეხსენებათ, 19 წლისაა, მაგრამ მიმომხილველთა დიდი უმრავლესობა თვლის, რომ სწორედ კასპაროვი გაიმარჯვებს პრეტენდენტთა ასპარეზობაში. მე ასე კატეგორიულად ვერ ვილაპარაკებ. თქვენი ყურადღება მინდა მივაქციო ერთ ამბავს: როგორც კასპაროვი, ისე ბელიავსკიც პირველად მონაწილეობენ პრეტენდენტთა ასპარეზობაში, მათ არასოდეს უთამაშიათ სერიოზული მატჩი. გამოცდილება კი ისეთი რამ გახლავთ, რომელსაც ვერაფერი შეცვლის. ასეთ პირობებში კასპაროვ-ბელიაევსკის მატჩში შეიძლება ყველაფერი მოხდეს. კასპაროვმა შეიძლება მოიგოს? შესაძლებელია, მაგრამ ნურც ბელიავსკის წარმატება გაგვიკვირდება. ისე კი, ვიმეორებ, კარპოვს ერთ-ერთი მათგანი უნდა შეხვდეს.

**— საქმე რომ კარპოვ-კასპაროვის მატჩამდე მივიდეს?**

— ეს მატჩი რომ დღეისათვის გაიმართოს, ვფიქრობ, მას კარპოვი აუცილებლად მოიგებდა, მაგრამ კასპაროვი ძალიან სწრაფად იზრდება და ამიტომ ძნელია წარმოდგენა, რა მოხდება 1984 წლისათვის.

**— თქვენ თანამედროვეობის ყველა გამოჩენილ დიდოსტატს შეხვედრიხართ. რომელ მათგანს დაუტოვებია თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება?**

— ბოტვინიკსა და ფიშერს. მათთან თამაში სულ სხვა იყო, მეტოქეების რაღაც განსაკუთრებულ ძალას ვგრძნობდი.

**— რახან ფიშერი ვახსენეთ, ისიც გვითხარით, რა იცით მის შესახებ?**

— პრესაში გამოჩნდება ხოლმე ცნობები, რომ იგი ხანდახან ეთამაშება ელექტრონულ მანქანას, ხანდახან ელვისებურ პარტიებსაც თამაშობს. ამას წინათ ვიყავი აშშ-ში, ერთდროული თამაშების სეანსები მქონდა. როცა ქ. ლოს-ანჟელესში ჩავედი, ვიცოდი, რომ იქიდან სულ ახლოს ქ. პასადენაში ფიშერი ცხოვრობს და მოვინდომე მასთან დაკავშირება. აქ ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ სანამ ფიშერი ჭადრაკს თამაშობდა, მასთან ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა. და აი, შევიტყვე მისი ტელეფონის ნომერი. აპარატთან ფიშერი არ მოსულა, მდივანმა ქალმა გვკითხა, ვინა ვართ და რა გვინდა (მე მეუღლე მახლდა); მდივანმა ფიშერს გადასცა, ვინც ვიყავით, მაგრამ ფიშერი ისევ არ მოვიდა აპარატთან. მდივანმა გვითხრა, მას არ სჯერა, რომ პეტროსიანი და მისი მეუღლე ურეკავენო. მეორედაც დავუკავშირდით და მესამედაც, სულ ის ქალი გვპასუხობდა; რაღაც ცუდი გრძნობა დაგვეუფლა, როცა მდივანმა გვითხრა, ფიშერთან შესახვედრად ხელწერილი უნდა მოგვცეთ, რომ აქ ნანახზე არავის ელაპარაკებითო, გავბრაზდით და მეტჯერ აღარ გვისაუბრია.

**— თქვენი შემდგომი გეგმები?**

— ვნახოთ, სხვადასხვა ტურნირებში მივიღებ მონაწილეობას. მეგობრები მეხუმრებიან, 8 წელი ვადა გაქვსო. სწორედ ამ ხნით არის ჩემზე უფროსი სმისლოვი, რომელიც დიდი ხნის შესვენების შემდეგ, ისევ გახდა მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტი.

**გივი გამრეკელი**

## იუმორი

# ყველა გზა რომში მიდის...

როცა ხალხით სავსე მისაღებ ოთახში შევედი, ვიცოდი, მდივანი რას მკითხავდა და აკი მკითხა:

— ტრესტის მმართველთან რა საკითხზე შედიხართ?

ეს ახალგაზრდა, ყელმოღერებული ქალი სწორედ ისეთი გახლდათ, როგორიც მდივანი უნდა იყოს: არც ავთვალი და არც ნამეტანი ლამაზი.

იჯდა. ყავას წრუპავდა. ტელეფონით საუბრობდა. კევს ღეჭავდა. ცალი თვალით მაგიდაზე გადაშლილ ინგლისურ წიგნს დასცქეროდა და თან ტრესტის მმართველთან ჩემი მისვლის მიზეზს იძიებდა.

— ვერ გეტყვით.

— რატომ?

— საჩოთიროა და იმიტომ... არის ისეთი რამ, რაც მამაკაცმა მამაკაცურად მამაკაცს უნდა გაანდოს და არა თქვენ. შემიშვით... გთხოვთ... ტრესტის მმართველს პირადად მოვახსენებ ყველაფერს.

— ტრესტის მმართველთან ვერ შეხვალთ.

— შევალ!

— ვერ შეხვალთ.

— მაგასაც ვნახავ!

— ნახავ.

ვნახე. კარგა ხანი ვიწვნიე და ვნახე. ბოლოს, როცა მოთმინების ფიალა ამევსო, წავისვი ცხვირზე მური. ვეახელი მდივანს. წვრილწვრილად დავუკენჭე ყველაფერი და წამოწითლებული მივჯექი კუთხეში.

ტაატით გადიოდა დრო.

კედელზე საათი ტიკტიკებდა.

მდივანი გერმანულად თარგმნილ შოტლანდიურ მეტამორფოზებს კითხულობდა.

ვდუმდი და ვფიქრობდი. ვფიქრობდი და დავიანგარიშე: საათები, რომელიც ტრესტის მმართველთან მიღების ამაო მოლოდინში დავკარგე — არც მეტი, არც ნაკლები — ექვსი სამუშაო დღე იყო...

პირველად წითელი ფერის ტელეფონი აწკრიალდა.

მდივნის პასუხი ლაკონიური და საქმიანი იყო:

— სერგეი პავლოვიჩს თათბირი აქვს.

ცოტა ხნის შემდეგ ყვითელი ფერის ტელეფონმა დარეკა.

— თათბირი გრძელდება. მმართველთან ვერ დარეკავთ. ტელეფონი ჩემთან არის გადმორთული.

როცა აწკრიალებული შავი ფერის ტელეფონის ყურმილი აიღო, მდივანს წამწამებაპრეხილი თვალები აუციმციმდა. მოიღო თავი. გალექა კევი. მოწრუპა ყავა და გაიბადრა.

— ხო მე ვარ!.. პრივეტ, მამუკა!.. კი, გუშინ დღეობაზე ვიყავი... შამპოც იყო, კონოც, შოკოც. ვიგრიალეთ და მერე როგორ! ვინა? შენი ნათესავი? მოვიდეს როცა უნდა მოვიდეს... ტრესტის მმართველთან ურიგოდ შევუშვებ...

ტელეფონის ყურმილი ხელიდან ხელში მოინაცვლა და განაგრძო:

— კი, იტალიაში მივდივარ ტურისტული საგზურით... ერთ კვირაში წავალ... რომში ხუთი დღე დავრჩები...

მდივანმა ახლა ფეხზე გადადებული ფეხი მოინაცვლა და მილეულ-მინაბულ-მინაზებული ხმით წამოიწყო:

— მამუკა!... წამოდი რა იტალიაში. გეხვეწები!... მამუკა წივწივაძეს ერთი ტურისტული საგზურის შოვნა არ გაგიჭირდება...

მისაღებში მაღალ-მაღალი კაცი შემოვიდა. ჟიქურად მოდიოდა. თავაწეული. არც აქეთ იყურებოდა, არც იქით, არც ზევით, არც ქვევით. ახლად მოსულმა ტრესტის მმართველის კაბინეტის მუშამბიანი კარი ფეხით შეაღო და ღიღინით შევიდა.

— ვინ არის? — ყრუ ხმით იკითხა ვიღაცამ.

— სერგეი პავლოვიჩი! — ჩურჩულით უპასუხა მეორე ვიღაცამ.

— ვინა?

— ტრესტის მმართველი სერგეი პავლოვიჩი.

ოციოდე წუთის შემდეგ ყოვლის მცოდნე და ყოვლის შემძლე მდივანი მმართველის კაბინეტიდან გამოვიდა და ისე, სხვათა შორის გვითხრა:

— თათბირი იწყება. მიღება არ იქნება.

რეტიანივით შევბარბაცდი. ვისკუპე. ვეცი გასასვლელს. ხტუნვა-ხტუნვით ჩავირბინე კიბე. ფეთიანივით შევხტი ტაქსში. ვიარე, ვიარე და მივედი.

— რა მოხდა? — გაოცებით ამომხედა სამუშაო მაგიდაზე თავდახრილმა გრიგოლ ვარლამოვიჩმა და საქმიან ქაღალდებზე ხელის მოწერა გააგრძელა.

— იტალიის ტურისტული საგზური უნდა მომცე!

მოვითქვი სული და განვაგრძე:

— ვილუპები!.. მიშველე!.. ტრესტის მმართველთან შესვლის მხოლოდ ერთადერთი იმედი დამრჩა!..

— რა იმედი?

— რომი. ჩემი ხსნის ყველა გზა რომში მიდის!

— რომში? რატომ მაინცდამაინც რომში!

— იმიტომ, რომ მმართველის მდივანი მიდის რომში!

გრიგოლ ვარლამოვიჩი რაღაც ქაღალდს დააშტერდა. ჩაღუნა თავი. აღარც იმ ქალის ვინაობა უკითხავს, არც ის — რომში რა ხერხითა და რა მეთოდით ვაპირებდი ტრესტის მმართველის გულქვა მდივნის გულის მოგებას.

— დაიგვიანე! — მითხრა ბოლოს ფიქრებიდან გამორკვეულმა გრიგოლ ვარლამოვიჩმა, — იტალიის ერთადერთი შემორჩენილი ტურისტული საგზური ნელან გავეცი... შენი ტრესტის მმართველმა დამირეკა და გავეცი .

— გაეცი? ვის მიეცი?

— წივწივაძეს...

— ვისა? მამუკა წივწივაძეს?

— მოიცა, — გრიგოლ ვარლამოვიჩი ჩაფიქრდა, — კი... ნამდვილად მამუკა ერქვა... მამუკა წივწივაძე. კარგი ბიჭი ჩანს... რას იტყვი? ხომ კი?..

ოთარ ქავთარაძე

## იუმორი

# რატომ წავიწიო წინ?

ვდგავარ და ვიცდი.

თანდათან ვიბოლმები. სამუშაო საათები კარგა ხანია დამთავრდა, შინ მიმეჩქარება და...

— მოდის! — დაიყვირა ახმახმა.

გაჩერებასთან ავტობუსი ჩამოდგა.

— გაგვატარეთ!

— შეგვიშვით!

— ცოტა გვერდით მიდექით!

— ქალბატონო, ხომ ხედავთ, წინ წაწევა შეიძლება, გაიჩოჩეთ, გეთაყვა!

თქვენც არ მომიკვდეთ! ავტობუსი დაიძრა.

ჟინჟღლავს.

უფრო ვიბოლმები. ვდგავარ. სამი ავტობუსი უკვე გავატარე. ახლა მეოთხეს ვუცდი.

— მოდის! — მეოთხედ ყვირის ხმაჩახლეჩილი ახმახი.

ავტობუსი, რა თქმა უნდა, გაჭედილია.

— გაგვატარეთ!

— გაგვიშვით!

— გაიწიეთ! გადაინაცვლეთ! წაიწიეთ!

— წავიწიო?! — გაოცებით შემოგვხედა ჩასუქებულმა კაცმა, — როგორ წავიწიო წინ, როცა ჩემ წინ, არავინ მიიწევს წინ?!

წინ! წინ! წინ! უჟაჟუნებდა წვიმა ავტობუსის სახურავს.

ხელის ჩაქნევა მინდოდა. ვერ გავბედე. ვიცოდი, ვიღაცას ღრანჭში მოვარტყამდი.

გამოვძვერი რიგიდან. მივქანდი ავტობუსის დაგმანულ სარკმელთან და სხაპასხუპით დავცხე:

— ხომ ხედავთ, შუაში ხალვათობაა! წაიწიეთ! რატომ არ იწევთ წინ?! წაიწიეთ!

ფანჯრის მიღმა გაოცებული სახეები დავინახე. ესმოდათ, რაც ვთქვი, ძალიან კარგად ესმოდათ, თავს კი ისე იჭერდნენ, თითქოს არაფერი ესმოდათ...

მოთმინების ფიალა უკვე ავსებული მქონდა, როცა ახმახმა მეხუთედ იყვირა:

— მოდის!

ჯერ მოჭიდავის ილეთები გამოვიყენე, მერე — მოკრივის, მერე — ჯამბაზის, მერე — ჰიპნოზიორის, მერე კიდევ ვიღაცის და ავტობუსში ამოვიჩნდი.

— ტრა—რა—რა! ტრა—რა—რა!— მხიარულად უჟაჟუნებდა წვიმა დათბუნებულ ავტობუსს.

პირველი გაჩერება მშვიდობით მოვითავეთ. ავტობუსი ისე იყო გაჭედილი, არავინ შემოგვმატებია.

მეორე გაჩერებაზე ისევ ატყდა ორომტრიალი.

— გაგვატარეთ!

— გაგვიშვით!

— გადაიწიეთ!

ვიღაც ხანში შესული ქალი დაგმანულ ფანჯარასთან მოიჭრა და სხაპასხუპით დასცხო.

— ღმერთი არა გწამთ? დებო, ძმებო, შვილებო, შვილიშვილებო! ხომ ხედავთ, ავტობუსის შუაში ხალვათობაა... გადაიწიეთ, აგრემც დაგენაცვლეთ, გადაიწიეთ!

ვერ გავიგე. გინდ გამეგო, ჩემ წინ არავინ იწევდა წინ და მე რატომ უნდა წამეწია წინ?!

ვასილ სტანილოვი

(ბულგარეთი).

# საგულისხმო, სახალისო

## უნებლიე გამომგონებელი

ინგლისის ქალაქ კალვერტონის მკვიდრი უილიამ ლი ღვთის მსახური იყო. იგი მართლმადიდებელ ეკლესიაში არქიმანდრიტის თანაშემწე გახლდათ.

მოხდა წარმოუდგენელი: იმქვეყნიურ საქმეებში გართული წმინდა მამაო მოულოდნელად ამქვეყნიურ სიყვარულში ჩაეფლო და... გამომგონებელი გახდა.

აი, როგორ მოხდა ეს.

ერთხელ, წირვაზე, უილიამ ლიმ თვალი დაადგა ახალგაზრდა ქალს, რომელიც ანთებული სანთლით ხელში იდგა და ღვთისმშობელს სასოებით რაღაცას შესთხოვდა.

ღვთის მსახური იმავე საღამოს შინ ეახლა მანდილოსანს. უილიამ ლის სიყვარული ცალმხრივი გამოდგა. უიღბლო მიჯნურმა ვერ შეძლო, ქალის გული მოენადირებინა.

მანდილოსანი ყოველთვის ცხვირაბზეკილი ხვდებოდა არქიმანდრიტის თანაშემწეს. მიჯდებოდა კუთხეში, ჩაღუნავდა თავს და სტუმრის წასვლამდე ქსოვით ირთობდა თავს.

უილიამ ლი საათობით შესცქეროდა ქალის ხელებს, ყურადღებით უკვირდებოდა თითოეულ მოძრაობას, იმახსოვრებდა ყაისნაღით გამოყვანილი ნასკვების მოხაზულობას და გონებაში თანდათან ასხამდა ხორცს საქსოვი დაზგის შექმნის იდეას.

უილიამ ლიმ თავისი ჩანაფიქრი მალე სისრულეში მოიყვანა. მის მიერ მახვილგონივრულად შექმნილმა საქსოვმა დაზგამ, რომელიც ხისგან იყო გაკეთებული, საერთო აღტაცება და მოწონება დაიმსახურა.

## ფუფუნების საგანი

არქეოლოგებმა დაადგინეს, რომ ადამიანმა ჯერ კიდევ 6.000 წლის წინათ იცოდა საპნის მსგავსი ნივთიერების დამზადება.

მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში საპნის დასამზადებლად უმთავრესად იყენებდნენ მცენარეულ ზეთს, სხვადასხვა ცხოველის ცხიმს, ნაცარს, ბუნებრივ მარილებს.

ძველ რომში საპონს ამზადებდნენ თხის, ცხვრის ან ხარის ქონში არეული ნაცრით, რომელსაც ცოტაოდენ მცენარეულ ზეთს და საღებავს უმატებდნენ.

რომაელებმა სამგვარი საპონის გაკეთება იცოდნენ — მაგარი, რბილი და თხევადი. საპონს არა მარტო დასაბანად და გასარეცხად იყენებდნენ, არამედ თმის შესაღებავადაც ხმარობდნენ. თმას უმთავრესად ყვითლად, წითლად და ვარდისფერად იღებავდნენ.

შუა საუკუნეებში საპნის წარმოებით სახელი გაითქვა საფრანგეთის ერთ-ერთმა საპორტო ქალაქმა მარსელმა. მარსელი კარგა ხანი იყო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნისთვის საუკეთესო ხარისხის საპნის ძირითადი მიმწოდებელი.

რუსეთში საპონი პეტრე პირველის მეფობის დროს შეიტანეს. საპონი ფუფუნების საგანი იყო და მისი მომხმარებლები ძირითადად სამეფო კარი, მდიდარი თავად-აზნაურობა და ვაჭრები იყვნენ.

## სხვადასხვა მერიდიანზე

**პრაღის კულტურის სასახლის დარბაზში ამას წინათ პირველად აჟღერდა გიგანტური ორღანი, რომელიც ჩეხოსლოვაკელმა სპეციალისტებმა დაამზადეს.**

**ახალ ორღანს „მსოფლიო ჩემპიონი" შეარქვეს. მას 6554 დასაკრავი მილაკი აქვს.**

* * *

**იტალიის ერთ-ერთმა გაზეთმა თავის ფურცლებზე გამოაქვეყნა მილანის ტურისტული რუკა.**

**ამ რუკაზე ქალაქის ღირსშესანიშნაობებთან ერთად ზუსტად არის მინიშნებული ადგილები, სადაც ყველაზე ხშირად იპარავენ ჩემოდნებს, ხელჩანთებს, ლაბადებს, საათებსა და ტურისტთა სხვა ნივთებს.**

* * *

**უნგრეთის ქალაქ ესტერგომში ამას წინათ აღმოაჩინეს დოკუმენტი, რომლის „ხნოვანება" 200 წელს აღემატება.**

**დოკუმენტით ცნობილი ხდება, ქალაქ ესტერგომის ყოველ მოქალაქეს, რომელიც თამბაქოს ეწეოდა, წელიწადში გარკვეული თანხა — ჯარიმა უნდა გადაეხადა.**

**ჯარიმით შეგროვებულ ფულს ქალაქის სახანძრო რაზმის შესანახად იყენებდნენ.**

* * *

**კოპენჰაგენში გაიხსნა მსოფლიოში ერთადერთი ე. წ. სათამაშოთეკა.**

**დარბაზში გამოფენილი უამრავი ნიმუშიდან ბავშვებს შეუძლიათ, სურვილისამებრ შეარჩიონ და ერთი კვირით შინ წაიღონ სათამაშო.**

**ბავშვს, რომელიც დაუზიანებლად დააბრუნებს სათამაშოს, ერთი პლუსი ეწერება. ოცი პლუსის დაგროვების შემდეგ ბავშვს საჩუქრად ეძლევა თავისი სურვილით შერჩეული სათამაშო.**

* * *

**ამას წინათ ინგლისში გამოაქვეყნეს სია იმ ცნობილი ადამიანებისა, რომლებიც ცაციები იყვნენ და მარცხენა ხელითაც შეეძლოთ წერა.**

**სია რომის იმპერატორ ტიბერით იწყება. მას მოჰყვებიან ლეონარდო და ვინჩი, ინგლისის მეფე გიორგი II...**

**ცაციათა საკმაოდ გრძელი სია სიცილის მეფით — ჩარლი ჩაპლინით მთავრდება.**

* * *

**მერილენდის შტატში (აშშ) გაიხსნა მსოფლიოში ერთადერთი კლინიკა, რომელშიც ბანქოს ქაღალდისა და სხვა აზარტული თამაშების წყალწაღებულ მოყვარულებს მკურნალობენ.**

**კლინიკიდან გამოწერილ პაციენტთა უმრავლესობა ირწმუნება, რომ მათ საბოლოოდ დაანებეს თავი აზარტულ თამაშებს.**

---

გარეკანის პირველ გვერდზე: თამარ გვერდწითელი. ფოტო თარხან არჩვაძისა.

გარეკანის მეოთხე გვერდზე: „ყვავილები". ფოტო თარხან არჩვაძისა და ვიქტორ ჯეირანოვისა.

---

მონტაჟი ჰზია ლოგუანიძისა


გადაეცა წარმოებას 26. I. 83 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 14. III. 83 წ., უე 09207, ქაღალდის ზომა $70 \times 108^{1}/_{8}$. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,93, ტირაჟი 49400, შეკვ. № 274, ფასი 35 კაპ.

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.

Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.



რედაქციის მისამართი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42. ტელ. — მთავარი რედაქტორის—99-54-66, მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-82-69, პ/მგ. მდივნის — 99-01-39, განყოფილებათა გამგეების — 93-28-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.



რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.




ეროვნული ბიბლიოთეკა





კადრები რეჟისორ თეიმურაზ ლოლიძის ფილმებიდან.

(წერილი იხილეთ ჟურნალ „დროშის“ ამავე ნომერში).









ეროვნული ბიბლიოთეკა









ინდექსი 76056

# დროშა